178
1960/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველო

6

19 თბილისი 60

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1960 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პრეზიდიუმისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

## შინაარსი

**საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის**

დ. ჯიბლაძე — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში . . . 3

**საქართველოს კომპარტიის 40 წლისთავისათვის**

ა. ებრალიძე — საქართველოს კომპარტია ქართველი ხალხის შრომითი საქმიანობის ორგანიზატორი დიდ სამამულო ომში (1941-1945 წ. წ.) . . . . . 13

მ. ვეფხვაძე — საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში . . . . . 19

ნ. ლორთქიფანიძე — დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საკითხისათვის საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალურ სამართალში . . . . . 24

ლ. ადეიშვილი — მოზარდთა შრომის ანაზღაურება და პენსიებით უზრუნველყოფა . . . . . 31

**წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის**

ე. ნეიძე — სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტისათვის. . . . . 36

**ფელეტონი**

ე. ბლავოდარნი — თავისებურად ერთადერთი . . . . . 40

**აკაკი წერეთლის დაბადების 120 წლისთავისათვის**

აკაკი წერეთლის სიტყვა სვანეთის გლეხობის შეიარაღებული აჯანყების მონაწილე სვანების დასაცავად . . . . . 42

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში . . . . . 50

ახალი უცხოეთის კანონმდებლობაში . . . . . 51

დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილენი საქართველოში . . . . . 53

ჰასიბ ნემერ — საბჭოთა კანონი ხალხს ემსახურება . . . . . 55

ჩვენი ინტერვიუ . . . . . 57

ორდე დგებუაძე — განყოფილების უფროსი . . . . . 58

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია . . . . . 62

ინფორმაცია . . . . . 80

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას . . . . . 86

სახელმწიფო არბიტრაჟის პრაქტიკა . . . . . 89

სასამართლო პრაქტიკა . . . . . 92

8059

ეროვნული ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

**К 40-ЛЕТИЮ СОВЕТСКОЙ ГРУЗИИ**

Д. Джибладзе — Победа советской власти в Грузии . 3

**К 40-ЛЕТИЮ КОМПАРТИИ ГРУЗИИ**

А. Эбралидзе — Компартия Грузии — Организатор трудовой деятельности грузинского народа в Великой Отечественной войне (1941-1945 г. г.) . . . 13

М. Вепхвадзе — Советский суд — самый демократический в мире . . . . . 19

Н. Лордкипанидзе — К вопросу допустимости доказательств в советском гражданско-процессуальном праве 24

Л. Адейшвили — Оплата труда и пенсионное обеспечение подростков . . . . . 31

**ПРЕДЛОЖЕНИЯ ПО НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ**

Е. Неидзе — К проекту Основ гражданского судопроизводства 36

**ФЕЛЬЕТОН**

Е. Благодарный — Единственный в своем роде . 40

**К 120-ЛЕТИЮ СО ДНЯ РОЖДЕНИЯ АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ**

Речь А. Церетели в защиту участников вооруженного восстания крестьян Сванетии . . . . . 42

В странах народной демократии . . . . . 50

Новое в иностранном законодательстве . . . . . 51

Пребывание в Грузии участников VII конгресса Международной ассоциации юристов-демократов . . . 53

Хасиб Немер — Советский закон служит народу . 55

Наше интервью . . . . . 57

Орде Дгебуадзе — Начальник отдела . . . 58

Критика и библиография . . . . . 62

Информация . . . . . 80

Юридическая консультация населению . . . . 86

Практика Госарбитража . . . . . 89

Судебная практика . . . . . 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის

## საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში

დ. ჯიბლაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს მშრომელები, სიხარულისა და კანონიერი სიამაყის გრძნობით, პოლიტიკური და სამეურნეო აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ თავისი გმირული კომუნისტური პარტიის შექმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში, უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ყველა ხალხის განვითარების ბედზე. მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველ რიგში ძველი მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებზე, მათ შორის ქართველი ხალხის შემდგომი განვითარების მსვლელობაზე .

საქართველოს მშრომელები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ცნობას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესახებ. თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში მუშათა კრებებსა და მიტინგებს გამოჰქონდათ ერთსულოვანი რეზოლუციები, რომლებითაც მიესალმებოდნენ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებას რუსეთში.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ უდიდესი გავლენა მოახდინა სოფელზეც. ვ. ი. ლენინის მიერ შემუშავებული საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტები ზავისა და მიწის შესახებ, „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“ და სხვა სოციალისტური ღონისძიებები, რომელთა შესახებაც ცნობები სწრაფად ვრცელდებოდა, აღვივებდა რევოლუციისადმი თანაგრძნობას სოფლადაც, აძლიერებდა მშრომელი გლეხობის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

სამწუხაროდ რუსეთის სხვა განაპირა მხარეებთან ერთად საქართველოც ვერ აცდა შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელი იმპერიალისტური ინტერვენტების დროებით ბატონობას. ამ ძალებმა შეძლეს დროებით მაინც ჩამოეშორებინათ საქართველო სოციალიზმის გზით მიმავალი მოძმე რუსეთისაგან.

საქართველოს მშრომელებს, მხი მებრძოლი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამ წელზე მეტი ხნის მანძილზე მოუხდათ ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

საქართველოს მშრომელთა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის მიმდინარეობდა იმ დროს, როცა საბჭოთა სოციალისტური რუსეთის ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული.

საქართველო, ისევე როგორც მთელი ამიერკავკასია, ეკონომიურად ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის სიჭრელე ხელს უწყობდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიებს გაეჩაღებინათ შოვინისტური პროპაგანდა, შეეხსტებინათ მრავალეროვანი პროლეტარიატის ინტერნაციონალური სოლიდარობა და შეეფერხებინათ მისი ერთიანი ფრონტის შექმნა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი არსებობდა წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-მემამულური პარტიების გააქტიურებისათვის.

აღნიშნული გარემოებანი, ზოგიერთ სხვა პირობებთან ერთად აფერხებდნენ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის პოლიტიკური არმიის შექმნას და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას.

ამას გარდა, რევოლუციის ცენტრიდან დაშორებულობა და იმპერიალისტურ ქვეყნებთან მოსაზღვრეობა აადვილებდა საქართველოს ოკუპაციას უცხოელი იმპერიალისტების მხრივ. ეს აადვილებდა შინაგანი კონტრრევოლუციისა და უცხოელი იმპერიალისტების ძალთა შეკავშირებას. ძირითადად ამით უნდა აიხსნას, რომ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციურმა ძალებმა რამდენიმე წლით შესძლეს სოციალისტური რევოლუციის შეფერხება ამირკავკასიაში.

ამიერკავკასიის მთავრობას, — ე. წ. ამიერკავკასიის კომისარიატს არ განუხორციელებია არც ერთი ღონისძიება, რომელიც თუნდაც ოდნავ გააუმჯობესებდა მუშებისა და გლეხების მდგომარეობას. გადაუჭრელი დარჩა ყველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხი, რომელთა გადაწყვეტისათვისაც მშრომელები მრავალი წლის განმავლობაში ბრძოლას აწარმოებდნენ ცარიზმის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ. განსაკუთრებით აღელვებდა გლეხობას აგრარული საკითხი, მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატი არც კი შეეცადა ამ დარგში რაიმე მნიშვნელოვანი რეფორმა გაეტარებინა.

ოქტომბრის რევოლუციით დამფრთხალი და გაბოროტებული რეაქციული ძალები დღითიდღე აძლიერებდენ შეტევას რევოლუციურ ძალებზე, მასებს ხელიდან გლეჯდენ რევოლუციის შედეგად მოპოვებულ დემოკრატიულ წესებს და მიმართავდენ უხეშ ძალაბდობას.

იმ საბაბით, რომ თითქოს ბოლშევიკები შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდენ, 1917 წლის 28 ნოემბერს, საბჭოების სამხარეო ცენტრის დადგენილების საფუძველზე, თბილისში სამხედრო წესები გამოცხადდა. აიკრძალა ყოველგვარი კრებები და მიტინგები. ხელისუფლების განკარგულებათა შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიან, როგორც რევოლუციის მოდალატენიო — იმუქრებოდნენ რეაქციონერები.

ჩანდა რომ კონტრრევოლუციონერთა ბლოკი ახალი თავდასხმისათვის ემზადებოდა. მეორე დღეს, 29 ნოემბერს კონტრრევოლუციონერებმა იერიში თბილისის არსენალზე მიიტანეს, რომელსაც ბოლშევიკურად განწყობილი ბატალიონი იცავდა. თბილისის საბჭოს სახელით მათ მოითხოვეს იარაღი გადაეცა გვარდიის შესაიარაღებლად. მცირე წინააღმდეგობის შემდეგ არსენალი კონტრრევოლუციონერებმა დაიკავეს. მენშევიკებმა აქ პირველად გამოიყენეს თავიანთი ნაციონალისტურ-შოვინისტური რაზმები, რომელთაც „წითელი გვარდია“ უწოდეს. არსენალის დაკარგვა რევოლუციისათვის მეტად დიდი მარცხი იყო, რასაც ვ. ი. ლენინიც აღნიშნავდა.

ანტისაბჭოთა კოალიციამ მენშევიკების მეთაურობით კურსი აიღო მასებისაგან ბოლშევიკების იზოლაციისაკენ. 30 ნოემბერს თავს დაესხნენ ბოლშევიკური გაზეთების რედაქციებსა და სტამბებს.

1917 წლის 16 დეკემბრის სხდომაზე რსფსრ სახკომსაბჭომ სპეციალურად განიხილა საკითხი ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამავე სხდომის დადგენილებით კავკასიის დროებით საგანგებო კომისრად დაინიშნა ბაქოს საბჭოს თავმჯდომარე ს. გ. შაუმიანი.

კავკასიის ფრონტზე დროებით ზავის დადების შემდეგ, ამ ფრონტის ჯარისკაცები რუსეთისაკენ დაიძრენ, რათა დახმარება გაეწიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატმა ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების მითითებით 1918 წლის იანვარში სადგურ შამქორთან სისხლისმღვრელი თავდასხმა მოაწყო ჯარისკაცთა ეშელონებზე, რის შედეგადაც მოკლული და დაჭრილი იქნა ათასობით რუსი ჯარისკაცი.

ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მიღებული აშკარა კონტრრევოლუციური ღონისძიებების საპასუხოდ მუშათა და გლეხთა მასებში სწრაფად იზრდებოდა რევოლუციური განწყობილება. რეპრესიებს მუშათა მასებმა მტკიცე პროტესტებითა და პოლიტიკური გაფიცვებით უპასუხეს.

1918 წლის პირველი თვეებიდანვე მიმდინარეობდა გლეხთა ფართო მასებისა და ქართული ეროვნული ნაწილების ჯარისკაცების განთავისუფლება მენშევიკურ-ესერული გავლენისაგან. მათში დღითი დღე იზრდებოდა ბოლშევიკური გავლენა და სიმპატიები საბჭოთა ხელისუფლებისადმი. სოფლის მშრომელ გლეხობაში ბოლშევიკური გავლენის ზრდასა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად მათს დარაზმვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ფრონტიდან დაბრუნებული გლეხი ჯარისკაცები, რომელთაც მოჰქონდათ ცნობები საბჭოთა რუსეთში გატარებული სოციალისტური ღონისძიებების შესახებ.

1918 წლის 10 (23) თებერვალს თბილისში მენშევიკებმა მოიწვიეს ბურჟუაზიულ-მემამულური საბელმწიფო ხელისუფლების ორგანო, რომელსაც ამიერკავკასიის სეიმი უწოდეს. სეიმი შესდგებოდა ამიერკავკასიიდან რუსეთის დამფუძნებელ კრებაში გაგზავნილი დეპუტატებისაგან, იმ დამფუძნებელი კრებისა, რომელშიც უმრავლესობა კონტრრევოლუციურ პარტიებს ეკუთვნოდა და რომელიც დათხოვნილ იქნა რსფსრ ცაკის გადაწყვეტილებებით. სეიმი მიზნად ისახავდა იურიდიულად გაეფორმებინა ამიერკავკასიის მოწყვეტა საბჭოთა რუსეთისაგან. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა კატეგორიულად უარი თქვეს კონტრრევოლუციურ სეიმში მონაწილეობაზე და პროტესტი განაცხადეს სეიმის შექმნის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის სეიმის მოწვევის დღეს, 10 თებერვალს, კონტრრევოლუციური სეიმისადმი პროტესტის ნიშნად, ყოფილ ალექსანდრეს ბაღში თბილისის მუშებმა და ჯარისკაცებმა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მიტინგი მოაწყეს, სადაც დაგმეს ამიერკავკასიის საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორების პოლიტიკა, რაც სეიმს უნდა დაემტკიცებინა. ამიერკავკასიის კომისარიატის განკარგულებით მენშევიკურმა გვარდიამ და მილიციამ დახვრიტა მუშებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარისკაცების მიტინგი. კონტრრევოლუციურ ძალებს ამით სურდათ გაეტეხათ რევოლუციური ძალები და გზა გაეკაფათ რეაქციის შეუზღუდავი თარეშისათვის. მაგრამ ბოლშევიკების სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა მძლავრი პროტესტით უპასუხეს კონტრრევოლუციის ამ გამოსვლას.

„ჩვენს პარტიას, — ნათქვამი იყო ბოლშევიკების სამხარეო და თბილისის კომიტეტების მოწოდებაში, — ბევრი სისხლიანი დახვრეტები და აწიოკებანი განუცდია მეფის მთავრობის მიერ დაჭირავებული მკვლელებისაგან. მაგრამ ალექსანდრეს ბაღში მოწყობილი სისხლის ღვრა აჭარბებს შავი რეაქციის ყველაზე მძიმე დანაშაულს... ამსანაგო მუშებო და ჯარისკაცებო! თქვენ თვითონ გამოუტანეთ თქვენი პროლეტარული რევოლუციური განაჩენი სისხლიანი დანაშაულის ჩამდენთ. ძირს ჯალათები ამიერკავკასიის კომისარიატიდან, გაუმარჯოს სრულიად რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას![1]

ამრიგად, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა ამოიწურა. არსენალის ხელში ჩაგდება, ბოლშევიკური პრესის დარბევა, შამქორში ათასობით ჯარისკაცის დახვრეტა იანვარში, და ბოლოს, მუშათა მშვიდობიანი მიტინგის დახვრეტა 10 (23) თებერვალს თბილისში, კონტრრევოლუციის შემოტევის ძირითადი ეტაპები იყო, რის შედეგადაც ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების ბლოკმა მთლიანად ჩაიგდო ხელში ძალაუფლება და შეუდგა ბურჟუაზიული დიქტატურის განმტკიცებას.

ასეთ ვითარებაში ბოლშევიკური ორგანიზაციები იძულებული შეიქმნენ არალეგარულ მდგომარეობაში გადასულიყვნენ.

დაიწყო რევოლუციის ახალი ეტაპი. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ერთადერთ გზად აღიარებულ იქნა შეიარაღებული აჯანყება. საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა გააჩაღეს მუშაობა ამ დიდი ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად.

ეს პერიოდი ემთხვევა საბჭოთა რუსეთში გაჩაღებულ სამოქალაქო ომის პერიოდს. აქაც, საქართველოში, ბურჟუაზიისა და მემამულეების ბატონობის მთელ მანძილზე ნამდვილი სამოქალაქო ომი წარმოებდა, ქვეყნის უდიდესი ნაწილი აჯანყებით იყო მოცული.

ძვირად დაუჯდა საქართველოს მშრომელებს კონტრრევოლუციის ეს დროებითი ბატონობა. მძიმე ტანჯვა და ეკონომიური გაჭირვება განიცადეს მუშებმა და გლეხებმა. ისედაც სუსტი მრეწველობა დაეცა, სოფლის მეურნეობა მოიშალა, კულტურული განვითარება დაკნინების გზას დაადგა, ქვეყანა უცხოელი ინტერვენტების აღვირახსნილი თარეშის სარბიელად იქცა.

თავიანთი ანტიხალხური, ანტიეროვნული საგარეო პოლიტიკით მენშევიკებმა უდიდესი ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას. საქართველო მოსწყვიტეს საბჭოთა სოციალისტურ რუსეთს და შეეცადნენ მოესპოთ მტკიცე, საუკუნოებრივი კავშირი ქართველ და რუს ხალხებს შორის. ზურგი აქციეს რა საბჭოთა რუსეთს, ქართველმა მენშევიკებმა მოკავშირეების ძებნა დასავლეთის იმპერიალისტურ მტაცებელთა შორის დაიწყეს. ასეთ მოკავშირედ და „მფარველად" ჯერ იმპერიალისტური გერმანია, ხოლო შემდეგ ინგლის-ამერიკელი კოლონიზატორები ჰპოვეს.

მენშევიკებმა უარი თქვეს ბრესტის საზავო პირობებზე და თურქეთთან დამოუკიდებლად გამართეს მოლაპარაკება, რის შედეგადაც თურქი ასკერები შეტევაზე გადმოვიდნენ და საქართველოს მიწები მიიტაცეს.

ქვეყანა, რომელმაც თურქეთის შემოსევებს თავი დაადწია რუსეთთან შეერთებით, ახლა რუსეთისადმი ზურგის შექცევით, ისევ თურქეთის სათარეშოდ იქცა. კალიებივით შეესიენ თურქი ასკერები საქართველოს სასაზღვრო რაიონებს, ანადგურებდნენ ჭირნახულს, მოსახლეობის სახლ-კარს, ხალხი ტყეებში იხიზნებოდა. მარტო ახალქალაქის მაზრაში ოსმალთა თარეშის შედეგად მოსახლეობა 110 ათასიდან 60 ათასამდე შემცირდა. 73 სოფელი სავსებით განადგურებულ და მიწასთან გასწორებულ იქნა.[2]

ასეთი იყო მენშევიკების საგარეო პოლიტიკის პირველი შედეგები მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს მოსწყვიტეს და რითიც ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობაც კი საფრთხის წინაშე დააყენეს.

თურქებთან ერთად საქართველოში თავისუფლად თარეშობდნენ გერმანელი ოკუპანტები, რომლებიც მენშევიკების მოწვევით შემოვიდნენ და უბოდიშოდ ერეოდნენ ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში. სამაგიეროდ მენშევიკებს ეხმარებოდნენ თავიანთი უბადრუკი არსებობის შენარჩუნებაში და მემამულურ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებაში. გერმანელი ოკუპანტები მენშევიკებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ მშრომელთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[1]) მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 3, საქ. 221.

[2]) საქართველოს სსრ ორცსა, ფ. 44, საქ. 242, ფურც. 3-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტანტის წინააღმდეგ ომში დამარცხების შემდეგ 1918 წლის ბოლოს გერმანელი ოკუპანტები იძულებულნი გახდნენ საქართველო დაეტოვებინათ. მენშევიკებმა არ დააყოვნეს ახალი „მფარველის“ გამონახვა და ახლა ინგლისელი ოკუპანტები მოიწვიეს, რომლებიც კიდევ უფრო თავხედურად იქცეოდნენ, ვიდრე გერმანელები. ისინი აბუჩად იგდებდნენ არა მარტო ხალხს, არამედ თავიანთ ერთგულ მასპინძელს ეორდანიას მთავრობასაც. ინგლისელ კოლონიზატორებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ამერიკელი იმპერიალისტებიც, რომლებიც კავკასიის საბოლოოდ ხელში ჩაგდებაზე ოცნებობდნენ.

მენშევიკები ინგლისელ და ამერიკელ იმპერიალისტებთან ერთად შეთანხმებულად მუშაობდნენ საბჭოთა რუსეთისა და კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ. მენშევიკების მფარველობითა და აქტიური დახმარებით ინგლის-ამერიკელი იმპერიალისტები საქართველოს იყენებდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად. აქედან ეგზავნებოდა დენიკინსა და ვრანგელს მოხალისეთა არმიების შევსება, იარაღი, სურსათი, საწვავ-სათბობი მასალები. ამ ბილწი სამსახურის ფასად მენშევიკებს სურდათ მიეღწიათ საქართველოს „დამოუკიდებლობის“ აღიარება, თუნდაც ფორმალურად.

უცხოელი ოკუპანტების თავხედობა მოსახლეობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. საქართველოს მუშები და გლეხები ყველა ღონისძიებით ფუშავდნენ მენშევიკების ცდას იმპერიალისტებთან ერთად იარაღი და საომარი მასალები მიეწოდებინათ დენიკინისა და ვრანგელისთვის, საბჭოთა რუსეთის ამ მოსისხლე მტრებისათვის.

მენშევიკების ანტიხალხური საგარეო პოლიტიკის შედეგად, თავისუფლებისმოყვარე საქართველო, რომელიც საუკუნეების მანძილზე ებძოდა უცხოელ დამპყრობლებს, რომელიც უთანასწორო ომებშიაც კი ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას, ახლა ნებაყოფლობით თურქ-გერმანელ და ინგლისელ-ამერიკელ დამპყრობლების ჩექმების ქვეშ აღმოჩნდა.

არანაკლებ სავალალო იყო მენშევიკების საშინაო პოლიტიკა, რომლის შედეგადაც მოიშალა ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება. დღითიდღე მძიმდებოდა სამრეწველო წარმოება. წარმოების დაკნინვასა და შემცირებას თან ხდევდა უმუშევრობა. ეცემოდა ხელფასის მყიდველობითი ძალა. დღითიდღე იზრდებოდა ფასები ყველაზე აუცილებელი პირველი მოთხოვნილების საგნებზე, განსაკუთრებით სურსათზე. შრომის პირობები ბევრ საწარმოში გაცილებით უფრო გაუარესდა თვით მეფისდროინდელთან შედარებით. ამ ნიადაგზე ხშირი იყო მუშათა გაფიცვები. 1918 წელს გაფიცვებს ადგილი ჰქონდა მრეწველობის თითქმის ყველა დარგში. ამ მხრივ განსაკუთრები გამოირჩეოდა ტყიბულის მადაროელთა გაფიცვა, რომელიც მცირე შეწყვეტებით თითქმის მთელ წელიწადს გრძელდებოდა.

მუშათა რევოლუციურ გამოსვლებს მჭიდროდ უკავშირდებოდა მშრომელი გლეხობის გამოსვლები ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ მთავრობის წინააღმდეგ. მენშევიკებმა იმედი გაუცრუეს საქართველოს გლეხებს. მთელი აგრარული პოლიტიკა გამიზნებული იყო მიწათმფლობელობის არსებული ფორმების შენარჩუნებისაკენ.

აგრარული საკითხის გადაუჭრელობა, სოფლის მეურნეობის საერთო დეგრადაცია და პოლიტიკური უუფლებობა ამხედრებდა გლეხობას მემამულეებისა და მათი ინტერესების დამცველი მთავრობის წინააღმდეგ. ბოლშევიკური ორგანიზაციების მეთაურობით გლეხთა მოძრაობა სულ უფრო ხშირად შეიარაღებული აჯანყების ხასიათს ღებულობდა.

1918 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში გლეხთა მძლავრი აჯანყებები მოეწყო ზუგდიდის, სენაკის, შორაპნის, ლეჩხუმის და საქართველოს ბევრ სხვა რაიონში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო გლეხთა აჯანყებამ დუშეთის მაზრაში. აჯანყებულმა გლეხებმა სამაზრო ცენტრი აიღეს, 25 ივნისს სახალხო ყრილობა მოიწვიეს და მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აჯანყებულებმა შესძლეს კავშირის დამყარება ჩრდილო კავკასიასთან, სადაც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა. აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ საქართველოს რკინიგზა და ამით შეეფერხებინათ თურქ-გერმანიის ჯარების მსვლელობა ბაქოსაკენ, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მენშევიკეურმა მთავრობამ გერმანელი ოკუპანტების დახმარებით სასტიკად ჩაახშო დუშეთის მაზრის გლეხთა ეს გამოსვლა.

მეტად საყურადღებო იყო აგრეთვე გლეხთა აჯანყება ლეჩხუმის მაზრაში, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მენშევიკებმა ლეჩხუმი კანონგარეთ გამოაცხადეს, ეკონომიური ბლოკადა მოუწყეს, რათა აეძულებინათ გლეხობა შეეწყვიტათ აჯანყება. მაგრამ მთელს მაზრაში შესანიშნავი წესრიგი იყო. მოსახლეობას გამოჰქონდა გადაწყვეტილებები რუსეთთან შეერთების შესახებ, მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

აჯანყებას ფართო ხასიათი ქონდა აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. აჯანყების შედეგად შექმნილი საბჭოთა ხელისუფლება სოხუმში 42 დღე არსებობდა. თვით მენშევიკური გაზეთებიც კი ვერ მალავდნენ გლეხთა მასობრივი აჯანყების ამ მეტად სერიოზულ ფაქტებს. გაზეთი „სოციალ დემოკრატი" იძულებული იყო აღენიშნა, რომ „თითქმის ნახევარი საქართველო მოცულია სახალხო აჯანყებით."[1]

მართალია მენშევიკებმა შესძლეს მთელი თავიანთი ძალების მობილიზებითა და გერმანელი ოკუპანტების დახმარებით სისხლში ჩაეხშოთ გლეხთა ეს აჯანყებები, მაგრამ რევოლუციური მოძრაობა ამით არ დამთავრებულა. ბოლშევიკური ორგანიზაციები აგრძელებენ არალეგალურ მუშაობას, ამზადებენ მასებს ახალი, კიდევ უფრო მძლავრი აჯანყებისათვის.

მშრომელი მასების სწრაფი გარევოლუციურობის პროცესი, რასაც მაშინ ადგილი ჰქონდა, დაადასტურა აგრეთვე დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენციამ, რომელიც ქუთაისში ჩატარდა 1918 წელს. კონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს სოფელში მოხდა უაღრესად სერიოზული გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ, რომ თითქმის ყველა სოფელში არსებობენ ბოლშევიკური უჯრედები... ჩვენი სოფელი შესამჩნევად გამოიცვალა: მენშევიკებმა იქ ან სრულიად დაკარგეს ნიადაგი, ან ახლა კარგავენ. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ იქ ბოლშევიზმის გასაოცარ ზრდას" — აღნიშნულია კონფერენციის რეზოლუციაში;[2]

1918 წლის პირველ ნახევარში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ ანტისაბჭოთა ძალები — შინაგანი თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია და საერთაშორისო იმპერიალიზმის ძალები. ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, იაპონელი იმპერიალისტები, რომლებიც ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ რუსეთის კონტრრევოლუციურ ძალებს, ვერაგულად შეიჭრენ საბჭოთა რუსეთში, რათა აღედგინათ ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება.

ამიერკავკასია და საქართველო, ისე როგორც მეფის რუსეთის ბევრი სხვა განაპირა მხარე, შინაგანი კონტრრევოლუციისა და იმპერიალისტ კოლონიზატორთა ხელში აღმოჩნდა. ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკმა ისარგებლა საბჭოთა რუსეთში გაჩაღებული სამოქალაქო ომით და არა მარტო ზურგი შეაქცია მას, არამედ მის მოსისხლე მტერთა ბანაკში ჩადგა. ამიერკავკასიის წვრილბურჟუაზიულ-მემამულურმა პარტიებმა ჯერ გერმანელი და თურქი, სოლო შემდეგ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტების წაქეზებითა და მხარდაჭერით, მოწყვიტეს რა ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთს, შექმნეს ეგრეთწოდებული „ამიერკავკასიის რესპუბლიკა", ამ უსუსურმა რესპუბლიკამ სულ რაღაც 35 დღე იარსებიგი ჩქარა დაიშალა ბურჟუაზიულ რესპუბლიკებად.

საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ერთიანი ფრონტის მიუხედავად — ამ კონტრრევოლუციურ ბლოკს შინაგანი ნაციონალისტურ-შოვინისტური წინააღმდეგობანი ღრღნიდა. ამის დამადასტურებელია გერმანელი და თურქი ინტერვენტების წაქეზებით მოწყობილი შეიარაღებული შეტაკება დაშნაკურ სომხეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის 1918 წელს ბორჩალოს მაზრის ერთი სადავო ტერიტორიის გამო.

ეროვნულ შუღლსა და ურთიერთ უნდობლობას მენშევიკები აღვივებდნენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნებათა შორისაც. ცდილობდნენ მათი ურთიერთი წაკიდებით მოეშალათ მშრომელთა ერთიანი ფრონტი, შესაძლებლობა არ მიეცათ მათთვის გაერთიანებული ძალებით შეეტიათ მენშევიკების ანტისალხური მთავრობისათვის.

მენშევიკების მიერ გლეხთა აჯანყებების ჩახშობის შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციები კიდევ უფრო მძიმე პირობებში ჩავარდნენ. მათ მიმართ მთავრობა იყენებდა ძალადობის ყველა ფორმას.

ასეთ ვითარებაში, 1918 წლის ზაფხულში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი იძულებული გახდა ჩრდილო კავკასიაში გადასულიყო, სადაც იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება იყო. ეს გაუადვილებდა მათ საბჭოთა რუსეთთან კავშირის დამყარებას, პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან დირექტივების მიღებას. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირის დასამყარებლად თბილისში დატოვებულ იქნა სამხარეო კომიტეტის თბილისის ბიურო მ. გ. ცხაკაიას მეთაურობით. კავკასიის სამხარეო კომიტეტის საქმიანობაში უშუალო მონაწილეობას იღებდა სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი გ. კ. ორჯონიკიძე, რომელიც იმ დროს კავკავში იმყოფებოდა.

1919 წლის 2 იანვარს კავკავში გაიხსნა რკპ (ბ) კავკასიის მეორე სამხარეო ყრილობა, რომელმაც განიხილა კავკასიაში შექმნილი მდგო-

---

[1]) გაზ. „სოციალ-დემოკრატი, 1918 წ., 26 ივლისი.

[2]) დასავლეთ ამიერკავკასიის ბოლშევიკების კონფერენციის რეზოლუციები, გვ. 5, 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობის უაღრესად აქტუალური საკითხები. არჩეულ იქნა სამხარეო კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

ჩქარა ამის შემდეგ ჩრდილო კავკასია დენიკინელებმა დაიკავეს და სამხარეო კომიტეტის წევრები კვლავ ბაქოსა და თბილისში დაბრუნდნენ.

1919 წელს საქართველოში ახალი ძალით გაჩაღდა პარტიული მუშაობა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ინიციატივით, სამხარეო კომიტეტის წინაშე მაშინვე დააყენეს საკითხი ახალი უფრო მძლავრი შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ. ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დამარცხების შემდეგ, 1919 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა ს. ორჯონიკიძე, სადაც იგი არალეგარულად ცხოვრობდა ერთ თვეს. საქართველოში ყოფნის ეს მცირე პერიოდი მან კარგად გამოიყენა პარტიული ორგანიზაციების დასახმარებლად. მან რამდენიმე თათბირი ჩაატარა რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტების წევრებთან, ესაუბრა და რჩევა მისცა ბევრ სამაზრო და რაიონულ პარტიულ მუშაკს. მითითება მისცა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების შესახებ.

1919 წელს საგრძნობლად გააძლიერა მუშაობა ბოლშევიკების თბილისის ორგანიზაციამ. პარტიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა 9 ივნისს მოახერხეს ბოლშევიკური გაზეთი „ვოლნას“ გამოშვება, რომელმაც თავის არსებობის მოკლე ხნის მანძილზე უაღრესად დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური ორგანიზაციების შემჭიდროებისა და დარაზმვის საქმეში.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო და თბილისის კომიტეტებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის პარტიული ორგანიზაციებისადმი. გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციების მუშაობა ოლქებში, მაზრებსა და რაიონულ ცენტრებში, ცალკეულ ქალაქებსა და სოფლის საზოგადოებაში.

1919 წელს შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად დიდ მუშაობას ეწეოდნენ აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთისა და აჭარის პარტიული ორგანიზაციები. მძლავრი და უაღრესად მებრძოლი პარტიული ორგანიზაციები არსებობდა ქ. ფოთში, ზუგდიდისა და სენაკის მაზრებში. 1919 წელს ბოლშევიკური ორგანიზაციები უაღრესად აქტიურად მოქმედებდნენ ოზურგეთის, დუშეთისა და გორის მაზრებში.

[1]) გაზეთი „ვოლნა“ № 3, 1919 წ.

მას შემდეგ, რაც დენიკინის ბანდებმა ჩრდილო კავკასია დაიპყრეს, 1919 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, ამიერკავკასიასა და საქართველოში მეტად სერიოზული საფრთხე შეიქმნა. დენიკინი აშკარად დაემუქრა ამიერკავკასიას.

რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი სათავეში ჩაუდგა ამიერკავკასიის მშრომელების ერთიანი ფრონტის შექმნას დენიკინის შემოჭრის საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ისე, როგორც ბაქოში, საქართველოშიც ყველა ქალაქსა და სოფელში მშრომელები ერთსულოვნად მხარს უჭერდნენ ერთიანი ანტიდენიკინური ფრონტის შექმნას, მოუწოდებდნენ საქართველოს მთავრობას სათავეში ჩადგომოდა მასების ამ პატრიოტულ განწყობილებას.

ანტიდენიკინურ მოძრაობას აქტიურად დაუჭირა მხარი ბოლშევიკურად განწყობილმა ქართული ჯარების ნაწილებმაც. ფოთში მდგომი მესამე ქართული პოლკის ჯარისკაცების კრება თავის რეზოლუციაში წერდა: „ჩვენ, ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები ჩვენის მხრივ ფიცსა ვდებთ ყველანი, როგორც ერთი, წავიდეთ ფრონტზე და... შეუპოვრად ვიბრძოლოთ კონტრრევოლუციური ბანდების წინააღმდეგ, მათ სრულ განადგურებამდე[1]“. მსგავსი რეზოლუციები გამოჰქონდათ ჯარის სხვა ნაწილების კრებებსაც და ცალკეულ პროფესიულ კავშირებს.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა, როგორც ყოველთვის, ასევე ახლაც რუსეთისა და საერთაშორისო კონტრრევოლუციის მხარეზე აღმოჩნდა. მან დენიკინის ნაცვლად ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ გააჩაღა.

მიუხედავად ამისა, ბოლშევიკებმა გააძლიერეს ბრძოლა დენიკინისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ. 1919 წლის 13 სექტემბერს პარტიის თბილისის კომიტეტის დავალებით რევოლუციონერმა-ბოლშევიკმა არკადი ელბაქიძემ ყუმბარა ესროლა ვერის აღმართზე ავტომანქანით მიმავალ ბარათოვს — დენიკინის ოფიციალურ წარმომადგენელს საქართველოში.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების მიერ მიღებული გადამჭრელი ღონისძიებების შედეგად, დენიკინის შემოჭრის აშკარა საფრთხე აცილებულ იქნა.

1919 წლის ზაფხულში ჩატარდა თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო პარტიული კონფერენციები, სამაზრო, საქალაქო და რაიონული კონფერენციები, რომლებზედაც განსაკუთრებით ირჩეოდა საკითხი საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მომზადების შესახებ.

იმავე წლის ზაფხულში რკპ (ბ) თბილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით შეიქმნა თბილისის გარნიზონის სამხედრო-რევოლუციური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭო, რომელშიაც შეივიდნენ ქალაქში და მის გარეუბნებში განლაგებული სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები.

1919 წლის შემოდგომაზე საბჭოთა რუსეთში მეტად დაძაბული ვითარება შეიქმნა: თეთრებმა დაიკავეს მთელი უკრაინა, აიღეს ორიოლი და უახლოვდებოდნენ ტულასა და მოსკოვს. საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობა მეტად სერიოზული ხდებოდა. პარტიამ მოუწოდა ხალხს აღმდგარიყო სამშობლოს დასაცავად. ლენინმა გადმოისროლა ლოზუნგი: „ყველანი დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველად"! ამ ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, თუ საქართველოში, — დენიკინის ზურგში — მოეწყობოდა საყოველთაო შეიარაღებული აჯანყება, ამით საფრთხე ექმნებოდა დენიკინს, რასაც არ შეიძლებოდა ანგარიში არ გასწეოდა. ამიტომ საქართველოს ბოლშევიკებმა გააძლიერეს მზადება შეიარაღებული აჯანყებისათვის.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად, მათი უშუალო ხელმძღვანელობით, აჯანყების მომზადებისა და გატარების პერიოდში უაღრესად დიდ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაცია „სპარტაკი". პარტიის დავალებით ბევრი კომკავშირელი გაიგზავნა ჯარში საგიტაციო და დაზვერვითი მუშაობისათვის.

1919 წლის ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ორჯერ ზედიზედ განიხილა საკითხი საქართველოში შეიარაღებული აჯანყების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად აჯანყება უნდა დაწყებულიყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორი წლისთავზე, 24 ოქტომბერს, დამით. აჯანყებისას საქართველოს ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ ოქტომბრის რევოლუციის გამოცდილებით. უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის სამხარეო კომიტეტმა შექმნა საქართველოს სამხედრო-რევოლუციური შტაბი (ცენტრი). მსგავსი შტაბები შეიქმნა ყველა მაზრასა და რაიონში, რომლებიც ცენტრს ემორჩილებოდნენ.

მიუხედავად დიდი კონსპირაციისა, აჯანყებისთვის მზადება მენშევიკებს არ გამოპარვიათ. ამომძრავეს ჯაშუშთა ქსელი, გვარდია და „საგანგებო რაზმები", მოახერხეს ზოგიერთი საშაზრო და რაიონული კომიტეტის დაპატიმრება აჯანყების წინა დღეებში.

აჯანყების დაწყებამდე ორი დღით ადრე, 1919 წლის 22 ოქტომბერს თბილისში შედგა სამხედრო-რევოლუციური შტაბის უკანასკნელი თათბირი, სადაც მოწვეული იყვნენ აგრეთვე თბილისის გარნიზონის ბოლშევიკურად განწყობილი ნაწილების წარმომადგენლებიც. მაგრამ გამცემი-პროვოკატორის დასმარებით მენშევიკებისა და ინგლისის დაზვერვამ მიაგნო თათბირს და მისი მონაწილეები დააპატიმრა.

აჯანყების ხელმძღვანელი ცენტრის ჩავარდნის გამო, ცხადია, აჯანყების ბედიც უკვე წინასწარ გადაწყვეტილი იყო. ამის გამო რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა მიიღო დადგენილება აჯანყების დროებით გადადების შესახებ და ამ გადაწყვეტილების შესატყობინებლად წარმომადგენლები დაგზავნა ყველა მაზრაში. დროის სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ყველგან თავის დროზე შეეტყობინებიათ გადაწყვეტილება და ამიტომ იმ ადგილებში, სადაც ცნობამ ვერ მოუსწრო, აჯანყება 24 ოქტომბერს მაინც დაიწყო.

აჯანყებას ფართო ხასიათი ქონდა საჩტრედიის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ხაშურის, დუშეთის, ლაგოდეხის, გორის, სამხრეთ ოსეთის რაიონებში. ამ რაიონებში შეიარაღებული შშრომელი გლეხობა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით, დანიშნულ დროს გამოვიდნენ, იარაღი აჰყარეს ადგილობრივ გვარდიელებსა და მილიციელებს, დაუპატიმრეს ხელმძღვანელი მენშევიკები და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. ამ რაიონებში მშრომელები ძალაუფლებას ინარჩუნებდნენ, სანამ არ გაიგეს ცენტრის ჩავარდნის ამბავი. მაგალითად ხაშურის რაიონში, ზოგიერთ სოფელში მშრომელებმა ძალაუფლება 12 დღეს შეინარჩუნეს. აჯანყების გადადების შესახებ სამხარეო კომიტეტის დადგენილების გაგების შემდეგ ბოლშევიკები იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ და კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყვნენ.

მენშევიკები ჯერ ისედაც ულმობელნი იყვნენ ბოლშევიკების მიმართ, მაგრამ ახლა, აჯანყების შემდეგ, საბაბი მიეცათ ნაშდვილი თეთრი ტერორის გამოსაცხადებლად. ისინი სასტიკად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. ყველგან გაიგზავნა დამსჯელი ექსპედიციები, შეიქმნა სამხედრო-საველე სასამართლოები, სადაც გვარდიის ოფიცრებს თავიანთი სურვილის მიხედვით გამოჰქონდათ „განაჩენი" დაზვრეტის, კატორღის, დაპატიმრების, რესპუბლიკიდან გასახლების შესახებ. აჯანყების რამდენიშე ათეული ხელმძღვანელი დაზვრიტეს, ბევრს კატორღა მიუსაჯეს, ზოლო ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულებით საქართველოს ციხეები აავსეს. დააპატიმრეს ბევრი ხელმძღვანელი პარტიული მუშაკი. ბოლშევიკებისა და მათ თანამგრძნობთა დაპატიმრებები წავიდა აგრეთვე ქართული ჯარის ნაწილებშიაც.

ამ აჯანყებით შეშფოთებულმა მენშევიკების მთავრობამ 1919 წლის ნოემბერში სპეციალუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად განიხილა მთავრობის თავმჯდომარის ნ. ყორდანიას მოხსენება „ბოლშევიკების გამოხვლების შესახებ“ და მიიღო გადაწყვეტილება დამნაშავეთა სასწრაფოდ დასჯის თაობაზე. იმავე წლის 21 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო სპეციალური დეკრეტი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მიუხედავად დამარცხებისა, 1919 წლის შეიარაღებულმა აჯანყებამ მაინც დადებითი როლი შეასრულა: აიძულა მენშევიკები შეესუსტებინა დახმარება დენიკინისათვის, ხოლო დენიკინი იძულებული შეიქმნა თავისი ზურგისათვის მიეხედა, ჯარების გარკვეული ნაწილი საქართველოს საზღვრებისაკენ გადმოეტანა, ეს კი მებრძოლი წითელი არმიისათვის მორალური და რეალური დახმარება იყო.

ამ აჯანყებამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ რუსეთის განაპირა მხარეები მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას და არა დასავლეთის იმპერიალისტებს, როგორც ამის შესახებ ანტანტის მესვეურები გაჰკიოდნენ. დაბოლოს, 1919 წლის შეიარაღებულ აჯანყებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც სამოქალაქო ომის გამოცდილების სკოლას.

1920 წელი საბჭოთა რუსეთისათვის ახალი წარმატებებით დაიწყო. დენიკინის თერგვარდიელი ბანდები წითელმა არმიამ მოსკოვის მისადგომებთან ჩრდილო კავკასიამდე გარეკა.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას კი ფეხქვეშ ნიადაგი ეცლებოდა. კრიზისი გამეფდა ცხოვრების ყველა დარგში. 1920 წლის მარტში ნ. ყორდანია იძულებული იყო ეღიარებინა: „რომ ჩვენ არსებობის უკანასკნელ ეტაპს განვიცდითო“. ახლა მენშევიკებს მხარს აღარ უჭერდნენ არამცთუ მშრომელთა ფართო მასები, არამედ მათივე პარტიის წევრთა დიდი ნაწილი. ეს იყო ანტიხალხური პოლიტიკის ნაძღვილი გაკოტრება, მისი შემოქმედის — მენშევიკური პარტიის სრული იზოლირება მასებისაგან.

მიუხედავად 1919 წელს განცდილი დანაკლისისა, რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა შესძლო არამარტო აღედგინა დარბეული პარტიული ორგანიზაციები, არამედ ახალი ძალით გაეჩაღებინა მუშაობა მასების დასარაზმავად და საბჭოთა ხელისუფლებისათვის საბრძოლველად. კვლავ გაიშალა მუშაობა საქართველოში საყოველთაო შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

წითელი არმიის დიდი გამარჯვებები, რევოლუციური ცეცხლით აღანთებდა საქართველოს მშრომელებს, უოყევ იმედს უნერგავდა მათ მომავალი გამარჯვებისათვის.

1920 წლის პირველ აპრილს კავკასიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრმა და ჩრდილო კავკასიის რევკომის თავმჯდომარემ — გ. კ. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ვ. ი. ლენინს მთელი ჩრდილო კავკასიის განთავისუფლების შესახებ.

აზერბაიჯანის საზღვრებთან წითელი არმიის ცხენოსანთა ბრიგადამ და გლეხებმა 1920 წლის 28 აპრილს ხელში აიღეს ძალაუფლება და შექმნეს აზერბაიჯანის რევკომი. მაგრამ უცხოელი იმპერიალისტების მხარდაჭერით მოსალოდნელი იყო კონტრრევოლუციის ახალი შემოტევა. ამიტომაც აზერბაიჯანის რევკომმა თხოვნით მიმართა რსფსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს, რათა წითელი არმიის ნაწილები აზერბაიჯანშიაც შესულიყო.

ვ. ი. ლენინის მითითებით, აჯანყებულ აზერბაიჯანის ხალხს მიეშველა მე-11 წითელი არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის ხელმძღვანელობით.

ახლა, როცა ჩრდილო კავკასიასა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა, მენშევიკებმა საბჭოთა რუსეთს სამშვიდობო ხელშეკრულება შესთავაზეს. 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. ამ ხელშეკრულებით საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ლეგალური არსებობის უფლება მიიღო. ციხეებიდან განთავისუფლდა ათასზე მეტი ბოლშევიკი. რსფსრ სრულუფლებიან წარმომადგენლად საქართველოში ს. მ. კიროვი დაინიშნა. იწყება საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაცია. კავკასიის სამხარეო კომიტეტის ნაცვლად იქმნება რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო გ. კ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით.

ამავე პერიოდში იქმნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. აქედან იღებს დასაბამს საქართველოს კომუნისტური პარტია, რომლის 40 წლისთავს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან ერთად აღვნიშნავთ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ახალი ენერგიით გააჩაღა მუშაობა პარტიული ორგანიზაციების განმტკიცებისათვის. სწრაფად იზრდებოდა კომუნისტთა რიცხვი. განსაკუთრებით გაძლიერდა თბილისის ორგანიზაცია. გამოცოცხლდა მუშაობა პროფკავშირებსა და მათს ბოლშევიკურ ფრაქციებში. 1920 წლის სამი ივნისიდან ლეგალურად იწყო გამოსვლა საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ორგანომ გაზეთმა „კომუნისტმა“.

გაძლიერდა კომკავშირული ორგანიზაციების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობაც. 1920 წლის 22 მაისს კომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც ჩქარა თავისი ორგანო გაზეთი „მოლოდინი პროლეტარი" გამოსცა.

ს. მ. კიროვის მიერ მიღებული ენერგიული ზომების მიუხედავად საქართველოს მთავრობა ყოველ ნაბიჯზე არღვევდა რსფს რესპუბლიკასთან დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებას. ისინი ღიდი მონდომებით ხელს უწყობდნენ საქართველოში კონტრრევოლუციური ძალების თავმოყრასა და ყირიმში გადაგზავნას გენერალ ვრანგელისათვის, რომლის თეთრგვარდიული ბანდები პოლონელ პანებთან ერთად მოსკოვისაკენ მიიწევდნენ. საკმარისია ითქვას, რომ მენშევიკების ხელშეწყობით ინგლის-საფრანგეთის გემებმა 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოდან ყირიმში 10-12 ათასი თეთრგვარდიელი გადაიყვანეს.

მენშევიკებმა დაარღვიეს აგრეთვე სამშვიდობო ხელშეკრულების ის პუნქტიც, რომელიც ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაციას შეეხებოდა. 1920 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე მასობრივად აპატიმრებდნენ ხელმძღვანელ ბოლშევიკებს, არბევდნენ ბოლშევიკურ პრესას.

1920 წლის აგვისტოში მენშევიკებმა დაარბიეს საქართველოს კომკავშირის ყრილობა და მისი ორგანიზატორი ბ. ძნელაძე საქართველოდან გაასახლეს.

მიუხედავად უსასტიკესი რეპრესიებისა, ბოლშევიკური ორგანიზაციები განაგრძობდნენ მძიმე იატაკქვეშეთის პირობებში მუშაობას, ამზადებდნენ მშრომელთა მასებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში მშრომელებმა დაშნაკების მთავრობა დაამხეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. რევოლუციური კომიტეტის თხოვნით წითელი არმია მიეშველა სომხეთის მშრომელებს კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლასა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში.

ახლა საქართველო თითქმის სამი მხრიდან საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში აღმოჩნდა. მშრომელთა მასები სულ უფრო გაბედულად დგებიან ბოლშევიკების მხარეზე და აშკარად მოითხოვენ გაკოტრებული მთავრობის დამხობას.

1920 წლის ნოემბერში ი. ბ. სტალინმა „პრავდას" თანამშრომელთან საუბრისას კავკასიის მდგომარეობის შესახებ განაცხადა: „საქართველოს კატასტროფიული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა ფაქტია, რასაც ასლანდელი საქართველოს მესვეურებიც კი აღნიშნავენ. ანტანტის ბადეში გახვეული საქართველო, რომელმაც ამის გამო დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური, საქართველო, რომელიც ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაიქცა და ამიტომ საბჭოთა რუსეთთან მტრული ურთიერთობა დაამყარა, — ეს საქართველო ამყამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის...

არა მგონია საეჭვო იყოს, რომ მძიმე წუთს ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა[1]".

ი. ბ. სტალინის ეს წინასწარი განჭვრეტა ისტორიის მსვლელობამ მთლიანად დაადასტურა.

1920 წლის 28 ნოემბერს შეხდა საქართველოს კომპარტიის არალეგალური კონფერენცია, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების პრაქტიკული საკითხი, აირჩია ცენტრალური კომიტეტის ახალი შემადგენლობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტები 1920 წლის დეკემბერში თავიანთ მიმართვაში საქართველოს მშრომელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს წერდნენ: "...ბრძოლა არ უნდა შეჩერდეს არც ერთი წუთით. დაე განაგრძონ მენშევიკებმა ჩვენი დაპატიმრება და ციხეში გამომწყვდევა — ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენს დროში ციხიდან ხელისუფლების სათავემდე და პირუკუ სულ ერთი ნაბიჯია. „...მაშ ასე, ამხანაგებო! მშრომელთა აღდგომა ახლოსაა. კომუნიზმის მზის პირველი სხივები უკვე ეფინებიან მშრომელ საქართველოსაც. გაუმარჯოს კომუნიზმს[2]".

რევოლუციური სიტუაცია ყოველმხრივ მომწიფებული იყო. მენშევიკებს გამოეცალათ საზოგადოებაში დასაყრდენი და ისინი ჰაერში გამოკიდებულნი დარჩნენ.

ასეთ ვითარებაში რკპ (ბ) ც კ-ის კავკასიის ბიურომ 1921 წლის იანვარში მითითება მისცა საქართველოს კომუნისტურ პარტიას დაიჩქაროს შეიარაღებული აჯანყება. პარტიული ორგანიზაციები ფეხზე დადგნენ, მოძრაობაში მოიყვანეს ყველა ბერკეტი, გაისინჯა საბძოლო რაზმების შეიარაღება, პარტიული უჯრედების მზადყოფნა. შეიარაღებული რაზმები ახლა მხოლოდ ხიდწალს ელოდნენ.

1921 წლის 11 თებერვალს შეიარაღებული აჯანყება დაიწყო ბორჩალოს მაზრის ლორის რაიონში. 16 თებერვალს შეხდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელიც სათავეში

[1]) ი. სტალინი, თხზ. ტ. 4, გვ. 446-447.

[2]) გაზეთი „კომუნისტი" № 49. 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას. აჯანყება ჩქარა მოედო საქართველოს მთელ რიგ მაზრებსა და რაიონებს. რევკომმა მოწოდებით მიმართა საქართველოს მშრომელებს: „ამხანაგებო! ძმებო, ქალაქისა და სოფლის მშრომელებო! გაწამებულ, მენშევიკური რეაქციის ყინულით შებოჭილ საქართველოში პროლეტარული რევოლუციის მზე ამოდის. საშუალებას ნუ მივცემთ შავი რეაქციის ძალებს კვლავ დაამბენელოს ის. დაამხეთ ყველგან მენშევიკური ხელისუფლება, აიღეთ ძალაუფლება თქვენს ხელში, შეჰქენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები. ხელი მოჰკიდეთ იარაღს ამხანაგო მშრომელებო! წინ, საბჭოების ხელისუფლებისათვის!

გაუმარჯოს სახალხო აჯანყების ცეცხლსა და კვამლში ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას[1]“.

შეიარაღებულ აჯანყებას თავიდანვე დიდი წარმატება ჰქონდა. მის მხარეზე თანდათან გადადიოდა ჯერ ჯარის ნაწილები, ხოლო ჩქარა მენშევიკურმა გვარდიამაც იწყო დაშლა და აჯანყებულთა მხარეზე გადასვლა. ყველგან იქმნებოდა რევოლუციური კომიტეტები.

საქართველოს მშრომელებს ბოლშევიკების ხელმძღვანელობით შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით დაემხო გაკოტრებული და მასებს მოწყვეტილი მენშევიკური მთავრობა, მაგრამ მათ მზარს უმაგრებდნენ დასავლეთის პირსისხლიანი იმპერიალისტები, რომლებსაც მენშევიკების მთავრობის დამხობა ისე არ აწუხებდათ, რამდენადაც საქართველოს დაკარგვა. ამიტომ ბუნებრივი იყო ანტანტის იმპერიალისტები ადვილად არ დათმობდნენ საქართველოს.

ამ გარემოების გამო საქართველოს რევკომმა თხოვნით მიმართა რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ვ. ი. ლენინს. მიმართვაში ნათქვამი იყო: „საქართველოს მთავრობის დასახმარებლად მოისწრაფვიან ევროპული რეაქციული ძალები. შეერთებულ შავ ლაშქარს შეიძლება წინ აღუდგეს მხოლოდ შეერთებული წითელი სოციალისტური ლაშქარი. ...ჩვენ იმედი გვაქვს, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არამარტო დიდი პროლეტარული რევოლუციის, არამედ აგრეთვე დიდ მატერიალურ შესაძლებლობათა ქვეყანა არ დაგვტოვებს უთანასწორო ბრძოლაში და მოეშველება ახლადშობილ საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას[2]“.

1) საქართველოს სსრ ორცსა, ფონდი 281, ს. 212, ფურც. 2-3.

2) უახლოესი დროის საერთაშორისო პოლიტიკა ხელშეკრულებებსა, ნოტებსა და დეკლარაციებში, 1928, ნაწ. III გვ. 87 (რუს.).

საბჭოთა რუსეთის სოციალისტურ მთავრობას არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია საქართველოს აჯანყებული მშრომელების თხოვნისათვის. მითუმეტეს, რომ მენშევიკები ყოველ ნაბიჯზე არღვევდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, კვლავ ეხმარებოდნენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ კონტრრევოლუციურ ძალებს. არსებობდა რეალური შესაძლებლობა, რომ დასავლეთის იმპერიალისტები ამჯერად დახმარებას გაუწევდნენ მენშევიკებს სახალხო რევოლუციური აჯანყების ჩაქრობაში და კვლავ გააგრძელებდნენ შეტევას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობის მითითებით მე-11 წითელი არმია ს. ორჯონიკიძისა და ს. კიროვის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ მიეშველა საქართველოს მშრომელებს.

1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულმა მშრომელებმა და წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი დაიკავეს. იმავე დღეს ს. ორჯონიკიძემ დეპეშით აცნობა ლენინსა და სტალინს: „თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს, გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

ასე სამარცხვინოდ დაამთავრეს მენშევიკებმა თავიანთი უბადრუკი ბატონობა საქართველოში.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებით დაიწყო საქართველოში ნამდვილად ახალი, მშრომელთა თავისუფალი შემოქმედების ერა, მთელი სახალხო მეურნეობის სწრაფი აღმავლობისა და აყვავების ერა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა და დახმარების შედეგად, საქართველოს მშრომელებისა და კომუნისტური პარტიის დაუღალავი შემოქმედებითი მუშაობით თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველომ, სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში, ისტორიული მნიშვნელობის მიღწევები მოიპოვა. ეკონომიურად ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა მაღალი, მოწინავე კულტურის ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საქართველოს მშრომელები, მისი მებრძოლი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებისა და სოციალისტური ბანაკის ყველა ხალხთან ერთად მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ და თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს კომუნიზმის გამარჯვების დიად ისტორიულ საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომპარტია ქართველი ხალხის შრომითი საქმიანობის ორგანიზატორი დიდ სამამულო ომში (1941—1945 წ. წ.)

დოც. ა. ეგრალიძე

სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში (1941—1945 წ. წ.) საბჭოთა არმიის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა თავდადებული შრომის გარეშე ფაბრიკებსა და ქარხნებში, შახტებსა და მაღაროებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში.

მშვიდობიანი ეკონომიკის სწრაფად გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე, რომელსაც ომი მოითხოვს, არმიის უზრუნველყოფა სამხედრო საჭურვლითა და ცოცხალი ძალით, „განპიროებებულია მეომარი ქვეყნის ზურგის მდგომარეობით.

„ომის წამდვილად საწარმოებლად, — მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, — აუცილებელია მტკიცე, ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან, ეს იმდენად ნათელია, რომ განმარტებას არ საჭიროებს“[1].

საბჭოთა სახელმწიფომ, ეყრდნობოდა რა ჩვენი გმირი ხალხის შემოქმედებით ინიციატივას, მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის დახმარებას, მტკიცე, ორგანიზებულ ზურგს, უზრუნველყო ფრონტის მომარაგება ყველაფრით, რაც საჭირო იყო ვერაგი მტრის გასანადგურებლად.

საბჭოთა ხალხის ბრძოლისა და გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო კომუნისტური პარტია. იგი უნერგავდა საბჭოთა ადამიანებს ღრმა პატრიოტიზმის გრძნობას, მამაცობას, გამბედაობასა და ბრძოლისათვის მზადყოფნას. პარტიის ორგანიზატორულმა მუშაობამ გააერთიანა და საერთო მიზნისაკენ წარმართა ჩვენი ქვეყნის მთელი ძალები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ომის დროის რთული ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

* * *

მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოს მოძმე ხალხებთან ერთად ქართველი ხალხიც თავდადებულად იბრძოდა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ჩვენი სამშობლოს თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და ღირსებისათვის. თუ ქართველი ხალხის ერთი ნაწილი იარაღით ხელში იცავდა სოციალისტურ სამშობლოს, მისი მეორე ნაწილი შრომითს საქმიანობას ეწეოდა ზურგში და ამით ხელს უწყობდა მტერზე გამარჯვებას.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც შეამჭიდროვა რესპუბლიკის მშრომელები ომის დროის ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის ბრძოლაში, დიდი მუშაობა ჩაატარა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნის საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, (1941 წლის 21—22 ოქტომბერი), შეაჯამა ომის პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მუშაობა და დასახა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები. პლენუმმა დაავალა რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერებით უზრუნველყოფილ სამრეწველო საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვებისა და საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების მაღალხარისხოვნად შესრულება. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მოკლე დროში შესაძლებელი გახდა წედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ფულადი სახსრებისა და სხვა საშუალებათა მობილიზაცია. გატარდა ღონისძიებანი მრეწველობის საჭირო მუშახელით უზრუნველსაყოფად: ფრონტზე წასული მამაკაცები შეცვალეს ქალებმა და ახალგაზრდებმა. წარმოებებს დაუბრუნდნენ პენსიაზე გადასული დამსახურებული მუშები, საწარმოთა შორის მოხდა მუშახელის გადანაწილება. ფაბრიკა-ქარხნებში გაიშალა ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ფართო ხასიათი მიიღო პროფესიის შე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 27, გვ. 72-73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლებამ და მრავალდაზგოვანთა მოძრაობამ. ომის პირველსავე დღეებში ფართოდ გაიშალა ორი ნორმის შემსრულებელთა — „ორასოვანთა“ მოძრაობა. მის პირველ ინიციატორად საქართველოში გამოვიდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა. „ორასოვანთა“ პირველ რიგებში კომუნისტები იდგნენ, ისინი იძლეოდნენ გმირული შრომის საუკეთესო მაგალითებს. შემდგომში კი წარმოების მოწინავე ადამიანებმა იწყეს სამი, ოთხი და მეტი ნორმის შესრულება.

წარმოების მოწინავე ადამიანების რაციონალიზატორული წინადადებებისა და გამომგონებლობის დანერგვით რესპუბლიკის საწარმოები მილიონი მანეთობით ეკონომიას აძლევდნენ სახელმწიფოს.

ამიერკავკასიის რკინიგზის ნავთლუღის კვანძის სამუშაოებზე ავტოსაკონტროლო საამქროს ზეინკალმა, კომუნისტმა ვ. კიკნაძემ გულდასმით შეისწავლა ჰაერგამანაწილებლის თვითეული ნაწილი და მიაღწია იმას, რომ ჰაერგამანაწილებლის მუშაობის ხანგრძლივობის დრო შეკეთებიდან შეკეთებამდე ექვსიდან თვრამეტ თვემდე გაადიდა. ამით სახელმწიფოს წლიურად მისცა 29 ათასამდე მანეთის ეკონომია, ხოლო ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების შედეგად შრომის ნაყოფიერება სამჯერ გაიზარდა. შრომის მოწინავეთა ასეთი ინიციატივა ერთეულებით როდი განისაზღვრებოდა.

1941 წლის დავალება საქართველოს ყველა ძირითადმა სამრეწველო სახალხო კომისარიატმა გადაჭარბებით შეასრულა. 1941 წლის მეორე ნახევარში გამოშვებულ იქნა 12 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე პირველ ნახევარში. ამ პერიოდში საქართველოს მრეწველობის მუშაკებმა ითვისეს ისეთი ახალი პროდუქციის გამოშვება, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა.

1942 წელს მუშათა კლასმა, საომარი მოქმედების მეტად რთულ პირობებში, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით, შრომითი შემოქმედების ახალი ნიმუშები გვიჩვენა. მრეწველობის ყველა დარგში, განსაკუთრებით მძიმე მრეწველობაში, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა რიცხვი იმ ადამიანებისა, რომლებიც საწარმოო დავალებებს 1000 პროცენტით ასრულებდნენ. დაიწყო „ათასოვანთა“ მოძრაობა. საწარმოებში ინერგება „ათასოვანთა“ გამოცდილება. ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანამ 1942 წელს განხორციელებული რაციონალიზატორული წინადადებათა შედეგად მიიღო 476 ათას მანეთზე მეტი ეკონომია.

1942 წლის პირველ ნახევარში, რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა თვითღირებულების შემცირების გზით მიიღეს 1.360 ათასი მანეთის ეკონომია.

1943 წელს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის საწარმოთა მუშაკების მოწოდების საპასუხოდ ჩვენი რესპუბლიკის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები ჩაებნენ საკავშირო შეჯიბრებაში გეგმების გადაჭარბებით შესრულებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების პირობები წარმატებით ხორციელდებოდა. გაიზარდა ქვანახშირის ამოღება ტყიბულსა და ტყვარჩელის შახტებში; „ტყვარჩელ-ქვანახშირის“ ტრესტის სისტემის ქვანახშირის მნგრეველებმა გამომუშავების წლიური ნორმები საშუალოდ 114 პროცენტით შეასრულეს.

გადიდდა მარგანეცის ამოღება. ჭიათურის მაღაროების კოლექტივმა 1943 წლის მარტო 15 და 16 ნოემბერს გეგმის ზევით ჩვენს ქვეყანას მისცა რამდენიმე ათეული ტონა მარგანეცი.

ახალი წარმატებანი მოიპოვეს გუმბრინის მუშებმა. მათ 15 დღით ადრე შეასრულეს წლიური დავალება და გეგმის გადაჭარბებით ამოიღეს ათასობით ტონა გუმბრინი სსრ კავშირის იმ ნავთის რაიონებისათვის, რომლებიც საბჭოთა არმიამ გაათავისუფლა. 1943 წ. რესპუბლიკის მრეწველობამ კარგი მაჩვენებლები მოგვცა. მარტო მანქანათმშენებლებმა და ლითონგადამმუშავებელმა ქარხნებმა გამოუშვეს 100 მილიონი მანეთის პროდუქცია და შით გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ასეთივე მდგომარეობა იყო მრეწველობის ძირითად დარგებში. საწარმოო დავალებათა წარმატებითა და გადაჭარბებით შესრულების საქმეში მოწინავეთა რიგებში იდგა თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანა, ბათუმის მომთუთიებელი ქარხანა, თბილისის მაუდკამვოლისა და ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ქუთაისის ტყავფეხსაცმელების კომბინატი და სხვა.

ახალი შრომით აღმავლობით შეხვდა რესპუბლიკის საწარმოთა მუშები 1944 წელს. განუწყვეტლივ უმჯობესდება წარმოების ტექნიკა, იზრდება პროდუქციის გამოშვება. ლითონდამმუშავებელმა მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვება ერთიორად გაადიდა. ქ. თბილისის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა 11 თვის განმავლობაში. ტყიბულსა და ტყვარჩელში ქვანახშირის ამოღება 1941 წელთან შედარებით დაახლოებით სამნახევარჯერ გადიდდა. 1944 წელს ჩვენი მრეწველობის მეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილ დარგებში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,9 პროცენტით შესრულდა.

სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ათასობით საწარმომ მიაღწია საუკეთესო მაჩვენებლებს, რითაც საპატიო ადგილი დაიკავა სსრ კავშირის მოწინავე საწარმოთა შორის და მიიღო სხვადასხვა სახის ჯილდოები.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა ომის ვითარების შესაბამისად გარდაქმნეს ტრანსპორტის მუშაობა. ტრანსპორტმა წარმატებით შეასრულა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრა ფრონტის შეუფერხებელი მომსახურეობის ხაზით. საქართველოს საორთქლმავლო დეპოები დიდ დახმარებას უწევდნენ იმ გზებს, რომლებიც დაზიანდნენ საომარი მოქმედების შედეგად. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებმა ომის წლებში შეაკეთეს სამხედრო მოქმედებისაგან დაზიანებული 180 ორთქლმავალი. მნიშვნელოვანი სათადარიგო ნაწილების ცენტრალიზებული წესით მომარაგების შეუძლებლობის გამო, მათი დამზადება ხდებოდა თბილისისა და სამტრედიის დეპოებში. კარგი მუშაობისათვის ამიერკავკასიის რკინიგზას, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა საქართველოს რკინიგზაც, რამდენიმეჯერ გადაეცა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა.

* * *

სსრ კავშირის მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნე გლეხობასთან ერთად ჭეშმარიტად გმირული მუშაობა გასწიეს საქართველოს კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა — ჩვენი ქვეყნისა და ფრონტის სურსათით, ხოლო მრეწველობის — ნედლეულით მომარაგებისათვის. მათ მთელი ძალები დარაზმეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემდგომი გადიდებისათვის. ნაკლები მუშახელით მეტი მოცულობის სამუშაოს შესრულება — აი რა იყო დამახასიათებელი ომიანობის დროის სოფლისათვის.

სოფლის მეურნეობაში ფართოდ დაინერგა ორასოვანთა, სამასოვანთა და ხუთასოვანთა მოძრაობა. ნორმების გადაჭარბებით შესრულება სოფლის მეურნეობის მუშაკების ღირსების საქმე გახდა. გლეხობის პატრიოტული მოძრაობის სათავეში იყვნენ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები. მათ შეამჭიდროვეს სოფლის მშრომელები ომის დროის რთული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ომის პერიოდში არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში კომუნისტთა რიცხვი შემცირდა 40 პროცენტით. შემცირდა აგრეთვე კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ქსელი. მიუხედავად ამისა, საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს [illegible] დასმული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ათეული ათასობით აგიტატორი, ხელშძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ატარებდნენ.

საომარი მოქმედების ძნელ პირობებში, როცა თავდაცვის საჭიროებისათვის მობილიზებული იყო ტრაქტორები და ცოცხალი გამწეები ძალა, როცა მკვეთრად შემცირდა სოფლის მეურნეობის მომარაგება საწვავი მასალითა და მწვავედ იგრძნობოდა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით ჩაატარეს საშემოდგომო თესვა და გაზარდეს ძირითადი კულტურების სათესი ფართობი.

1942 წელს რესპუბლიკის საზღვრებთან ფრონტის მოახლოვების გამო ათასობით კოლმეურნე გადაყვანილ იქნა თავდაცვით სამუშაოზე, ამასთან ერთად ამიერკავკასიის ფრონტის მომარაგების ძირითადი სიმძიმე დაეწვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებს, ხოლო მისი დიდი ნაწილი საქართველოს სოფლის მეურნეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1942 წლის მარტის პირველ რიცხვებში განიხილა რესპუბლიკაში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობის საკითხი და დასახა ღონისძიებანი მათი წარმატებით შესრულებისათვის. მართალია, 1942 წლის სათესი ფართობის ზრდისა და ჰექტარიდან მარცვლეულის აღების გეგმა ვერ იქნა შესრულებული, მაგრამ კოლმეურნეთა დიდი უმრავლესობის თავდადებული მუშაობის შედეგად მთელი რიგი კულტურების მიხედვით ავიღეთ მეტი მოსავალი, ვიდრე 1941 წელს.

1942 წელს სათესი ფართობი წინა წელთან შედარებით გაიზარდა 53 ათასი ჰექტარით. პურის ჩაბარების გეგმა მთლიანად საქართველოში შესრულდა 101,5 პროცენტით. გაფართოვდა ისეთი მნიშვნელოვანი კულტურების სათესი ფართობი როგორიცაა: მარცვლეულის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ბაჭრის ჭარხლისა და სხვა.

საკოლმეურნეო სოფლის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრის საქმეში უდიდესი როლი შეასრულეს კოლმეურნე ქალებმა. ისინი აქტიურად ჩაებნენ საკოლმეურნეო ცხოვრებაში, ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას და ამტკიცებდნენ შრომის დისციპლინას. მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში ჯარში წასულ მამაკაცთა ნაცვლად კოლმეურნეობათა თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მჯდომარედ წამოყენებულ იქნა ოთხი, ბორჩალოს რაიონში კი — ორი ქალი. მოწინავე კოლმეურნე ქალები ეუფლებოდენ ტრაქტორის მართვის საქმეს. 1941 წლის ბოლოსათვის რესპუბლიკაში ტრაქტორისტად მომზადებული იქნა 1600 ქალი. ასობით ქალმა გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვადასხვა ტიპის სპეციალური კურსები. საგარეჯოს მანქანა-სატრაქტორო სადგურის ტრაქტორისტმა ქალებმა შექმნეს სპეციალური ბრიგადა, რომელიც გამომუშავების ნორმებს სისტემატურად 120—150 პროცენტით ასრულებდა და ყოველდღიურად ათობით კილოგრამ საწვავს ზოგავდა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1943 წლის ოქტომბერვლის პირველ ნახევარში განიხილა საკითხი საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მზადების შესახებ, მიუთითა სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებულ ნაკლოვანებებზე და დასახა ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად.

1943 წლისათვის მიღწეულ იქნა სათესი ფართობის შემდგომი გადიდება. სახელმწიფოს ჩაბარდა 27.336 ტონით მეტი პური და 5.300 ტონით მეტი ბოსტნეული და კარტოფილი, ვიდრე 1940 წ. კოლმეურნეობებმა და კოლწევრებმა ვალდებულების შესრულების შემდეგ სახელმწიფოს მიჰყიდეს ნახევარ მილიონ ფუთზე მეტი პური.

მიუხედავად იმისა, რომ 1941-1942 წლების ყინვების გამო ციტრუსოვანი კულტურები დაზიანდა, სახელმწიფოს მაინც ჩაბარდა რამოდენიმე ასეული მილიონი ცალი ციტრუსოვანი ნაყოფი.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ომის პირობებში დიდ დახმარებას ღებულობდა საბჭოთა მთავრობისაგან. გაიზარდა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურების შესასყიდი ფასები: ჩაისა და ყურძნის — სამჯერ, თამბაქოსი — ორჯერ. ჩაის, ყურძნისა და თამბაქოს მთელი პროდუქციისათვის, რომელიც საქართველოს უნდა ჩაებარებინა ახალი ფასებით, 1944 წელს კოლმეურნეები მიიღებდნენ 402 მილიონ მანეთს, მაშინ როცა ძველი ფასებით მიღებდნენ 164 მილიონ მანეთს.

1944 წელს გადაჭარბებით შესრულდა ჩაის, ჩაის მწვანე ფოთლის, ციტრუსების, თამბაქოს, ხორცისა და სახელმწიფო ვალდებულებათა სხვა გეგმები. სამამულო ომის სამი წლის განმავლობაში ნათესი ფართობი 80 ათასი ჰექტარით გადიდდა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 7 იანვრის ბრძანებულებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვებულ იქნენ საქართველოს კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები — სულ 527 კაცი.

ქართველი ხალხის ეს გამარჯვება შრომითს ფრონტზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების განუყოფელი, შემადგენელი ნაწილი იყო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

* * *

ჩვენი რესპუბლიკის მუშებთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ინტელიგენციაც. იგი თავდადებულად შრომობდა ტექნიკისა და კულტურის დარგში, წარმატებით ავითარებდა საბჭოთა მეცნიერებას და შემოქმედებითად იყენებდა მის მიღწევებს ფრონტისადმი დახმარებისათვის.

საქართველოს მეცნიერებმა დიდი ღონისძიებანი განახორციელეს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრების გამოზრდისათვის. ომის წლებში დიდი ნაბიჯი გადადგა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის შესწავლისა და გამოვლინების საქმეში. ფართოდ გაიშალა გეოლოგიური ძიებითი მუშაობა, დაზუსტდა ცნობები არსებული მინერალური რესურსების შესახებ, აღმოჩენილი იქნა რიგი ახალი საბადოები და დაიწყო მათი ექსპლოატაცია.

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები წარმატებით წყვეტდნენ დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლების მკურნალობის მაღალხარისხოვნად მოწყობის ამოცანას. მკურნალობის ეფექტიურობის ამაღლების მიზნით მოეწყო სპეციალიზირებული ინსტიტუტები — ნეიროქირურგიული, ყბისა და პირისახის და ფიზიო-თერაპევტული, სადაც ფართოდ იყენებდნენ მკურნალობის უახლესსა და კომპლექსურ მეთოდებს. საქართველოს სისხლის გადასხმის ინსტიტუტი სისტემატურად ამარაგებდა ფრონტს, ზურგსა და ევაკოგოსპიტლებს საჭირო რაოდენობის კონსერვირებული სისხლით და მით ხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწყობდა დაჭრილებისა და ავადმყოფების ჯანმრთელობის აღდგენის საქმეს.

ომის მძიმე პირობებში ქართველმა მწერლებმა, მხატვრებმა, არქიტექტორებმა, მოქანდაკეებმა, რეჟისორებმა და სხვ. თავიანთი შემოქმედებითი ძალები დაუმორჩილეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანას. ქართული საბჭოთა ლიტერატურა მხატვრული სიტყვით ებმარებოდა საბჭოთა ხალხს ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. თავიანთ ნაწარმოებებში მათ ასახეს საბჭოთა ადამიანის სულიერი ვითარება, მათი შეუდრეკელობა. ომის დღეებში გამოქვეყნდა ი. გრიშაშვილის ლექსი — „ჩვენს დებს და დედებს“ და შ. აფხაიძის „ფიცი“, რომლებიც რეალურად ასახავდნენ ჩვენი ქვეყნის ზურგის განწყობილებას. ალ. აბაშელის ლექსი „არ მოუშვა, დაჭკარი“, ალ მაშაშვილის — „მყინვარი“ და ირ. აბაშიძის — „კაპიტანი ბუხაიძე“ განირჩეოდნენ სინამდვილის დრამატული შეგრძნებით, მოწოდებით, პათოსითა და მგზნებარებით.

ომის ძნელ პირობებში არ შეჩერებულა ჩვენი თეატრების შემოქმედებითი მუშაობა. ქართული სათეატრო ხელოვნება ქმნიდა ცხოვრების სიმართლის ამსახველ სცენიურ სურათებს, რომლებიც ხალხში აღვივებდა პატრიოტულ გრძნობებს, აღფრთოვანებდნენ მასებს მტერთან თავდადებული ბრძოლისა და გმირული შრომისათვის.

ომის წლებში 700-ზე მეტი ახალი დადგმა გვიჩვენეს ჩვენმა თეატრებმა. საქართველოს ხელოვნების მუშაკებმა მოაწყვეს 26 ათასამდე უფასო კონცერტი ფრონტზე, ჰოსპიტლებსა და გამწვევ პუნქტებში. ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს 160-მდე სამხედრო სალაშქრო სიმღერა. ომის დროის ამსახველ სერიოზულ მხატვრულ ღირებულებას ქმნიდნენ საქართველოს მხატვრები.

სოციალისტური სამშობლოსადმი ჩვენი ხალხის ღრმა სიყვარულის გამოვლენის ერთ-ერთი ფაქტი იყო საყოველთაო სახალხო მოძრაობა სახელმწიფო თავდაცვის ფონდის შექმნისათვის, რომელიც სამამულო ომის დაწყების პირველსავე თვეში ჩაისახა ჩვენი ქვეყნის ყველა მხარეში. მის ინიციატორად მოსკოვის მშრომელები გამოვიდნენ.

საქართველოს მშრომელებმა მხარი დაუჭირეს ამ პატრიოტულ საქმეს და თავდაცვის ფონდში თავიანთი დანაზოგების შეტანით ხელს უწყობდნენ მტერზე გამარჯვების საქმეს. საქართველოს მშრომელებმა ომის პერიოდში სამ მილიარდ მანეთზე მეტი მისცეს საბჭოთა სახელმწიფოს ფრონტისათვის.

1943 წლის ზამთარში საქართველოს მშრომელებმა 162 მილიონი მანეთი შეაგროვეს თვითმფრინავთა ესკადრილიის „საბჭოთა საქართველოს“ ასაგებად. ასეთივე პატრიოტული აღმავლობით ჩატარდა ხელმოწერა სახელმწიფო სამხედრო სესხზე. მეორე სახელმწიფო სესხზე ხელმოწერამ გადააჭარბა 488 მილიონ მანეთს, ნაცვლად გათვალისწინებული 314 მილიონი მანეთისა.

1943 წლის აგვისტოში საკავშირო კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „გერმანელ ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“.

პარტიისა და მთავრობის ამ გადაწყვეტილების საპასუხოდ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სახალხო ურთიერთდახმარება. საქართველოს მშრომელებმა ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს გერმანელ ოკუპანტებისაგან გათავისუფლებულ რაიონებს. საბჭოთა კავშირის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ ამიერკავკასიის რკინიგზამ, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელმა ქარხანამ, თბილისის კიროვის, კალინინისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნებმა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, ფოთისა და სოხუმის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს გათავისუფლებულ რაიონებს მრეწველობისა და ტრანსპორტის აღდგენის საქმეში.

საქართველოდან ამ რაიონებში გაიგზავნენ ინჟინრები, ტექნიკოსები, კვალიფიციური მუშები და სხვა სპეციალისტები. მათ მონაწილეობა მიიღეს ნიკოპოლის მარგანეცისა და დონეცის ქვანახშირის შახტების, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, ზაპოროჟიეს ფეროშენადნობის, ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, ორჯონიკიძისა და ვოროშილოვგრადის რკინიგზის ხაზის აღდგენით სამუშაოებში და სხვ. გათავისუფლებულ რაიონებში გაგზავნილ იქნა მედიცინის ხუთასამდე მუშაკი მედიკამენტებითა და სხვადასხვა სამედიცინო ხელსაწყოებით.

საქართველოს კოლმეურნე გლეხობამ ფაშისტური ოკუპაციით დაზარალებულ რაიონებს მარტო 1943 წელს დახმარების სახით გაუგზავნეს: მოსავალი 5500 ჰექტარი მიწიდან, რომელიც სპეციალურად ამ მიზნისათვის იყო დათესილი, ცხრაათასი სული ჰსხვილფეხა საქონელი, ათასობით ღორი, ცხვარი და სხვა.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ასეთი პატრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოტული ინიციატივის შედეგად შესაძლებელი გახდა გათავისუფლებულ რაიონებში სახალხო მეურნეობის აღდგენის დიდი და ძნელი ამოცანის წარმატებით გადაჭრა.

ფრონტისადმი ხალხის ერთსულოვანი დახმარების ერთ-ერთი მკაფიო პატრიოტული გამოვლინება იყო ზრუნვა სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებზე. ადგილებზე თვით ხალხის ინიციატივით იქმნებოდა ფრონტელთა ოჯახებისადმი დახმარების ფონდები. მათ დახმარება ეწეოდა პროდუქტებით, ტანსაცმელით, საკარმიდამო ნაკვეთებიდან მოსავლის აღებაში და სხვა. დიდი ყურადღება ექცეოდა მათ ბავშვებსა და ოჯახის შრომისუნარიანი წევრების შესაფერის სამუშაოზე მოწყობას.

საქართველოში ომის სამი წლის განმავლობაში მარტო რიგითი მებრძოლებისა და სერჟანტთა შემადგენლობის ოჯახებს გაეწიათ 600 მილიონ მანეთზე მეტი დახმარება ომის დამატებით, რასაც სახელმწიფო უწევდა სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს.

ჩვენი სახელოვანი მებრძოლების, მეთაურებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მსახურების ოჯახებისათვის გაწეული დახმარებისა ყოველი ღონისძიება დადებით გავლენას ახდენდა საბჭოთა არმიის განწყობილებასა და მათ ბრძოლისუნარიანობაზე.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით შრომის ფრონტზედაც გვიჩვენეს სიმამაცის, გმირობის, თავდადებისა და სოციალისტური სამშობლოსადმი სიყვარულის შესანიშნავი ნიმუშები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანეს მტერზე გამარჯვების საქმეში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში

მ. გ. ვეფხვაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ თვალნათლივ განსაზღვრა საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ამოცანები კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე, განიხილა საბჭოთა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების საკითხები და მოგვცა პრინციპული დასკვნები. ყრილობამ დიდი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სახელმწიფოსა და დემოკრატიის განვითარების საკითხებს. პარტია მიგვითითებს, რომ კომუნიზმის გამარჯვება მოითხოვს საბჭოთა დემოკრატიის სულ უფრო და უფრო განვითარებას, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა სფეროში ფართო მასების ჩაბმას, თითოეული საბჭოთა ადამიანის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში, რომ ზოგიერთი ფუნქციები, რომლებსაც ამჟამად სახელმწიფო ორგანოები ასრულებენ, მათ რიცხვში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის ფუნქციები, თანდათან უნდა გადავიდეს საზოგადოებრივი ორგანოების გამგებლობაში, რომ საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევათა ფაქტებს. ყრილობამ ამავე დროს მიუთითა, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროფილაქტიკურ და აღმზრდელობით ღონისძიებათა გამოყენებას, რომლებიც წინასწარ აფრთხილებენ, ხოლო შემდეგში კი სულაც აღკვეთენ ცალკეულ ადამიანებში რაიმე ისეთი დანაშაულის გამოჩენას, რაც ზიანს აყენებს საზოგადოებას. სწორედ ამიტომაა, რომ სოციალისტური კანონიერების ყოველნაირად განმტკიცება ჩვენს ქვეყანაში პარტიას მიაჩნია კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად. ამის შედეგი კი ის არის, რომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყოველდღიური ყურადღებითა და ზრუნვით სულ უფრო იზრდება ფართო საზოგადოებრიობის და მშრომელთა მონაწილეობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესიის მიერ მიღებულ კანონებს სისხლის სამართლის კანონმდებლობის, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საფუძვლების შესახებ, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავენ ჩვენი სახელმწიფოს ძირითად ხაზს სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

საბჭოთა კანონიერების განმტკიცების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ 1960 წლის 25 ივნისს მიღებული კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ, სადაც მოცემულია რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების წყობისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები. ასევე დიდმნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.

სახალხო სასამართლოების არჩევნები დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კამპანიაა და ხელს უწყობს სასამართლო წარმოების შემდგომ გაუმჯობესებას. და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს კანონების მტკიცედ შესრულებას.

საბჭოთა სასამართლო წყობილების, სასამართლო ორგანიზაციის, მისი მთელი საქმიანობის საფუძველია საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიზმის დიადი პრინციპები რაც თავის გამოხატულებას პოულობს სახალხო სასამართლოების არჩევნების სისტემაში.

საბჭოთა სასამართლო ნამდვილად სახალხო სასამართლოა, რადგან ის არჩეულია თვით ხალხის მიერ და სარგებლობს ხალხის ნდობით. სახალხო სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ზრდის მოქალაქეებს ჩვენი სამშობლოს ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებით, საზოგადოებრივი საკუთრებისადმი სოციალისტური დამოკიდებულებით, შრომის დისციპლინის დაცვით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის გრძნობით. ამავე დროს სისხლის სამართლის სასჯელის ღონისძიებათა გამოყენებით სასამართლო არამარტო სჯის დამნაშავე პირებს, არამედ ფართოდ იყენებს გამაფრთხილებელ და აღმზრდელობით ღონისძიებებს.

საბჭოთა სასამართლო დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული. სსრ კავშირის კონსტიტუციის 105—109 მუხლების შესაბამისად სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება არჩევნების საწყისებზე.

სახალხო სასამართლოების არჩევნებს, როგორც ეს არჩევნების დებულების მე-14 მუხლითაა გათვალისწინებული, აწყობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მშრომელთა დეპუტატების რაიონული და სახალხო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მეშვეობით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო (სადაც რაიონული დაყოფა არაა) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები გარდა იმისა, რომ რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ქმნიან საარჩევნო უბნებს და ამტკიცებენ საუბნო-საარჩევნო კომისიებს, რეგისტრაციაში ატარებენ სახალხო მოსამართლეების კანდიდატებს, რომლებიც წამოყენებული არიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის, საქართველოს სსრ წყობილების კანონისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების მოთხოვნათა დაცვით. ამარაგებენ საუბნო საარჩევნო კომისიებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ სახალხო მოსამართლეების არჩევნებისათვის დაწესებული ფორმის საარჩევნო ბიულეტენებით; არკვევენ რაიონში, ქალაქში სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგებს; აძლევენ სახალხო მოსამართლედ არჩეულებს არჩევის მოწმობას; განიხილავენ საჩივრებს საუბნო საარჩევნო კომისიების არასწორი მოქმედების შესახებ.

მაღალი და საპატიო მოვალეობა აკისრიათ სახალხო მოსამართლეებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომაა, რომ სახალხო. მოსამართლეთა, სახალხო მსაჯულთა კანდიდატურების წინაშე დიდი მოთხოვნილებანია.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოები სახალხო მოსამართლეებს ირჩევენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით — ხუთი წლის ვადით. ხოლო ამავე სასამართლოების სახალხო მსაჯულებს მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ჯარის ნაწილებში — სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე, — ღია კენჭისყრით ორი წლის ვადით. მოსამართლეებისა და მსაჯულთა არჩევნების წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მოსამართლედ და მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის შეუსრულდა 25 წელი.

სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს სხვა ადამიანის ბედი და სახელმწიფოს სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება, უნდა იყოს კრისტალურად წმინდა, ამართლებდეს ხალხის ნდობას. მოსამართლე უნდა იყოს ხალხის თავდადებული მსახური, კანონების ზუსტად და განუხრელად შემსრულებელი, მაღალი სიფაქიზის ადამიანი, მაგალითის მიმცემი პირად ცხოვრებაში და თავის საქმიანობაში. მას უნდა ქონდეს სხვისი გასამართლებისა და აღზრდის არამარტო უფლებრივი, არამედ მორალური უფლებაც.

მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების პრინციპის განხორციელების საქმეში თავისი გამოსახულება ჰპოვა სასამართლო წყობილების კანონის იმ მუხლებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. სასამართლო წყობილების კანონში მითითებულია, რომ მოსამართლეთა განთავისუფლება თანამდებობისგან და სახალხო მსაჯულთა მათი მოვალეობისაგან, დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩეველთა გაწვევით, ანდა მათ შესახებ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით.

საბჭოთა სასამართლო უნდა იყოს ობიექტური, ყოველმხრივ და საფუძვლიანად განიხილოს თვითეული საქმე. სასამართლოს ამოცანაა სწორად გადაწყვიტოს სამოქალაქო დავა. არ დაუშვას უდანაშაულო ადამიანის დასჯა. გაასამართლოს ნამდვილი დამნაშავე, მისცეს სწორი კვალიფიკაცია მის მოქმედებას, მკაცრად ინდივიდუალურად მიუდგეს დამნაშავე პირის მიმართ გამოსატან გადაწყვეტილებას, ღრმად შეისწავლოს ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, საფუძველი და ხარისხი, დამნაშავის პიროვნება, გარემო პირობები, დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სახალხო სასამართლოს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ სასჯელი ყოველთვის უნდა იყოს სამართლიანი და ზომიერი და მხოლოდ მაშინ შეუძლია მიაღწიოს მიზანს.

სახალხო მოსამართლეს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მის წინაშეა, რომ სახალხო სასამართლოს თვითეულ შეცდომას, რომელიც დაშვებული იქნება მოქალაქის საჩივრის განხილვის დროს, შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს საბჭოთა ხალხის, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიისა და მთავრობის განუხრელი ყურადღების შედეგია ის, რომ ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვნად ამაღლდა და განმტკიცდა საბჭოთა კანონიერება და მართლმსაჯულება, საბჭოთა ხალხის წინაშე მდგომი იმ ამოცანების შესაბამისად, რაც დღეისათვისაა დასახული ჩვენს წინაშე.

ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებმა უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გააუმჯობესეს მუშაობა დამნაშავეობასთან ბრძოლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის საქმეში, რის შედეგადაც მიმდინარე წელს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების 97,2 პროცენტი სტაბილურია, ხოლო დადგენილი ვადის დარღვევით საქმეთა განხილვის შემთხვევები მცირდება. ამაში გარკვეული წვლილი მიუძღვით, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებს, რომლებიც სწორად მუშაობენ, ნაკლებ შეცდომებს უშვებენ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გარჩევისას.

კარგად უძღვებიან სახალხო მოსამართლის საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობას გურჯაანის რაიონის სახალხო მოსამართლეები მ. ფურცელაძე და ი. კოჭლამაზაშვილი, თავიანთ მუშაობაში კარგი მაჩვენებლები აქვთ ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე ა. იობიძეს, სახალხო მოსამართლეებს ე. სანდუხაძეს და ე. კუბლაშვილს. ქ. მახარაძის სახალხო მოსამართლეს ნ. გობრონიძეს, ქ.სოხუმის სახალხო მოსამართლეს ა. ჭაჭიას, ქ. თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს ყოფ. თავმჯდომარეს ამხ. გ. იოსავას, ლენინის რაიონის ყოფ. სახალხო მოსამართლე ბ. არვიაშვილს, ბათუმის სახალხო მოსამართლე ჩხარტიშვილსა და სხვ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში სამწუხაროდ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. არის შემთხვევები, როდესაც ზემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ უქმდება და ირღვევა როგორც უსწორო და კანონის დარღვევით გამოტანილი, საკასაციო წესით გასაჩივრებული და გაპროტესტებული განაჩენები. განაჩენების გაუქმების შემთხვევებს ზოგჯერ ადგილი აქვს პროცესუალური ნორმების დარღვევის გამო. არის იმის შემთხვევებიც, როდესაც სახალხო მოსამართლეებს გამოაქვთ არასწორი, ლიბერალური განაჩენები. სწორედ ამის გამო იყო, რომ კასპის სახალხო მოსამართლე ა. გოგოლაძე, ადიგენის სახალხო მოსამართლე ჰ. გოგოლაძე, თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლე ჯანდიერი და კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლე ი. ყაველაშვილი ვადაზე ადრე იქნენ გამოწვეული სახალხო მოსამართლეობიდან.

სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ იყო გაშლილი. ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ათასობით აგიტატორი ფართოდ განუმარტავდა მშრომელებს სსრ კავშირის კონსტიტუციას, საბჭოთა სასამართლოს დემოკრატიულ პრინციპებს.

არჩევნების მზადების ორგანიზატორულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად ადრიდანვე გაიშალა სამზადისი. მიმდინარე წლის 9 თვეში სახალხო მოსამართლეების მიერ ამომრჩეველთა წინაშე ჩატარებულია 1216 საანგარიშო მოხსენება. ამხანაგურ სასამართლოს თავმჯდომარეებთან და ამხანაგურ სასამართლოს წევრებთან—1167, სახალხო რაზმეულების წევრებთან — 403. იურიდიული დარგის მუშაკთა ძალებით სახალხო სასამართლოების არჩევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების დემოკრატიულ პრინციპებზე, საბჭოთა რევოლუციური კანონიერების შესახებ, საბჭოთა კონსტიტუციის დიად პრინციპებზე. მოსახლეობისათვის ჩატარდა 1068 ლექცია, მოხსენება და საუბარი.

საბჭოთა სასამართლო აგებულია სოციალისტურ დემოკრატიულ პრინციპებზე; იგი ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში. მოსამართლეთა ანგარიშგება ხალხის წინაშე საბჭოთა სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი პრინციპია, რომელიც უარყოფს მოსამართლეთა გამოუცვლელობის ბურჟუაზიულ პრინციპს. მარტო ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიულ იუსტიციის სამყაროში მოსამართლენი ინიშნებიან, მიგვითითებს იმაზე, რომ იქ არ არის მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და გამოუცვლელობა. საბჭოთა სასამართლო კი ძირფესვიანად განსხვავდება ექსპლოატატორთა ინტერესების დამცველი ბურჟუაზიული სასამართლოსაგან.

18 დეკემბერს საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს რა მონაწილეობა სახალხო სასამართლოების არჩევნებში, ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა კანონიერების სადარაჯოზე აირჩიეს ჩვენი სამშობლოს ერთგული ადამიანები, რითაც კიდევ უფრო განამტკიცეს ჩვენი სამშობლოს ძლიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საკითხისათვის საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალურ სამართალში

ნ. ლოლთქიფანიძე

დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საკითხი პროცესუალური სამართლის ერთ-ერთი მეტად აქტუალური პრობლემაა.

უდიდესია მისი როლი საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. ამიტომ, ცხადია, რომ დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საწყისის დარღვევა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების უცილობელ საბაბს წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საწყისი თითქმის დამუშავებულია საბჭოთა პროცესუალური სამართლის მეცნიერებაში; იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზე არა თუ მონოგრაფიული გამოკვლევები, საჟურნალო სტატიებიც კი არ მოგვეპოვება.

ვინაიდან შეუძლებელია აღნიშნული პრობლემის ყოველმხრივი გაშუქება, ეს სტატია მიზნად ისახავს სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლენინური სწავლების, სამოქალაქო მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის საფუძველზე, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით გამოიკვლიოს პრობლემის ძირითადი საკითხები.

* * *

მტკიცებითი სამართლის ყოველი სისტემისათვის ცნობილია დამამტკიცებელ საბუთთა სხვადასხვა სახეები. საბჭოთა პროცესუალური სამართალიც ადგენს დამამტკიცებელ საბუთთა განსაზღვრულ სახეებს, როგორიცაა: მოსარჩელის, მოპასუხის და საქმეში მონაწილე სხვა პირთა ახსნა-განმარტებანი, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და ექსპერტის დასკვნა, რომლებიც სამოქალაქო საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საშუალებებს წარმოადგენენ.

საბჭოთა სამოქალაქო პროცესში სასამართლოს მიერ დამამტკიცებელ საბუთთა გამოყენება ნიშნავს კანონით დაშვებული დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევასა და შეფასებას. დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საწყისის მოთხოვნა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მტკიცების საგნის ამა თუ იმ ფაქტის დადგენისათვის გამორიცხულია მტკიცების ყოველგვარი საშუალება, გარდა კანონით გათვალისწინებულისა.

ეს პროცესუალური წესი, უპირველესად ყოვლისა, მიმართულია სასამართლოს მიერ ვარგისი, საიმედო მტკიცებითი მასალის უზრუნველსაყოფად, რაც საქმეზე სწორი დასკვნების გამოტანის გარანტიას წარმოადგენს. ამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიხსნება ის გარემოება, რომ ფიცი, ანონიმური წერილი, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, უცნობია საბჭოთა სასამართლო პროცესისათვის.

დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობასა და მათ განკუთვნადობას შორის არსებობს განსაზღვრული თანაფარდობა. საქმეზე ყოველი დასაშვები დამამტკიცებელი საბუთი ამავე დროს განკუთვნადიცაა, მაშინ, როდესაც ყოველი განკუთვნადი დამამტკიცებელი საბუთი, ე. ი. საბუთი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის, როდია დასაშვები. სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს მხოლოდ ის განკუთვნადი დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც თავისი ფორმის მიხედვით კანონის მოთხოვნას შეესაბამება. მაშასადამე, განკუთვნადობა დამამტკიცებელი საბუთის ისეთი თვისებაა, რომელიც მის შინაარსს გამოხატავს, დასაშვებლობა კი იმ პროცესუალურ ფორმას, რომელშიაც ეს შინაარსი ვლინდება. ამიტომ, სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამამტკიცებელ საბუთთა შეფასებისას ერთობლივ უნდა განიხილოს დამამტკიცებელ საბუთთა განკუთვნადობისა და დასაშვებლობის საწყისების მოთხოვნები.

დასაშვებლობის საწყისი ასახულია სამოქალაქო მატერიალურ და საპროცესო სამართლის იმ ნორმებში, რომლებიც მოითხოვენ სამოქალაქო — სამართლებრივ გარიგებათა გამოხატვას განსაზღვრულ ფორმებში და მათი დარღვევის შემთხვევაში ითვალისწინებენ მატერიალურ და საპროცესო-სამართლებრივ შედეგებს.

კანონით გათვალისწინებული ფორმის დაუცველობა გამოიწვევს გარიგების ბათილობას იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ან სანოტარო ფორმა (ზოგჯერ შემდგომი რეგისტრაციით სათანადო ორგანოში) წარმოადგენს გარიგების ნამდვილობის აუცილებელ, არსებით ელემენტს. ასე, მაგალითად, სერიოზული პრაქტიკული მოსაზრების გამო ხელშეკრულება სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის დაიდება წერილობით, დაზღვევის ხელშეკრულება, ბათილობის რიდით, წერილობით უნდა დაიდოს (საქ. სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 379 მუხ.), საქორწინო ურთიერთობის დამადასტურებელია მხოლოდ მმაჩ-ის ორგანოების მოწმობა ქორწინების რეგისტრაციის შესახებ; სანოტარო წესი დადგენილია ანდერძისათვის (425 მუხ.) შენობის დაგირავებისათვის (მუხ. 90), ათას მანეთზე მეტი თანხის ქონების უსასყიდლოდ დათმობის ხელშეკრულებისათვის (ჩუქებისათვის) (მუხ. 138), შენობის წინასწარი სანასყიდო სიგელისათვის (მუხ. 182[1]); თვით შენობის ნასყიდობა კი თანახმად სამოქალაქო კოდექსის 185 მუხლისა, ბათილობის რიდით, დამოწმებული უნდა იქნას სანოტარო წესისამებრ შემდგომი რეგისტრაციით კომუნალურ განყოფილებაში; რწმუნებულება ქონების გამგებლობისათვის ასევე, ბათილობის რიდით, დამოწმებული უნდა იქნას სანატორო წესით და ა. შ.

უკეთუ აღნიშნულ შემთხვევებში დარღვეულია კანონის მოთხოვნა ფორმის დაცვის შესახებ, გარიგება ითვლება ბათილად. სხვა ფორმა ვერ შეავსებს გარიგების არარსებულ ელემენტს და ამიტომ მას ვერ აქცევს გარკვეულ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლად. ცხადია, სრულიად ზედმეტი ხდება პროცესში მოწმისა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების დაშვება არარსებული გარიგების ნამდვილობის მტკიცების მიზნით. ამ მხრივ დამახასიათებელია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 1953 წლის 14 დეკემბრის დადგენილება № 3922 შენობის ნასყიდობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანოტარო ფორმის დაუცველობის გამო ხელშეკრულების ბათილადაცნობის შესახებ.

სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით ნაგებობაზე საკუთრების უფლების შესახებ ისეთ დავებს, როდესაც მოსარჩელე მოითხოვს მეორე მხარისაგან, რომელიც თავს არიდებს გარიგების სანოტარო წესით დამოწმებას, გარიგების გაფორმებას სანოტარო ორგანოში. ასეთი სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ გარიგება არაფერს კანონსაწინააღმდეგოს არ შეიცავს და მხარეების მიერ ფაქტიურად უკვე შესრულებულია[1].

ასეთი დავების გადაწყვეტილებისას სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იქნას წერილობითი დამამტკიცებელი საბუთით და არა მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც შეიძლება დაშვებულნი იქნან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი ფაქტების დასადგენად.

ამრიგად, ფორმის დაუცველობა გამოიწვევს გარიგების ბათილობას მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეთი შედეგი აღნიშნულია კანონში (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 29-ე მუხლი).

სხვა შემთხვევებში კი წერილობითი ფორმა წარმოადგენს არა ვალდებულებათა წარმოშობის იურიდიული შედგენილობის ელემენტს, არამედ მხოლოდ გარიგების მტკიცებადობის პირობას, რის გამოც ფორმის დარღვევა იწვევს პროცესუალურ შედეგებს. აღნიშნული წესი მოცემულია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლში, რომელიც მოწმის ჩვენებას მიიჩნევს დასაშვებ დამამტკიცებელ საბუთად ყოველთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსაზღვრული მოქმედებისა და ურთიერთობისათვის კანონით დაწესებულია სავალდებულო წერილობითი ფორმა. ამ მუხლის კონკრეტიზაცია მოცემულია ამავე კოდექსის 136 მუხლის შენიშვნაში, რომლის ძალითაც უკეთუ ხელშეკრულების წერილობითი ფორმა დარღვეულია, მხარეთ უფლება არა აქვთ დავის შემთხვევაში, ხელშეკრულების დასადასტურებლად დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებას, ხოლო შეუძლიათ წარადგინონ სხვა დოკუმენტები. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება საქმეზე № 36 1197 მოქ. ა-ს სარჩელისა გამო მოქ. კ-სთან შესანახად გადაცემული კარტოფილის ღირებულების — 1224 მანეთის გადახდევინების შესახებ.

სასამართლო კოლეგიამ 1950 წლის 29 ნოემბრის სხდომაზე განიხილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი აღნიშნულ საქმეზე და გააუქმა როგორც წალკის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს 1948 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, ისე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1948 წლის 23 აგვისტოს დადგენილება შემდეგი მოტივით: სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დაამყარა მოწმეთა ჩვენებაზე, მაშინ, როდესაც მოპასუხე უარყოფდა მოსარჩელისაგან კარტოფილის შესანახავად მიღების ფაქტს, ამით კი დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136-ე მუხლის შენიშვნის მოთხოვნა.

სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს გამსესხებლის მოთხოვნა ვალის დაბრუნების შესახებ იმ შემთხვევაში თუ დარღვეულია ხელშეკრულების წერილო-

[1] იხ. «Сборник разъяснений Верховного суда РСФСР», 1935, стр. 33.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი ფორმა, მაგრამ მის განკარგულებაში იმყოფება მოპასუხის წერილი, რომლითაც უკანასკნელი მოითხოვს ვალის გადახდის გადავადებას ან სხვა ფორმით აღიარებს სესხის ფაქტს.

მოწმის ჩვენება ასევე არ დაიშვება სესხის ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების დასადასტურებლად. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ამ საკითხს სპეციალურად მიუძღვნა თავისი 1925 წლის 16 ნოემბრის დადგენილება, რომელშიც სასამართლოებს სახელმძღვანელოდ მიეთითათ სესხის გადახდის ფაქტის დასამტკიცებლად დაუშვან მხოლოდ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები.[1] უკანასკნელი წლების სასამართლო პრაქტიკას არ შეაქვს არავითარი ცვლილება აღნიშნულ თეზისში. 1959 წლის 4 თებერვალს რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ძალაში დატოვა ქვემდგომ ინსტანციის სასამართლოთა დადგენილებები კირიჩენკოს სარჩელისა გამო მოქ. ბუიაკიანთან სესხის ხელშეკრულების ძალით 10.000 მანეთის გადახდევინების შესახებ და უარყო რსფსრ-ს პროკურორის პროტესტის მოთხოვნა აღნიშნულ საქმეზე დადგენილების გაუქმების შესახებ იმ მოტივით, რომ მოპასუხის მიერ სესხის დაბრუნების ფაქტის დასადასტურებლად სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მოწმეთა ჩვენებები.[2]

რაპოპორტის აზრით, აღნიშნული დადგენილება მცდარია და ეწინააღმდეგება ადრე არსებულ პრაქტიკას, რამდენადაც მითითებები, რომლებიც კრძალავენ მოწმეთა ჩვენებებს იმ ხელშეკრულებებისათვის, რომლისთვისაც დადგენილია წერილობითი ფორმა, ეხებიან მხარეთა შორის დავას გარიგების დადების ფაქტის თაობაზე და არა გარიგების აღსრულების ფაქტს, რომლის დასადგენადაც დაიშვებიან ნებისმიერი დამამტკიცებელი საბუთები მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით.[3]

რაპპოპორტს აღნიშნული დებულება იმდენად ურყევად მიაჩნია, რომ არც კი ცდილობს მის ჯეროვან დასაბუთებას. სინამდვილეში კი ახალი პრაქტიკა, როგორც დავინახეთ, თანმიმდევრული და დამადასტურებელია ძველი პრაქტიკის შინაარსისა, რომელიც სამოქალაქო კოდექსის 136 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე კატეგორიულად მოითხოვს წერილობით დამამტკიცებელ საბუთებს, როგორც სესხის დადების ფაქტის, ასევე სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ფაქტის დასადგენად.

136 მუხლის შენიშვნის შესაბამისად ხელშეკრულების წერილობითი ფორმა შეიძლება შეცვლილ იქნას სხვა დოკუმენტით ყოველგვარი ქონების ერთ წელზე მეტი ვადით დაქირავების ხელშეკრულების (სამოქ. სამართ. კოდ. 153 მუხ.), თავდებობის ხელშეკრულების (მუხ. 238), საკომისიო ხელშეკრულების (მუხ. 275) მიმართ და ა. შ.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საბჭოთა სამოქალაქო პროცესში მოწმეთა ჩვენებები დაიშვებიან უმეტეს გარიგებათა დადგენისათვის. კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა მტკიცებითი პროცესის გამარტივების მიზნით, სადაც ეს შესაძლებელია, უშვებს რიგ გამონაკლისებს სამოქალაქო სა-

---

[1]. იხ. «Сборник разъяснений Верховного Суда РСФСР», М., 1935, стр. 74.

[2]. «Советская юстиция» 1959 г. № 6, стр. 85.

[3]. Я. Раппопорт, О примечании к ст. 136 ГК РСФСР, «Социалистическая законность» 1959 г. № 12, стр. 59-60.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლის კოდექსის 136 მუხლის შენიშვნაში გათვალისწინებული ზოგადი წესიდან მოწმის დაუშვებლობის შესახებ. მოწმეთა ჩვენებები დაიშვებოდნენ ომის დროის ვალდებულებათა მიმართ ხელშეკრულების ფორმის დაუცველობისას და დაიშვებიან მოდავის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზით დოკუმენტის დაკარგვისა ან მოსპობის (მაგ., სტიქიური უბედურება, გატაცება) შემთხვევაში.

საქმეზე განკუთვნადი მოწმის ჩვენება სასამართლოს მიერ შეიძლება არ იქნას დაშვებული მოწმის საქმის შედეგით დაინტერესებისა ან მოწმესა და მხარეს შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში (სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 133 მუხლი).

იქ, სადაც ფაქტების გამოკვლევისათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა, სასამართლოს შეუძლია, თანახმად საპროცესო კოდექსის 153 მუხლისა, დანიშნოს ექსპერტი, რომლის დასკვნაც ვერ იქნება შეცვლილი სხვა სახის დამამტკიცებელი საბუთით.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს მხარის მიერ იმ იურიდიული ფაქტების აღიარების პრობლემა, რომელთა დასადგენად 136 მუხლის შენიშვნის ძალით საჭიროა გარიგების წერილობითი ფორმის დაცვა, რაც მხარეების მიერ დარღვეულია. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ 136 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო აღიარების შესამოწმებლად უშვებს ყოველგვარ დამამტკიცებელ საბუთებს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა უზბეკეთის სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება, რომლითაც უარი ეთქვა მოქ. შ-ს სარჩელზე მოქ. მ-თან სახლზე საკუთრების უფლების შესახებ იმ მოტივით, რომ მოსარჩელემ არ წარადგინა წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები, რითაც დაარღვია უზბეკეთის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 136 მუხლის შენიშვნის მოთხოვნა. საქმის მასალებიდან კი ჩანს რომ მხარეები ნათესაურ კავშირში ყოფილან და სახლის მშენებლობა დაუწყიათ სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე; მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯის ნაწილი აღიარებულია მოპასუხის მხრით. ასეთი გარემოების არსებობისას სასამართლოს არ ქონდა უფლება უარი ეთქვა მოწმეთა ჩვენების პროცესში დაშვებაზე.

ხოლო თუ ფორმა წარმოადგენს გარიგების კონსტიტუციურ ელემენტს, რომლის არარსებობა გარიგებას აქცევს დაუსრულებლად, ბათილად, აღიარება ასეთ შემთხვევაში ვერ იქნება მოწინააღმდეგე მხარის კანონით დადგენილი დამამტკიცებელი საბუთის წარდგენისაგან განთავისუფლების საფუძველი. ამ მხრივ საყურადღებოა რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის 1927 წლის № 1 ინსტრუქციული წერილი, რომელშიაც მითითებულია, რომ ყველა ასეთი გარიგება, რომელიც არ აკმაყოფილებს ფორმის თვალსაზრისით კანონის მოთხოვნას, მხარეთა თხოვნისა და შუამდგომლობის მიუხედავად სასანართლოს მიერ ცნობილი უნდა იქნას ბათილად რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 151-ე მუხლში გათვალისწინებული შედეგებით, ე. ი. თითოეული მხარე ვალდებულია დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც მას ხელშეკრულებით მიუღია.

სამართლის ნორმებიდან, რომლებიც ადგენენ გარიგების გარკვეულ ფორმას, გამომდინარეობს, რომ მხარეებს უფლება აქვთ თავისი გარიგება გამოხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონ უფრო კვალიფიციური ფორმით, ვიდრე ამას მოითხოვს კანონი მოცემული კონკრეტული შემთხვევისათვის.

ბუნებრივია იბადება კითხვა, რითაა გამოწვეული ზოგიერთი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძვლის მტკიცებისათვის ესოდენ თავისებური წესები?

დამამტკიცებელ საბუთთა ამა თუ იმ სახის დასაშვებლობა სამოქალაქო სამართლის პროცესში განპირობებულია, უპირველესად ყოვლისა, თვით დასადგენი ფაქტის შინაარსის მნიშვნელობითა და სირთულის ხარისხით და, მეორე მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის ინტერესებით; გარიგების განსაზღვრული ფორმის დაცვას შეაქვს სიცხადე გარიგების შინაარსში, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას აძლევს გარკვეულ ხასიათს და, მაშასადამე, ემსახურება სოციალისტური ეკონომიური ბაზისის განმტკიცება-განვითარებას. კანონი მოითხოვს რიგ შემთხვევებში გარიგების სანოტარო ფორმის დაცვას იმ მიზნით, რომ ნოტარიუსმა, რომელსაც ევალება სოციალისტური კანონიერების ზუსტად განხორციელება, გარიგების დამოწმებისას უზრუნველყოს მისი ნამდვილობა გარიგების პირობების — მისი მართლზომიერების, მხარეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის და ა. შ. — შემოწმების გზით.

პრინციპულად სრულიად სხვა მიზანს ისახავს დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის ბურჟუაზიული საწყისი, რომელიც სხვა პროცესუალურ ინსტიტუტებთან ერთად წარმოადგენს საიმედო დასაყრდენსა და იარაღს ბურჟუაზიის ვიწრო კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ინგლისურ-ამერიკული მტკიცებითი სამართალი, რომელიც ხასიათდება უკიდურესი ფორმალიზმით, კაზუისტურობითა და შინაგანი წინააღმდეგობებით; ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული „უკეთესი დამამტკიცებელი საბუთის“[1] თეორიასთან, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს დამამტკიცებელი საბუთის ფასსა, ძალასა და მნიშვნელობას.[2] ასე, მაგალითად, ინგლისურ-ამერიკულ სამართალს ყველაზედ უკეთეს დამამტკიცებელ საბუთად მიაჩნია წერილობითი დამამტკიცებელი საბუთი[3].

იმპერიალიზმის ეპოქაში ბურჟუაზიის დიქტატურის სოციალური ბაზის შეკვეცა-შევიწროებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო რეაქციული ხდება ბურჟუაზიული სასამართლო პროცესი. სხვა არაფრით არ შეიძლება აიხსნას სასამართლო პროცესში მოწმედ ურწმუნოთა დაუშვებლობა, რითაც პროგრესულად განწყობილ პირებს მოსპობილი აქვთ საშუალება პროცესში თავისი მონაწილეობით შუქი მოჰფინონ მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას.

დასაშვებლობის საწყისის ანტიხალხური ხასიათი კიდევ უფრო მეტად ღრმავდება დამამტკიცებელი საბუთების დაშვების საკითხის გადაწყვეტისას მთელი დისკრეციული ძალაუფლების ე. წ. გვირგვინოსანი მოსამართლის ხელში თავმოყრის შედეგად.

---

1. К. Кенни. Основы уголовного права, М., 1949, стр. 410.
2. Phipson, manual of the law of ewidence, 6 th F da London 1943. p 2,
3. Эдуард Дженкс, Анелийское право, М., 1947, стр. 118.

ზოგიერთი ბურჟუაზიული იურისტი გამოდიოდა დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საწყისის წინააღმდეგ იმ არგუმენტით, რომ ასეთი წესი ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. რევოლუციამდელი პროცესუალისტი ა. გოლმსტენი აღნიშნავს, რომ დამამტკიცებელი საბუთების შერჩევის შეზღუდვა სასამართლოს უხშობს გზას ჭეშმარიტებისაკენ[1].

სინამდვილეში, არა მარტო ბურჟუაზიულ დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საწყისი, არამედ ის სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ ბურჟუაზიული სასამართლო წარმოების აღნაგობას, პროცესის თვით სისტემა, დამამტკიცებელ საბუთთა გამოყენების მეთოდები და პრინციპები მიმართული არიან სამოქალაქო პროცესში ფორმალური და არა ობიექტური ჭეშმარიტების დამყარებისაკენ.

სასამართლოს მიერ დასაშვებლობის საბჭოთა საწყისის ძირითადი მოთხოვნების ზუსტი და განუხრელი დაცვა წარმოადგენს საქმეზე ობიექტური სინამდვილის ფაქტებთან შესაბამისი დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანის რეალურ გარანტიას.

---

[1]. А. Х. Гольмстен, Правда и милость в гражданском суде «Юридические исследования и статьи», том 1, стр. 244, 245.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოზარდთა შრომის ანაზღაურება და პენსიებით უზრუნველყოფა

სოციალისტურ საზოგადოებაში ხელფასი შრომის მიხედვით განაწილების პრინციპის შესაბამისად წესდება. შრომის მიხედვით განაწილება წარმოადგენს სოციალიზმის ეკონომიურ კანონს და გულისხმობს, რომ ყოველი მუშაკის ხელფასი განისაზღვრება შრომის რაოდენობითა და ხარისხით. თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურება წარმოებს მიუხედავად მოქალაქეთა სქესისა, რასისა და ეროვნებისა.

შრომის მიხედვით განაწილების პრინციპი სოციალისტურ სახელმწიფოში ვრცელდება მოზარდ მუშა-მოსამსახურეებზეც (ე. ი. 18 წლამდე პირებზე). მაგრამ მოზარდი თაობის შრომის დაცვის, მწარმოებლურ შრომასთან მათი სწავლების დაკავშირების და დასვენების ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნის ამოცანები განაპირობებენ წარმოებაში მომუშავე არასრულწლოვანებისთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესებას. ერთ-ერთ ასეთ შეღავათს წარმოადგენს მოზარდ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების თავისებური წესის განხორციელება. თავისებურება გამოწვეულია იმით, რომ 18 წლამდე ასაკის პირთა სამუშაო დღე ჩვეულებრივ სამუშაო დღესთან შედარებით შემოკლებულია; 15-დან 16 წლამდე მოზარდებისათვის დაწესებულია 4-საათიანი, 16-დან 18 წლამდე — 6 საათიანი სამუშაო დღე. არსი თავისებურებისა კი მდგომარეობს იმაში, რომ შემოკლებული სამუშაო დღისათვის შრომის ანაზღაურება წარმოებს შესაბამისი კატეგორიის სრულწლოვან მუშაკთა ნორმალური სამუშაო დღისათვის დადგენილი ხელფასის თანაბრად. ამრიგად, მოზარდი ხელფასს იღებს არა მარტო შრომის რაოდენობის და ხარისხის პროპორციულად, არამედ აგრეთვე იმ დროისათვისაც, რაც მან კანონის თანახმად არ იმუშავა ნორმალური სამუშაო დღის შესრულებამდე[1].

მოზარდთა შრომის ანაზღაურების ასეთი წესის განხორციელება მოწმობს, რომ სოციალისტური საზოგადოება, ჰქმნის რა ახალგაზრდობის შრომისა და დასვენების საუკეთესო პირობებს, ამავე დროს სავსებით უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას.[2]

სოციალიზმის დროს ხელფასის ორი ძირითადი ფორმა არსებობს. დროითი და სანარდო. მოზარდთა შრომის ანაზღაურება შეიძლება როგორც ერთი, ისე მეორე ფორმით. ხელფასის დროითი ფორმის არსებობისას მოზარდი მისი სამუშაო საათებისათვის კუთვნილ ხელფასს გარდა დამატებით იღებს არული სამუშაო დღის დამთავრებამდე დარჩენილი საათების შესაბამის დროითს სატარიფო განაკვეთსაც. მაგალითად, თუ 16 წლის ვ. სვანიძე მესამე თანრიგის ზეინკლად მუშაობს ისეთ საწარმოში, სადაც შვიდსაათიანი სამუშაო დღეა და მესამე თანრიგინ სრულწლოვანი ზეინკლის საათობრივი

---

[1] შრომის კანონთა კოდექსი. მუხ. 61, 67.

[2]. არასრულწლოვანებს თავიანთი შრომის ხელფასის დამოუკიდებლად განსხვავების უფლება აქვთ (სამოქალაქო სამართლის კოდექსი მუხ. 9).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროითი სატარიფო განაკვეთი 4 მანეთს შეადგენს, მაშინ სვანიძე 6 საათის მუშაობისათვის კუთვნილ 24 მანეთს (6×4=24) გარდა, დამატებით კიდევ მიიღებს 4 მანეთს იმ ერთი საათისათვის, რაც ნორმალური სამუშაო დღის შესრულებამდე დარჩა.

ისეთ სამუშაოზე, სადაც ხელფასის სანარდო ფორმა არსებობს, მოზარდი მუშის შრომის ანაზღაურება იმ სანარდო შეფასებათა მიხედვით წარმოებს, რაც სრულწლოვანი მუშისთვისაა. დაწესებული. დღიურ სანარდო გამომუშავების გარდა, მოზარდი იმ დროისათვის, რომლითაც მისი სამუშაო დღე ნაკლებია ნორმალურ სამუშაო დღესთან შედარებით, დამატებით ანაზღაურებას იღებს შესაბამისი თანრიგის მუშის სანარდო საათობრივი სატარიფო განაკვეთის მიხედვით. მაგალითად, 17 წლის ზ. გურგენიძე მუშაობს ხარატად და აქვს მეორე თანრიგი, ამ თანრიგის სანარდო საათობრივი სატარიფო განაკვეთი კი 2 მან. და 50 კაპიკია. სამუშაო დღის განმავლობაში, ვთქვათ, გურგენიძემ გამოიმუშავა 22 მან. 7 საათიანი სამუშაო დღის არსებობისას ამ თანხას უნდა დაემატოს კიდევ ერთი საათის სანარდო სატარიფო განაკვეთი, ამ შემთხვევაში 2 მან. და 50 კაპ. ე. ი. გურგენიძის ხელფასი ამ დღისათვის შეადგენს 24 მან. და 50 კაპიკს.

წარმოებაში მოწაფედ მყოფი მოზარდები მათთვის დაწესებული შემოკლებული სამუშაო დღისათვის (16 წლამდე 4 საათი, 16-დან 18 წლამდე — 6 საათი) შრომის ანაზღაურებაში გათანაბრებული არიან სრულწლოვან მოწაფეებთან.[1] ხელფასის დროითი ფორმის მქონე მუშათა პროფესიების ინდივიდუალური სწავლების წესით დაუფლების დროს მოწაფეთა შრომის ანაზღაურება წარმოებს შემდეგნაირად: სწავლების პირველი ორი თვისათვის ისინი იღებენ პირველი თანრიგის მუშის სატარიფო განაკვეთის 75 პროცენტს, მესამე და მეოთხე თვისათვის — 80 პროცენტს, ხოლო მეხუთე თვიდან სწავლების ვადის დამთავრებამდე ყოველთვიურად — 90 პროცენტს. სატარიფო განაკვეთის პროცენტული ოდენობის ასეთი მატება უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ მოწაფეებად მყოფ პირთა შრომის ნაყოფიერება სწავლების ბოლო თვეებში თანდათან მატულობს. სათანადო ანაზღაურებაზე მყოფ მუშათა პროფესიების შესწავლის პერიოდში მოწაფეები მათ მიერ დამზადებული ვარგისი პროდუქციისათვის ხელფასს იღებენ საწარმოში მოქმედ ნორმათა და შეფასებათა მიხედვით. გარდა ამისა მათ დამატებით ეძლევათ: სწავლების პირველი თვისათვის ხელფასის დროითი ფორმის მქონე პირველი თანრიგის მუშის თვიური სატარიფო განაკვეთის 75 პროცენტი, მეორე თვისათვის — 60 პროცენტი, მესამე თვისათვის — 40 პროცენტი, ხოლო მეოთხე თვიდან პროგრამით გათვალისწინებული სწავლების ვადის დამთავრებამდე ყოველთვიურად — 20 პროცენტი. თვიური დროითი სატარიფო განაკვეთის ოდენობის ასეთი შემცირება ამ შემთხვევაში უეჭველია, იმითაა გამოწვეული, რომ სწავლების მეორე თვიდან მოწაფეთა სანარდო გამომუშავება თანდათან იზრდება.

თითქმის ასეთივე წესით ხდება ბრიგადულ სწავლებაზე მყოფ მოწაფეთა შრომის ანაზღაურებაც. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მათ დამზადებული ვარგისი პროდუქციისათვის ხელფასის ნაცვლად სწავლების მეორე თვიდან ბრიგადის სანარდო გამომუშავებიდან ეძლევათ პირველი თანრიგის მუშის

1. Сборник законодательных актов о труде, 1960 გვ. 658.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროითი სატარიფო განაკვეთი. ისეთ აგრეგატზე მომუშავე ბრიგადაში სწავლისას, რომელსაც ბრიგადის წევრთა რაოდენობის ზრდის პირობებში არ შეუძლია მოგვცეს პროდუქციის გამოშვების გადიდება, მოწაფეები ხელფასს იღებენ დროითი ანაზღაურების წესით.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მოსწავლე ახალგაზრდებს სასწავლო წლის მანძილზე სამუშაო კვირა შემოკლებული აქვთ ერთი ან ორი დღით ან ამ დღეთა შესაბამისი საათებით.[1] ამ წესით სამუშაოდან განთავისუფლების დროისათვის (არა უმეტეს 36 სამუშაო დღისა ან ამ დღეთა შესაბამისი საათებისა სასწავლო წლის განმავლობაში) მოსწავლეებს ხელფასი ეძლევათ მათი საშუალო გამომუშავების 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არანაკლებ კანონით დადგენილი მინიმუმისა. კოლმეურნეობებს შეუძლიათ სამუშაოდან თავისუფალი დღეები (ან საათები) მისცენ სასოფლო სამეურნეო არტელში მომუშავე იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შრომას უთავსებენ სწავლას და განთავისუფლების დროისათვის მისცენ მათ საშუალო გამომუშავების 50 პროცენტი.

საშუალო სკოლათა IX—XI კლასების მოსწავლეთა საწარმოო სწავლების (პრაქტიკის) უშუალოდ სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გავლის დროს შრომის ანაზღაურება ხდება შემდეგი წესით. სანარდო სამუშაოებზე მოსწავლე მის მიერ ფაქტიურად დამზადებული პროდუქციისათვის ხელფასს იღებს საწარმოში შემოღებული ნორმებისა და შეფასებების მიხედვით, ხოლო დროითი ანაზღაურების სამუშაოზე — დამოუკიდებლად შესრულებული სამუშაოს ან შტატის მუშაკის შეცვლისათვის ფაქტიურად დახარჯული დროისა და მოცემული სამუშაოსათვის დაწესებული სატარიფო თანრიგის მიხედვით.[2] საწარმოო პრაქტიკის უშუალოდ სამუშაო ადგილებზე გავლის დროს ასეთივე წესით ხდება წარმოებისაგან მოწყვეტით საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდების შრომის ანაზღაურებაც.

მოზარდი თაობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეებისათვის ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნის განსაკუთრებული წესების შემოღება. ამ წესების დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა პრინციპს: „თითოეულისაგან შრომის მიხედვით", არამედ სოციალისტური ურთიერთდახმარების პრინციპს, რომლის თანახმად სოციალისტური საზოგადოება დახმარებას უწევს არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ თავის წევრს.[3]

15-დან 20 წლამდე ახალგაზრდებს, რომლებიც მუშაობის დაწყების შემდეგ გახდნენ ინვალიდები, ე. ი. სამუდამოდ ან ხანგრძლივად დაკარგეს შრომის

---

[1]. მუშა ახალგაზრდობის საღამოს, დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა IX-XI კლასების და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს სამუშაო კვირის განმავლობაში ეძლევათ სამუშაოდან თავისუფალი ერთი დღე, ხოლო სოფლის ახალგაზრდობის საღამოს და დაუსწრებელ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა IX-XI კლასების მოსწავლეებს — ორი დღე ან ამ დღეთა შესაბამისი საათები. ორივე შემთხვევაში მოზარდებისათვის კვირის განმავლობაში შემოკლებული სამუშაო დღე შენარჩუნებულია.

[2]. Сборник закодательных актов о труде, 1960, გვ. 657.

[3]. იხ. Л. Я. Гинцбург, Трудовой стаж рабочих и служащих 1958, გვ. 73.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნარი, ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ მუშაობის სტაჟის ხანგრძლიობისაგან დამოუკიდებლად.[1] ასე მაგალითად, 16 წლის კ. ქარუმიძე მუშაობის დაწყებიდან ორი თვის გავლის შემდეგ ინვალიდი გახდა საერთო დაავადების შედეგად; მას უფლება აქვს ინვალიდობის გამო პენსია მიიღოს, მიუხედავად იმისა, რომ ორ თვეზე მეტი არ უმუშავნია.

მუშაობის პერიოდში ან მუშაობის შეწყვეტის შემდეგ დაინვალიდების შემთხვევაში მუშაობის სტაჟისაგან დამოუკიდებლად ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება რაიმე ვადით შეზღუდული არ არის. პირს უფლება აქვს პენსიის დასანიშნად სათანადო ორგანოს მიმართოს, თუნდაც, რამდენიმე წლის შემდეგ.

15-დან 20 წლამდე ასაკის მქონე ახალგაზრდებს, რომლებიც ინვალიდები იყვნენ შრომითი საქმიანობის დაწყებამდე, საერთო დაავადების გამო პენსიის მიღების უფლება აღმოუცენდებათ მუშაობის ერთი წლის სტაჟის შესრულების შემდეგ. მაგალითად, 17 წლის ვ. ბერიძემ, რომელიც ბავშვობიდან ინვალიდი იყო, 1959 წლის 1 მარტს მუშაობა დაიწყო ფაბრიკაში, ერთი წლის მუშაობის შემდეგ, ე. ი. 1960 წლის 1 მარტიდან მას უფლება აქვს მოითხოვოს ინვალიდობის გამო პენსიის დანიშვნა. აუცილებელი არაა აღნიშნული ხანგრძლიობის სტაჟი უწყვეტი იყოს. ინვალიდობის გამო პენსიის მისაღებად საკმარისია 20 წლამდე ახალგაზრდას, რომელიც მუშაობის დაწყებამდე იყო ინვალიდი, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის ერთი წლის საერთო სტაჟი ჰქონდეს. უნდა აღინიშნოს, რომ 20 წლამდე ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ინვალიდები იყვნენ მუშაობის დაწყებამდე, პენსიის დასანიშნად მიმართვის გარკვეული ვადაა დაწესებული. საქმე იმაშია, რომ თუ ისინი პენსიის დასანიშნავად სათანადო ორგანოებს არ მიმართავენ 20 წლის ასაკის მიღწევამდე, მუშაობის ერთი წლის სტაჟის არსებობისას პენსიის მიღების უფლება ეკარგებათ. ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ინვალიდობის დადგენა მოხდა 19-დან 20 წლის ასაკამდე პერიოდში და ახალგაზრდამ პენსიის დასანიშნად მიმართა ინვალიდობის დადგენის მომენტიდან ერთი წლის განმავლობაში. მაგალითად, 10 წლიდან ინვალიდი ე. წეროძე 18 წლისა და რვა თვის ასაკში მიღებულ იქნა სამუშაოზე. მისი ინვალიდობის დადგენა მოხდა ერთი წლის მუშაობის შემდეგ. 20 წლისა და 2 თვის ასაკში მან მოითხოვა ინვალიდობის პენსიის დანიშვნა. რადგან ინვალიდობის დადგენის მომენტიდან პენსიის დასანიშნად მიმართვამდე ერთი წელი არ გასულა, ხოლო 20 წლის ასაკამდე წეროძეს ერთი წლის მუშაობის სტაჟი უკვე აქვს, ამიტომ მან უნდა მიიღოს საერთო დაავადების გამო პენსია.

ინვალიდობის (როგორც შრომითი დაშავების, ისე პროფესიული და საერთო დაავადების შედეგად) პენსიების ოდენობის განსაზღვრის წესი მოზარდებისა და სრულწლოვანი მუშა-მოსამსახურეებისათვის ერთნაირია.

ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ მოზარდებსაც, რომლებიც ქალაქის და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში სწავლობენ და საერთო დაავადების შედეგად ინვალიდები გახდნენ სწავლის პერიოდში, სწავლის დაწყებამდე კი მუშაობდნენ მუშებად ან მოსამსახურეებად. მუშაობის სტაჟის ხანგრძლიობას ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. პენსიების ნორმები მათთვის ისეთივეა, როგორც მუშა-მოსამსახურეებისათვის. მოსწავლეს შეუძლია პენსიის გამოანგარიშება მოითხოვოს

[1]. აქ და ქვემოთაც ვხელმძღვანელობთ სახელმწიფო პენსიების შესახებ კანონით და პენსიათა დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ დებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან ხელფასიდან, რასაც სწავლის დაწყებამდე იღებდა, ან სტიპენდიიდან. აღნიშნული წესი ვრცელდება ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა იმ მოსწავლეებზეც, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სასწავლო-პრაქტიკული მეცადინეობის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, სწავლის დაწყებამდე კი ითვლებოდნენ მუშა-მოსამსახურეებად.

ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა იმ მოსწავლეებს, რომლებიც სწავლის დაწყებამდე არ მუშაობდნენ, ინვალიდობის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ინვალიდები გახდნენ უშუალოდ წარმოებაში საწარმოო სწავლების (პრაქტიკის) გავლის დროს შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად. ამ შემთხვევაში მოზარდის პენსიის გამოანგარიშება ხდება არა იმ წესით, რაც მუშა-მოსამსახურეებისათვისაა დადგენილი, არამედ მტკიცე ოდენობით. პირველი ჯგუფის ინვალიდებს თვიურად ეძლევათ 360 მან., მეორე ჯგუფისას — 285 მან., ხოლო მესამე ჯგუფისას 210 მან. სოფლებში მცხოვრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მოსწავლეების პენსიის ოდენობა შედარებით შემცირებულია. I ჯგუფის ინვალიდებს თვიურად ეძლევათ 306 მან., II ჯგუფისას — 242 მან., ხოლო III ჯგუფისას — 178 მან. მოსწავლეებს, რომლებსაც აღნიშნული წესით დაენიშნათ პენსია, ხოლო პენსიის დანიშვნის შემდეგ აქვთ მუშაობის ორი წლის სტაჟი, უფლება აქვთ პენსია მიიღონ იმ პირობებით და ნორმებით, რაც დაწესებულია მუშა-მოსამსახურეებისათვის შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შემთხვევებში.

წარმოებაში საწარმოო სწავლების (პრაქტიკის) გავლის დროს შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში ქალაქისა და სოფლის პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების საპენსიო უზრუნველყოფის წესები გამოყენებულ უნდა იქნას საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლათა IX—XI კლასების იმ მოსწავლეებზე, რომლებიც საწარმოო პრაქტიკას გადიან უშუალოდ წრმოებაში. საბჭოთა შრომის კანონმდებლობის მიმდინარე კოდიფიკაციასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მოზარდ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების წესები „სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლებში“ უფრო დეტალურად იქნას ჩამოყალიბებული იმასთან შედარებით, რაც ამ „საფუძვლების“ გამოქვეყნებული პროექტის XI თავში („ახალგაზრდობის შრომა“) არის მოცემული[1]. აღნიშნულ პროექტში არ არის არცერთი მუხლი, რომელიც მოზარდთა პენსიებით უზრუნველყოფის წესებს ითვალისწინებდეს, რაც, ჩვენის აზრით, არ შეიძლება პროექტის ნაკლად არ ჩაითვალოს. ეს ხარვეზი უნდა გამოსწორდეს როგორც „საფუძვლებში“, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა შრომის კანონთა მომავალ კოდექსებში.

**ლ. ადეიშვილი.**

1. ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, 1959. № 6 გვ. 15.

რედაქციისგან
ახალი კანონმდებლობისათვის

ᲕᲘᲦᲘᲚᲐᲕᲗ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘᲡ

# ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

დოც. Თ. ᲜᲔᲘᲫᲔ

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალური სამართლის განვითარებაში და მაღალ შეფასებასაც იმსახურებს, მასში მაინც ვხვდებით ხარვეზებსა და დასაზუსტებელ საკითხებს. განხილვას საჭიროებს ამ პროექტის ირგვლივ გამოთქმული ზოგიერთი ავტორის მოსაზრებანიც.

* * *

1. სამოქალაქო სამართლის პროცესში კანონით დადგენილი ვადებისა და მათი დაცვის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასამართლოში საქმის აღძვრისა და განხილვის ვადას, გასაჩივრებისა და ვადაწყვეტილების აღსრულების ვადებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენის აზრით, საპროცესო ვადები ერთგვაროვანი უნდა იყოს. მოკავშირე რესპუბლიკებში სხვადასხვაგვარი ვადების გათვალისწინებას გაუგებრობის მეტი არაფერი არ მოაქვს. რით არის მაგალითად დასაბუთებული და გამართლებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადების სხვადასხვაობა რსფსრ — სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, რომელიც ითვალისწინებს საკასაციო საჩივრისა და პროტესტისათვის 10 დღიან ვადას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული 15 დღიანი (კოდ. 271 მუხ.) ვადა, და ან კიდევ, შრომის საქმეთა სასამართლოებში განხილვის ვადების სხვადასხვაობა (რსფსრ-ის სამოქალაქო სამართლის პროცესის კოდექსით 5 დღე, ხოლო საქართველოს სსრ შესაბამისი საპროცესო კოდექსის 115-ე მუხლით 7 დღე).

საპროცესო ვადებში ზედმეტი იქნება ვეძიოთ რესპუბლიკის თავისებურებანი და სუვერენულ უფლებათა განხორციელება.

სასამართლო გადაწყვეტილების საკასაციო გასაჩივრების ვადის გახანმოკლებისა და სტაბილობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იქნება თუ დაწესდება „საფუძვლებში“ 7 დღიანი ვადა საერთოდ სამოქალაქო საქმეებზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებისათვის, ხოლო 5 დღიანი ვადა შრომის საქმეებისათვის.

„საფუძვლებში“ ყველა საპროცესო ვადა სტაბილურად შეიძლება განისაზღვროს ცალკე მუხლში ან თავში.

2. სამოქალაქო სასამართლო წარმოებისათვის, სასამართლოს ნორმალური მუშაობისათვის არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სანქციების დაწესება და მათი შეფარდება სასამართლოს მიერ პროცესის იმ მონაწილე პირთა (მხარეები, მოწმეები, ექსპერტები) მიმართ, რომლებიც არა საპატიო მიზეზით არღვევენ მათზე დაკისრებულ პროცესუალურ მოვალეობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერ გამოყენებული ზემოქმედებითი ზომების საკითხი გადაწყვეტილი უნდა იქნეს „საფუძვლებში“ ერთგვაროვანი სახით ცალკე სპეციალურ მუხლში.

3. „საფუძვლების“ პროექტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის 1, 3, 41, 44 მუხლებს, დუმს შრომის საქმეთა სასამართლო წარმოებაზე, მაშინ, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკების საშოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში მოცემულია არაერთი ნორმა შრომის საქმეთა სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით.

„საფუძვლების“ პირველსა და მესამე მუხლში გაკვრითაა აღნიშნული შრომის საქმეთა შესახებ, ხოლო 41-ე და 44-ე მუხლებში ლაპარაკია სამოქალაქო საქმეთაგან გამოცალკევებით იმაზე, რომ საკასაციო ინსტანციას უფლება აქვს შრომის საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანისა და აგრეთვე ის, რომ ასეთივე უფლებით სარგებლობს სასამართლო ორგანო შრომის საქმის საზედამხედველო წესით განხილვისას.

რამდენადაც სასამართლომდე და სასამართლოში შრომის საქმეთა განხილვის წესები და ვადები საერთო სამოქალაქო საქმეთა განხილვისაგან განირჩევიან და სათანადო სპეციალურ ნორმებს საჭიროებენ, მართებულად მიგვაჩნია „საფუძვლებში“ გამოიყოს ცალკე თავის სახით (ცალკეული მუხლების მოყვანით) შრომის საქმეთა სასამართლო წარმოება. ეს ნორმები საკავშირო მასშტაბით უნიფიცირებული უნდა იქნან.

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ „საფუძვლების“ 21-ე მუხლი, რომელიც ეხება მესამე პირებს. მესამე პირთა ამ განმსაზღვრელი ნორმიდან ჩანან მხოლოდ ორი კატეგორიის მესამე პირები (დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მომხრეები), ხოლო ის მესამე პირები, რომლებიც გამოიწვევიან შრომის (მუშა-მოსამსახურის უკანონოდ დათხოვნის) საქმეზე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო სასამართლო წარმოებით (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლით და რსფსრ-ის ამავე კოდექსის 172-ა მუხლით) ნახსენები არ არიან. უკანასკნელი სახის მესამე პირთა საკითხის მოწესრიგება, რომ მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენციას• მიეკუთვნებოდეს, მაშინ შეიძლებოდა ამაზე არაფერი თქმულიყო, მაგრამ ამ საკითხშიაც, რომ არ შეიძლება სხვადასხვაობის შეტანა და იგი ერთგვაროვან გადაწყვეტას მოითხოვს, ეს მტკიცდება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1952 წლის 11 იანვრისა და 1957 წლის 13 სექტემბრის დადგენილებებით შრომის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ. ამ სახის მესამე პირების მონაწილეობას სამოქალაქო პროცესში სერიოზული მნიშვნელობა აქვს უკანონოდ დათხოვნით გამოწვეული იძულებითი განაცდური დროის ხელფასის თანამდებობის იმ პირთათვის დაკისრების მიზნით, რომლებიც ამაში ბრალეული არიან.

მაშასადამე, ყველა ეს უფრო მეტად საერთო ხასიათის დებულებანი თხოულობენ თავის ადგილს „საფუძვლებში“.

4. საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოებაში, ჩვენის აზრით, არასრულადაა წარმოდგენილი „საფუძვლების“ პროექტში.

რამდენადაც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მონაწილეობას სამოქალაქო საქმეთა განხილვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე, სასურველი იყო „საფუძვლებში“ ეს გადმოცემული ყოფილიყო არა ისე, როგორც მოცემულია 24-ე მუხლში, არამედ უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო გაშლილად. აუცილებელია აქ მხედველობაში იქნეს მიღებული კანონი „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“, ამხანაგური სასამართლოების საანმუშო დებულება (პროექტი) და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის საანმუშო დებულება (პროექტი).

გარდა ამისა, ამავე თავში (მუხლში) ნაჩვენები უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სპეციალური ნორმები (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის „ბ“ პუნქტისა და რსფსრ ამავე კოდექსის მე-80 მუხლის „ე“ პუნქტის მოთხოვნანი) და შრომის კანონთა კოდექსის 151-ე მუხლის მოთხოვნა. ეს წყაროები ერთიმეორეს შეავსებდნენ და მივიღებდით არა გაერთიანებულ ერთ მუხლს — სახელწოდებით „სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობა პროცესში“, არამედ განცალკევებული სახით — „საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში“, ცხადია ეს უფრო ხაზგასმით გვიჩვენებ და საზოგადოებრიობის გაზრდილ როლს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის ხელის შეწყობაში.

ამ ასპექტში საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლიც მოითხოვს დამატებებს.

5. „საფუძვლებში“ თავისი გამოხატულება ვერ ჰპოვეს არა მარტო ამხანაგური სასამართლოს, არამედ სახელმწიფო არბიტრაჟისა და ნოტარიატის შესაბამისმა დებულებებმაც.

* * *

პროექტის 27-ე მუხლთან დაკავშირებით მართებულად მიგვაჩნია მისი შევსება დაბოლოებით, რომ „დაუშვებელია იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც აღძრული იქნება საწარმოს, დაწესებულების ან კოოპერაციული გაერთიანების მიმართ“.

შესწორებას მოითხოვს პუნქტის 30-ე მუხლის მეორე ნაწილიც, რომელშიც ნათქვამია: „სასამართლოს შეუძლია მხარეებს წინადადება მისცეს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებანი, და აგრეთვე გამოითხოვოს მტკიცებულებანი თავისი ინიციატივით“.

რამდენადაც საბჭოთა სახალხო სასამართლოს ბურჟუაზიული სასამართლოსაგან განსხვავებით მტკიცებულებათა შეგროვების საკითხშიც მოეთხოვება აქტივობა და არა პასიურ პოზიციაზე დგომა, ამდენად ნაცვლად ზემოაღნიშნული სიტყვისა სასამართლოს „შეუძლია“ ბევრად უკეთესი და სწორიც იქნება შევასწოროთ ეს სიტყვა შემდეგნაირად სასამართლოს „ევალება, ეკისრება“.

* * *

საქმის წინასწარი მომზადების შესახებ დოც. ს. აბრამოვს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ საქმის მომზადება წარმოებს მოსამართლის მიერ მხოლოდ სასამართლოში განცხადების მიღების შემდეგ. მისი თქმით, რამდენადაც არ არსებობს საქმის საბოლოო მომზადება, ამდენადვე შეუძლებელია ლაპარაკი საქმის წინასწარ მომზადებაზე.

ჩვენის აზრით საქმის მომზადებას სასამართლო სხდომამდე შეიძლება ჰქონდეს სამი სტადია: 1. განცხადების განხილვა (ამ დროს შესაძლებელია სასარჩელო განცხადების დეფექტებზე მითითება მოსამართლის მიერ და განცხადების დაბრუნება ნაკლის შესავსებად მოსარჩელისათვის);

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განცხადების მიღება ანუ . საქმის აღძვრა სასამართლოში;

3. სასამართლოს მოსამზადებელი მოქმედებანი (მხარეთა გამოძახება, ადგილობრივი დათვალიერება, სარჩელის უზრუნველყოფა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა და ა. შ.).

აქედან გამომდინარე, შეიძლება საქმის აღძვრას წინ უსწრებდეს წინასწარი მომზადება ანუ მოსამართლისადმი განცხადებით მიმართვა და დაზუსტება ყველა იმ გარემოებებისა, რაც დაკავშირებულია სარჩელის აღძვრასთან, ხოლო შემდეგ მოსამართლის სხვადასხვა პროცესუალურ მოსამზადებელ მოქმედებებთან, რაც წინ უძღვის სასამართლო სხდომას.

ამგვარად, საქმის წინასწარი მომზადება სასამართლო სხდომამდე — დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ საჭიროებს დოც. აბრამოვის მიერ წამოყენებულ რედაქციულ შესწორებას.

სვერდლოვსკელი მოსამართლე რ. სევნიცკაია მომხრეა იმისა, რომ სასამართლოს და მოსამართლეს ნება დაერთოს პრეიუდიციულად დამტკიცებული ფაქტის უარყოფა-გაქარწყლებისა, თუ ეს დასტურდება საკმარისი და სავსებით სარწმუნო მტკიცებულებათა საფუძველზე. რის შემდეგაც იგი საჭიროდ თვლის, რომ მოსამართლემ ასეთი საქმე სათანადო დასაბუთებით გადაუგზავნოს კომპეტენტურ პირებს ძალაში შესული იმ გადაწყვეტილების (განაჩენის) გასაპროტესტებლად ზედამხედველობის წესით, რომელიც შეიცავს მოცემულ ფაქტს, რომლის ნამდვილობაშიც მოსამართლეს ეჭვი აღეძრა.

ჩვენი აზრით, ასეთ შემთხვევაში განხილვას შეუდგება ის სასამართლო ორგანო, რომელსაც შესაბამისი საზედამხედველო ფუნქცია გააჩნია. დადგენილი ფაქტების და გადაწყვეტილებათა (განაჩენის) პრეიუდიციული მნიშვნელობა დაკარგავს თავის ძალას, თუ ყველა სასამართლო ორგანო მისთვის მინიჭებული ფუნქციებისა და კომპეტენციის ფარგლების მიუხედავათ შეუდგება უკვე გადაწყვეტილი საკითხების განხილვასა და განსჯას სისხლის ან სამოქალაქო სამართლის სასამართლო წარმოების წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# თავისებურად ერთადერთი

გადმოცემით, ერთი მოქალაქე პირველად დანახულ ყირაფს დიდხანს და ჩაციებით მიაშტერდა. როცა გამოერკვა კატეგორიულად განაცხადა: „ასეთი გრძელი კისერი? დაუჯერებელია, არ შეიძლება!“

ასევე არ დაიჯერეს რედაქციაში ბელგოროდის ოლქის ივნიანის რაიონული პროკურატურის გამომძიებლის სუსლოვის მიერ არასწორად ჩატარებული ექსპერიმენტი. ამის გამო რედაქციის ყველა თანამშრომელი გულუბრყვილო მოქალაქის მსგავსად იძახდა: „როგორ, გამომძიებელს, იურისტს, შეეძლო განა ასეთი რამის წამოროშვა? დაუჯერებელია, არ შეიძლება“.

მაგრამ აი, წერილი შეამოწმეს და აღმოჩნდა, რომ შეიძლება მოხდეს.

ყველაფერი მკვლელობით დამთავრებული ჩხუბიდან დაიწყო. წინასწარ გამოძიებაზე ჩაპლიგინი ამტკიცებდა, რომ ნახევრადშიშველმა მოისეევმა წააქცია იგი, თვითონ ზემოდან მოექცა, კბილებში ჩაიგდო მისი მარჯვენა ხელის თითი და ცემა დაუწყო. მას შემდეგ, რაც განთავისუფლების ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მან თავდამსხმელს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

ჰოდა, რაიონულ მილიციაში მოიწვიეს მოწმეები, მოქალაქე დოლუენკო და... ქირურგი ლოტარევი.

სუსლოვმა შეკრებილთ საქმის ვითარება გააცნო.

— ახლა, ამხანაგებო, — დაასკვნა მან თავისი მოკლე გამოსვლა, — ჩვენ თქვენთან ერთად საგამომძიებლო ექსპერიმენტის მეშვეობით შევამოწმებთ, თუ რამდენად მართებული ჩვენება მოგვცა ბრალდებულმა.

მოწმეებმა რაღაც წაიბურტყუნეს, ხოლო მოქალაქე დოლუენკომ, რომელმაც ვერ შეიგრძნო ექსპერიმენტატორის თეორიის პრაქტიკული დასკვნები, ხალისიანად შენიშნა.

— ძალიან კარგი. — და ამ ფრაზით უკანდახევი გზა გადაიჭრა...

სუსლოვმა ბრალდებულის შემოყვანა ბრძანა.

გამომძიებელმა ქაღალდები მაგიდაზე გაშალა და ავტოკალამი ამოიღო.

— აბა, დავიწყოთ, — პათეტურად წარმოთქვა მან, — ამხანაგო დოლუენკო გაიხადეთ!

— სულ გავიხადო?

სუსლოვმა დაკითხვის ოქმს დახედა.

— არა, წელამდე.

დოლუენკომ გაიხადა.

— ასე. ახლა კი მივარდით.

— ვის მივვარდე! — იკითხა მან.

— რა თქმა უნდა ბრალდებულს და არა მე.

— ბრალდებულს?!

— ჰო, ჰო. რა არის აქ გაუგებარი? მივარდით და ყელში ხელი წაუჭირეთ. მხოლოდ ერთი წამით. მოიცადეთ: მე მას წინასწარ ჯაყვას მივცემ.

დოლუენკომ ყურადღებით შეხედა ქირურგის შეწუხებულ სახეს, შემდეგ ბრალდებულს, რომელსაც დანა აძიგძიგებულ ხელში ეპყრა და თქვა:

— არ მსურს.

— რა არ გსურთ?

— მივარდნა.

— რატომ?

— არ მინდა.

მთელი ნახევარი საათი დასჭირდა გაჭიუტებული დოლუენკოს მოთვინიერებას. საბოლოოდ იგი დაითანხმეს.

— ერთ, ორი, დავიწყეთ! — შესძახა სუსლოვმა.

პროფესიონალი მოჭიდავის სისწრაფით ეძგერა დოლუენკო ბრალდებულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეჩერდით! — ბრძანა სუსლოვმა, — არა, ძვირფასო ამხანაგო, ასე არ გამოვა. ბრალდებულს ერთი ხელი თავისუფალი ჰქონდა. გაიგეთ?

— გავიგე.

— აბა მაშინ იმოქმედეთ.

მაგრამ დოლუენკო არ ჩქარობდა. მას უნდა გამოეცნო, თუ სახელდობრ, რომელი ხელი ჰქონდა თავისუფალი ბრალდებულს.

— მარცხენა, — აუხსნა მოთმინების დაკარგვამდე მისულმა გამომძიებელმა.

— სწორედ ის, რომლითაც დანას იღებდა?

— რა თქმა უნდა. აბა, მივარდით! ერთი, ორი...

დოლუენკო რატომღაც კვლავ გაჭიუტდა. საჭირო გახდა პირველად ბრალდებულის იატაკზე დაწვენა, შემდეგ კი დოლუენკო მას ზემოდან მოექცა. შემდეგ უკვე ადვილად წავიდა საქმე. თანახმად მითითებისა, დოლუენკომ პირი გააღო და ბრალდებულმა თითი ჩაუყო. ხოლო როცა დოლუენკომ სუსლოვის თანახმად თითს კბილები მოუჭირა, ბრალდებულმა იყვირა და დანას წაეპოტინა. მოკლედ, ყველაფერი ნატურალურად მოგვარდა, თუმცა ქირურგის დახმარება არც დასჭირებიათ.

ასე ჩატარდა ეს თავისებურად ერთადერთი უნიკალური ექსპერიმენტი. ამხ. სუსლოვის წარმატებაზე საგამომძიებლო ექსპერიმენტული თეორიის შემდგომ გამოყენებაში ჯერ არაფერია ცნობილი. თუმცა მიგვაჩნია, რომ მარტო ამ ერთი ექსპერიმენტითაც მან დამსახურებული სახელი მოიხვეჭა. ასეთი რამ ჯერ ხომ არ ყოფილა და ალბათ, არც იქნება.

ე. გლაგოდარნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი წერეთლის სიტყვა სვანეთის მღვდლების მიმიარაღებული აჯანყების მონაწილე სვანების დასაცავად[1]



ბატონო მოსამართლენო!

. მას შემდეგ, რაც თქვენ მოისმინეთ პროკურორის ბრწყინვალე სიტყვა, გამსჭვალული მაღალი ჰუმანური გრძნობით, თუმცა არა იმდენად სამართალში მიცემულთა მიმართ, რამდენადაც სამართალში მიუცემელ — თავად თენგიზის[2] მიმართ, და დაცვაში ჩემი ამხანაგის[3] თავდაჭერილი, მაგრამ სამართლიანი და კეთილგონიერი სიტყვა, მე, რომელსაც ეხლა მიხდება გამოსვლა, ცოტა ღა დამრჩენია დაუმატო მათ ნათქვამს ჩემი კლიენტების დასაცავად.

რაოდენ უცნაურადაც არ უნდა იქნეს მიჩნეული დაცვის თვალსაზრისით, მე ჩემი სიტყვა მინდა დავიწყო იქიდან, საიდანაც ბ-მა პროკურორმა დაიწყო. ეს არის ბრალდება, ან უკეთ რომ ვთქვათ ზოგიერთ სამართალში მიცემულთაგან ჩადენილი დანაშაულის აღიარება.

დიაღ, ბატონო მოსამართლენო! თქვენს წინაშე, ლმობიერი განაჩენის მოლოდინში, ბრალდებულთა სკამზე სხედან თავისუფალი სვანეთის[4], ამყამად განადგურებულ სოფ. ხალდეს მცხოვრებნი.

მათ ბრალად ედებათ ხელისუფლებისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა; კიდევ მეტი, ზოგიერთ მათგანს თანამდებობის პირთა მკვლელობაც.

ამრიგად, ისინი დამნაშავენი არიან, მათ დანაშაული აქვთ ჩადენილი.

მაგრამ რა არის დანაშაული? ის არ წარმოადგენს რაღაც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მხოლოდ წმინდა შეფარდებითი და პირობითი ცნებაა. ერთნი დანაშაულად სთვლიან ისეთ რამეს და იდევნება, რაც სხვებისათვის სახოტბო გმირობადაა მიჩნეული.

მაგალითისათვის დავასახელოთ თუნდაც თვითონ სვანები.

მათ ჩვეულებად აქვთ პირველშობილი ბავშვის მოკვლა, უკეთუ ის მდედრობითი სქესისაა. ეს ხდებოდა ადგილობრივი პირობების ზეგავლენით. სვანებს უფრო მეტად ძლიერი მუშის ხელი სჭირდებოდათ, ვიდრე დედაკაცის სუსტი მაჯა და ამ ანგარიშმა, რომელსაც ცრუმორწმუნეობა დაემატა, შექმნა მათში შეხედულება იმაზე, რომ პირველშობილი გოგოს მოკვლით მშობიარენი დაშინდებოდნენ და იძულებული შეიქმნებოდნენ ეშვათ ვაჟები.

---

1. შენიშვნები იხილეთ აკაკი წერეთლის დაცვითი სიტყვის დასასრულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს იმის გამო კი არ ხდება, რომ სვანებს ქალთა სქესისადმი დიდი სიძულვილი აქვთ. პირიქით, ქალები მათ შორის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ. იგივე სვანები ქალის შეურაცხყოფას დანაშაულად თვლიან. ქალისადმი ხელშეხება, იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ქალს დანაშაული აქვს ჩადენილი, მათთვის უზარმაზარ სირცხვილადაა მიჩნეული. ეს კი კვლავ ადგილობრივი პირობებით აიხსნება.

მდედრობითი სქესის პირველშობილი ბავშვების მოკვლის გამო, სვანეთში ქალები მცირერიცხოვანნი იყვნენ და ისინი იქ ყოველთვის თანასწორუფლებიანობით სარგებლობდნენ. ამ მხრივ ვინმე ველურმა გურმაჩმა ან ჯოხანმა დიდი ხანია გაგვასწრეს ჩვენ, თანამედროვე ემანსიპატორებს. რაღა თქმა უნდა, ჩვენ არ ვკლავთ გოგონებს, მაგრამ არაფერი გვაბრკოლებს უსამართლობა გამოვიჩინოთ ასაკოვან ქალებისადმი.

სხვადასხვა ხალხთა შორის, სხვადასხვა დროს, დანაშაულის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობდა.

კაცობრიობის წინ წამყვან დიდ რეფორმატორებს დამნაშავეებად სთვლიდნენ და კოცონზე სწვავდნენ. ეჭვს გარეშეა, ბატონებო, რომ ასეთი მკაცრი განაჩენის გამომტანი მოსამართლენი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ შეუცდომლობაში. მაგრამ განვლო საუკუნეებმა, შეხედულებანი შეიცვალნ და მომდევნო დროს მსჯავრი თვით ინკვიზიტორებს გამოუტანა.

ასეთია დანაშაულთა უდიდესი ნაწილი.

მაგრამ არის ისეთი დანაშაულობანიც, რომლებიც ყველა დროში და ყველა ხალხთა შორის ერთნაირად დასაგმობად ითვლებოდენ. მათ რიცხვს მიეკუთვნება მკვლელობაც.

მკვლელთა მიმართ მოსამართლენი არასოდეს არ განიცდიდენ სიბრალულს და საზოგადოებრივი აზრიც ამ საკითხში ყოველთვის მათ მხარეზე იყო. მკვლელის შუბლზე საზოგადოება ყოველთვის ხედავდა ერთგვარი შეჩვენების კვალს, რომელიც მისდამი საყოველთაო ზიზღს იწვევდა. თქვენს წინაშეც, ბატონო მოსამართლენო კაცის მკვლელები სხედან. მაგრამ, დახეთ საკვირველებას, არავითარ ამის მსგავსს, ჩვენ მათდამი არ განვიცდით.

ამ სამი დღის განმავლობაში, ჩვენ საკმაო დრო გვქონდა დავრწმუნებულიყავით იმაში, რომ მთელი დამსწრე საზოგადოება, განათლებულიდან დაწყებული უკანასკნელ უვიცამდე, მათი ბედიღბლისადმი ერთნაირი თანაგრძნობით იყო განწყობილი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თქვენთაგანი, ბატონო მოსამართლენო, ამ რამოდენიმე ხნის წინ მათი ტყვიების სეტყვის ქვეშ იმყოფებოდა, თქვენს სახეზედაც კი ვხედავ მათდამი თანაგრძნობას და მათი ბედისადმი სიბრალულს.

და რით აიხსნება ეს? აქ მთავარ როლს ასრულებს არა თვით დანაშაულის ჩადენა, არამედ მისი გამომწვევი მიზეზი. უკეთუ ეს მიზეზი ბილწი ბუნებისაა, ის ჩვენში ზიზღს იწვევს, მაგრამ თუ ის წარმოშობილია საბედისწერო, გარდუვალი გარემოებებით და ატარებს მოულოდნელ, შემთხვევით და საპატიო ხასიათს, ჩვენი დამოკიდებულება მისდამი იცვლება და იბადება სიბრალულისა და გულშემატკივრობის გრძნობა.

როგორია ის მიზეზი, რომელმაც გამოიწვია სამართალში მიცემულთა მიერ დანაშაულის ჩადენა? საკითხის გადასაწყვეტად უნდა მივმართოთ საქმის მიხედვით დადგენილ ფაქტიურ გარემოებებსა და მონაცემებს.

დადგენილია, რომ დანაშაულის ჩადენის მიზეზი გახდა ადგილობრივი ადმინისტრაციის შეჯახება ადგილობრივ მოსახლეობასთან. ამიტომ საჭიროა შევჩერდეთ ამ მოვლენის, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მაღალი მდგომარეობა, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ ადგილობრივ ხელისუფალთ, და ის სრული ნდობა, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, ცხადია მოწმობენ მათ მაღალ გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე. ისინი უნდა ყოფილიყვნენ ამ გაუნათლებელი მოსახლეობის ცივილიზატორები, ადგილობრივი მოსახლეობისა, რომლებსაც წარმოადგენენ ბუნების პირმშო სვანები.

მაგრამ რანი არიან სვანები?

„ყრუა სვანივით“, ამბობენ მათ შესახებ კავკასიის სხვა ტომები და ამ გამოთქმით მხედველობაში აქვთ, რაღა თქმა უნდა, შათი გონებრივი სიყრუე. და მართლაც ქვაბურებში გამომწყვდეული სვანები მოკლებულნი იყვნენ საშუალებას გაეფართოებიათ თავიანთი გონებრივი თვალთახედვა.

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი შემთხვევა, რომელიც ჩვენში საანდაზოდ არის ქცეული.

სამეგრელოს მთავარს, თავად დავით დადიანს, სტუმრად ეწვია თავისუფალი სვანეთის რამოდენიმე წარმომადგენელი, ალბათ, თავის თანამემამულეთა შორის უფრო გაგებული ადამიანები. მათ გააცვნეს სწავლული ლინგვისტი ბ-ნი ბორტენიევი. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა სვანებმა ის თავით ტერფამდე დაათვალიერეს და მოინდომეს გაეგოთ თუ რაში გამოიხატებოდა მისი სწავლულობა და რა ენები იცოდა მან. მათ რამოდენიმე ევროპული ენა ჩამოუთვალეს, მაგრამ სვანები თავს მაინც საეჭვოდ აქნევდნენ. ბოლოს ურთიერთ მოთათბირების შემდეგ იკითხეს: „იცის თუ არა მან ლეჩხუმური ენაო?“. და, რადგან უარყოფითი პასუხი მიიღეს, დარწმუნდნენ ბორტენიევის სრულ უვიცობაში.

ამას, ბატონო მოსამართლენო, ლამაზი სიტყვისათვის კი არ მოგახსენებთ, არამედ სვანების დახასიათებისათვის. ისინი ფიქრობდნენ, რომ სამყაროს ბოლო სვანეთის მოსაზღვრე ლეჩხუმის მაზრით თავდებოდა.

მაგრამ მაგალითისათვის რა საჭიროა ასე შორს წასვლა.

ამ ხალხს, ამჟამადაც კი არ გაუგია თუ რა საშიშროების წინაშე დგანან ისინი, არ ესმით, რომ საკითხი ეხება მათ ყოფნა არყოფნას და მაგიდის წითელ მაუდითა და მოვარაყებულ ჭაღებით მოხიბლულნი ერთმანეთს გვერდში ბიძგსა ჰკრავენ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ ერთის მხრივ, უნდა ვიფიქროთ, ღრმად განათლებულ ადმინისტრაციას, ხოლო მეორეს მხრივ ბუნების სავსებით გულუბრყვილო შვილებს. მეცამეტე საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს დაკნინება დაიწყო, სვანეთი ბედის ანაბრად იყო დატოვებული, და ყოველივე იმისაგან, რაც მას საქართველოს ცივილიზაციამ გადასცა, შვიდი საუკუნის შემდეგ, აღარაფერი შერჩენია არც გონებრივი და არც ქონებრივი, გარდა იმ კოშკებისა, რომელთა ნაწილიც ასე წარმატებით იქნა გაცამტვერებული თქვენს მიერ...

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე:[5] გთხოვთ გამოთქმებში სიფრთხილე გამოიჩინოთ და არ მიმართოთ უკმეხობას.

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი: მათ დაჰკარგეს არა მარტო რელიგია, არამედ თვით ენაც, რაც სამართლიანად იყო აქ აღნიშნული დაცვაში ჩემი ამხანაგის მიერ. მაგრამ ყოველივე ეს მოხდა არა იმიტომ, რომ სვანებს ეს სურდათ. პირიქით, ისინი თვითონ აყალიბებდნენ თავიანთ მღვდლებს, თავის „სულის მოძღვრებს“ და ქრისტიანულ, მაჰმადიანურ და წარმართულ რელიგიათა ერთმანეთში არევით, რასაც მრავალი ცრუმორწმუნოება ერთვოდა, ავალებდნენ მათ შეესრულებინათ ღვთისმსახურება. არც გრძნობა და არც გონება არ გვაძლევს უფლებას ვუსაყვედუროთ ან ბრალად დავდვათ მათ ეს ჩამორჩენილობა. ამ ქვაბურებში რომ რომელიმე განათლებული ცივილიზატორი მოვამწყვდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთ, საკმაო იქნება ათწლიანი ხანგრძლიობა იმისათვის, რათა ის თუ მთლად არა, ნახევრად სვანი მაინც გახდეს.

და აი, სწორედ ამ ხალხის მიმართ მიიჩნიეს შესაძლებლად, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, 1864 წ. „სასამართლო წესდების“ მომარჯვება.[6] ჩემთვის ცნობილია ერთადერთი ბედნიერი შემთხვევა ხალხისათვის ზემოდან კანონის მიცემისა. ეს მაშინ, როდესაც მოსემ ღვთისგან მიიღო ათი მცნება სინას მთაზე. მას შემდეგ მსგავსი მაგალითები არ შეიძლება განმეორებულიყო.

კანონს თავის საფუძვლად უნდა ედვას იმ ხალხის ზნეჩვეულება და ადათწესი, ვისთვისაც ეს კანონია გამიზნული. სვანების მიმართ კი არაფერი ამის მსგავსი არ ყოფილა მიღებული მხედველობაში.

მაგრამ, რაღა თქმა უნდა, რადგან ისინი შეყვანილი არიან ჩვენს საერთო ოჯახში, მათ დაკარგული აქვთ უფლება თავი იმართლონ კანონის უცოდინარობით. თუმცა ამ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებული იყო განემარტა მოსახლეობისათვის მოქმედი კანონის არსი და მნიშვნელობა და მიეცა მათთვის კანონისადმი დამორჩილების მაგალითი.

ახლა კი ვნახოთ, როგორ ემორჩილებოდა კანონს, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე.

იმის მიხედვით, რაც სამსჯავრო გამოძიებით იქნა დადგენილი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება კანონს სრულებით არ ასრულებდა. სვანები კი, პირიქით, თუმცა შეუგნებლად, მაგრამ მოწიწებით თავს იხრიდენ მის წინაშე.

გუშინდელ სხდომაზე ჩოფლიანმა მოგვითხრო, თუ როგორ გადაუხადა შან სასამართლოს ბოქაულს ფული, რაც მას ამ უკანასკნელმა მოსთხოვა. ჩოფლიანმა თავის ავადმყოფ მამას მოუწვია ექიმი, რომელიც ღამის გასათევად სოფელში დარჩა და თავისი ცხენი საძოვარზე გარეთ გაუშვა. ღამით ცხენი მგლებმა დაგლიჯეს, მაგრამ ამისათვის მასპინძელს არ ევალებოდა პასუხისმგებლობა არც რუსული კანონისა და არც სვანური ადათების მიხედვით. ექიმიც გაჩუმებული იყო. მაგრამ მან ისარგებლა შემდეგში ჩოფლიანის სახლში არ ყოფნით და მის მიმართ აღძრა სარჩელი. რომელიც მომრიგებელმა მოსამართლემ მიიღო.

უნდა ვიფიქროთ, რომ უწყებები გაგზავნილი იქნებოდა და სარჩელზედაც გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, ერთი სიტყვით, ყოველგვარი ფორმა ალბად დაცული იყო. მაგრამ თქვენ, ბატონო მოსამართლენო, გუშინ მოისმინეთ თუ რა წესით ხდებოდა უწყებების გაგზავნა ხალდეში. უწყებებს ატანდნენ შემთხვევით მგზავრებს, რომლებსაც მათი ჩაბარებისათვის არავითარი პასუხი არ ეკითხებოდათ და შეეძლოთ ისინი არ ჩაებარებიათ, როგორც ეს მოხდა ჩოფლიანის საქმის მიხედვით. თუმცა უწყებები რომ კიდევაც პირდაპირ გაეგზავნათ, ვინ იყო მათი წამკითხავი? ვის შეეძლო იმის გაგება თუ იქ რა ეწერა, რადგან მთელ სოფელში არავინ იცის არამც თუ რუსული, ქართული კითხვაც კი. ერთადერთი რაც სვანებს შეეძლო გაეკეთებიათ იყო ის. რომ მიღებული უწყებები კარგად შეენახათ. ან კედელზე გაეკრათ, როგორც ფერადი ქაღალდები.

დიდი ხნის განმავლობაში სხვაგან ყოფნის შემდეგ, სახლში დაბრუნებული ჩოფლიანი, რამოდენიმე დღით ადრე, 1 აგვისტოს მომხდარ ამბავამდე, დაბარებული იქნა სასამართლო ბოქაულის მიერ, მეზობელ სოფელ კალაში. მას იქ წარედგინა საიღსრულებო ფურცელი და მანაც შეუსიტყვებლად, ყოველგვარი დავის გარეშე დაკისრებული 60 მანეთის ანგარიშში გადასცა ბოქაულს თოფი, რომელიც ამ თანხაზე არა ნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ ღირებულების იყო, ერთი ძროხა და ერთი ხბო.

ნუთუ ეს არ მეტყველებს კანონისადმი სვანების უდავო მორჩილებაზე?

არაფერს ამის მსგავს ვერ ვხედავთ ჩვენ ადმინისტრაციის მხრივ. ის ყოველთვის პირველი იძლეოდა კახოხის დარღვევის მაგალითს. ამას აშტკიცებს აშ ამბების ისტორია, რომელიც პირველ აგვისტოს წინ უძღოდა.

ლეჩხუმის მაზრის უფროსი გრინევსკი,[7] რომელმაც თავად თენგიზ დადეშქელიანის გამოწვევით ლატფარის უღელტეხილი გადალახა, ბეჩოზე გავლით ლახამურში გაემგზავრა და მას შემდეგ, რაც იქ გაუსწორდა „ურჩებს", დაბრუნდა ეწერში თავად თენგიზთან.

აქ მე სავსებით მართებულად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ბუნება, რომელმაც სვანები ქვაბურში ჩაჰკეტა და მით წაართვა ყოველგვარი გაშლის შესაძლებლობა,კვლავ აგრძელებს მათ დევნას დღესაც, სამარის პირამდე. მან ხელი შეუშალა დაცვის მოწმეთა გამოძახებას, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ბრალდების მოწმეებმა შესძლეს ამ დაბრკოლების გადალახვა. ეს კი მეტად სამწუხაროა, რადგან სხვა შემთხვევაში შეიძლება გახსნილიყო ისეთი გარემოებანი, რომლებიც საქმეს სულ სხვა მსვლელობას მისცემდნენ.

რადგან ეს ასე არ მოხდა, მე მოკლებული ვარ საშუალებას ვილაპარაკო იმაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ეწერსა და ბეჩოში, როგორც ისეთ რამეზე, რაც გარკვეული არ ყოფილა სამსჯავრო სხდომაზე. ამიტომ მე დამრჩენია დავკმაყოფილდე მხოლოდ ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით, თუმცა ამ ნამცეცებს დაცვა ვერაფერს ვერ გამორჩება.

ყოველ შემთხვევაში მე მაინც მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო ამ ჩვენებათა ცალკეულ ადგილებს იმ იმედით, რომ თქვენი გამჭრიახობა, ბატონო მოსამართლენო, შეავსებს იმას, რაც გამოუთქმელი დარჩება.

26 ივლისს მაზრის უფროსმა გრინევსკიმ, ეწერში ბრძანება მისცა თავის თარჯიმანს ბაქრაძეს, რათა მას მოემზადებია მიწერილობა ბეჩოს ადგილობრივი რაზმის უფროსის, მაიორ ლეუსისადმი,[8] რაზმის სოფ. ხალდეზე გალაშქრების შესახებ. მიწერილობა ემყარება სასამართლო ხელისუფლების საჩივარს იმაზე, რომ ამ სოფლის მცხოვრებლები არ ასრულებენ სასამართლოს გადაწყვეტილებებს, თუმცა მომრიგებელ მოსამართლის ორბელის მიმართვა, რომელშიაც აღნიშნული იყო მოხსენებული საჩივარი, გრინევსკის მიღებული აქვს 28 ივლისს, მისი ეწერიდან ბეჩოში დაბრუნების შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მაზრის უფროსს, მთელი ორი დღით ადრე წინასწარ ჰქონია გამოცნობილი, რომ ის მოსამართლის ასეთ მიმართვას მიიღებდა.

რაზმი იმავე დღეს გამოვიდა სალაშქროდ.

ჩემი საქმე არ არის განსჯა იმისა, თუ რაოდენ კანონიერად უნდა იქნეს მიჩნეული ეს ლაშქრობა; ბატონო მოსამართლენო, თქვენ ეს უკეთ უწყით. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ხელისუფლების წარმომადგენელნი რაზმთან ერთად თანმიმდევრობით გადადიოდნენ ერთი სოფლიდან მეორეში, ჩხრეკდნენ სახლებს, ბევრს პატიმარჰყოფდენ, მაგრამ მცხოვრებლებს მათთვის ოდნავი წინააღმდეგობაც კი არ გაუწევიათ. ერთ სოფელში ნაცვლად შაგუბათ ქურდიანისა, რომელსაც ეძებდნენ, ხელისუფლებამ დააპატიმრა მისი ბაშვები, რომლებიც სხვა პატიმრებთან ერთად, ხელშეკრულნი დაჰყავდათ სოფლიდან სოფელში, ჯარის უკან, თოკჩაბმულნი, როგორც მაიმუნები.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე: მე თქვენ გთხოვთ თავი შეიკავოთ გამოთქმებში, სიმკვახე არავითარ შედეგს არ მოგცემთ.

ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ე ლ ი: უკაცრავად. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი, ხელშეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულნი და თოკჩაბმულნი ხუთი დღის განმავლობაში დაყავდათ სოფლიდან სოფელში და ასე მიაღწიეს სოფელ კალას, სადაც ცნობას ასეთ დაპატიმრებათა შესახებ შეუძლებელია არ ჩაესწრო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. კალაში ისინი გაჩერდნენ და სოფ. ხალდეში მოციქულებად გაგზავნეს მღვდელი და თარჯიმანი და ხალხს მოსთხოვეს გურმაჩისა და ჩერგაზის[9] გაცემა. მაგრამ, როგორც შემდეგში გამოირკვა ისინი ადგილზე ნამდვილად არ იმყოფებოდნენ, რის გამოც ხალდელებმა მათ მაგივრად ექვსი მძევალი წამოაყენეს და თავს იდვეს გურმაჩისა და ჩერგაზის ხელისუფლების წინაშე წარდგენა სექტემბრის თვისათვის.

გუშინ თქვენს მიერ აქ დასმული იყო კითხვა, რომელიც უპასუხოდ დარჩა: რისთვის იყო დანიშნული სექტემბრის თვე და არა სხვა დრო, უფრო ადრე? მე შეეცდები ამის პასუხი ეხლა მოგახსენოთ. სვანებს წელიწადში სამუშაოდ სულ ორი-სამი თვე აქვთ: ივნისი, ივლისი და აგვისტო. მინდვრის სამუშაოები ამ თვეებში უნდა მოთავდეს, რადგან უკეთუ სექტემბრამდე მოსავლის აღება ვერ დამთავრდა, თოვლი მოუსწრებს და მთელი წლის შრომა დაიღუპება.

ამის გამო, ცხადია, რომ მთებში მიმალულ გურმაჩისა და ჩერგაზის სადევნად, ხალდელებს ისეთი დრო უნდა შეერჩიათ, როდესაც სამუშაოები დამთავრებული იქნებოდა, ე. ი. სექტემბერი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თავის თავსა და თავიანთ ოჯახებს შიმშილსა და გაჭირვებაში ჩააგდებდნენ.

მაზრის უფროსმა მძევლები არ მიიღო და მოითხოვა, რათა ყოველი ხალდელი გამოცხადებულიყო კალაში თავიანთი ოჯახებით. ეს ხალდელებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს, მაგრამ, როდესაც ისინი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიუახლოვდენ და ნახეს, რომ შაგუბათის ნაცვლად დაპატიმრებული იყვნენ მისი ბავშვები, შეშინდნენ და უკან დაბრუნდნენ. მათ კვალდაკვალ გაჰყვა რაზმი, რომელმაც ხალდეში შესვლისთანავე სოფელს ალყა შემოარტყა. ამან მთელ სოფელს უდიდესი შიშის ზარი დასცა მით უმეტეს, რომ მაიორის ბრძანებისამებრ ხიშტებზე წამოგებული იქნა ორი უდანაშაულო სვანი.[10]

მე საჭიროდ მიმაჩნია განვმარტო საკითხი იმის შესახებ, უწინ ჯარისკაცებმა ააგეს ხიშტებზე სვანები თუ სვანებმა დასჭრეს ჯარისკაცები. ერთის მხრივ ჩვენ გვაქვს ჩვენებები ბრალდებულთა, რომლებიც მიუხედავად მოსალოდნელ საშიშროებისა, აღიარებენ ყველაფერს, რაც ჩაიდინეს და აი სწორედ ისინი აღნიშნავენ, რომ სვანები ჯარისკაცებისაგან პირველად იქნენ აგებული ხიშტებზე. ამასვე ადასტურებს თარჯიმანი ბაქრაძეც. მეორეს მხრივ სახეზეა ჩვენებები ბრალდების მოწმეთა, რომლებიც უფრო იმას ცდილობენ, რომ თავიანთი დამსახურება გვაჩვენონ.

მაგალითად, კოტლიაროვის სიტყვით, მაიორმა ლეუსმა ბრძანა დაეკავებიათ ორი სვანი, რომლებმაც ვერ შეასწრეს კოშკში, რადგან მათ კოშკის კარები დაკეტილი დახვდათ. მისივე ჩვენებით ერთი მათგანი თითქოს მისწვდა გარე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს, გადაიგდო მხარზე და მივარდა კოტლიაროვს, რომელმაც მას ხელი შემოხვია, დაუჭირა ხელები და არ გაუშვია მანამდე, ვიდრე მან ის ხანჯლით არ დასჭრა. ეს ჩვენება მე მცდარად მიმაჩნია. თოფს არავინ, და მით უმეტეს სვანები, გარე კედელზე არ ჰკიდებს, თუ სვანი მართლა მისწვდა თოფს კოტლიაროვზე თავდასხმისათვის, მაშინ მას რათ დასჭირდებოდა თოფის მხარზე გადაგდება? უკეთუ სვანი შებოჭილი იყო კოტლიაროვის მიერ, რომელსაც მისი ორივე ხელი ეჭირა რომელიღა ხელით მოახერხა მან ხანჯლის ამოღება და ხმარება?

რაც შეეხება მეორე ჯარისკაცის პლევნევის ჩვენებას, რომელიც მან აქ სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლოში მისცა, ის ეწინააღმდეგება შის მიერვე წინასწარ გამოძიებაზე მიცემულ ჩვენებას. წინასწარ გამოძიებისას მან აჩვენა, რომ კოშკებიდან სვანებმა სროლა დაიწყეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოკლული იყო ორი სვანი; ახლა კი ცდილობს საწინააღმდეგო დაამტკიცოს. მე კი ვფიქრობ უფრო დამაჯერებელია პირველი ჩვენება, რადგან მოწმეს უფრო ემახსოვრებოდა მაშინ, როდესაც შემთხვევის შემდეგ ჯერ კიდევ ბევრი დრო არ იყო გასული.

ყოველივე ამის გამო ამ მოწმეების არაზუსტ ჩვენებებს არ უნდა გამოეცხადოს მეტი ნდობა, ვიდრე სამართალში მიცემულთა ჩვენებებს. თუმცა ამას არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან კოშკებიდან ყველას და ყოველგვარ შემთხვევაში შეეძლო დაენახა განგმირულნი და ხიშტებზე აგებულნი, მაგრამ იმის გარჩევა თუ ვინ იყო იარაღის პირველი ამღები კოშკებში მეტად ძნელი იყო.

ერთი კი ცხადია,სვანებმა სროლა დაიწყეს არა შურისძიების ნიადაგზე, არამედ იმის შიშით, რომ დანარჩენ სვანებს და მათ ოჯახებსაც იგივე უბედურება მოელოდათ.

მე მათ არ ვამართლებ. ვიმეორებ, ისინი ვერ დაემყარებიან კანონის უცოდინარობას. რაკი ადამიანი აღჭურვილია ხელისუფლებით, მას უთუოდ ყველა უნდა დაემორჩილოს, როგორიც არ უნდა იყოს მისი მოქმედება და რაოდენ კანონსაწინააღმდეგო არ უნდა იყოს ეს მოქმედება.

ხელისუფლების წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიება დაუშვებელია. შეიძლება მხოლოდ უკანონოდ მიჩნეული მოქმედების შემდეგში გასაჩივრება. ამ თვალსაზრისით, სვანებს, რომლებსაც ხიშტებზე აგებდნენ არავითარი წინააღმდგებობა არ უნდა გაეწიათ და მათ უფლება ჰქონდათ გაესაჩივრებიათ მაიორ ლეუსის ბრძანება. მაგრამ განა ბევრნი არიან ამ ქვეყნად ასეთი თავგანწირულ გმირობის მქონე კატონები?!

სწორედ ასევე, სვანებს არ უნდა აეტეხათ სროლა მილიციისათვის, რომელიც ორი დღის განმავლობაში ხდებოდა მათ მთებში და ტყვიას უშენდა. მაგრამ, თუ რამდენად ძლიერი იყო სვანებში ჯარის ხელში ჩავარდნის შიში, ჩანს იქედან, რომ ზოგიერთი მათგანი კოშკებში დარჩენასა და დაწვასაც კი ამჯობინებდა .და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავადებმა გარდაფხაძემ და დადეშქელიანმა წინასწარ მისცეს ფიცი სვანებს მეფის ნაცვლის წინაშე მათ წარდგენაზე, და დაარწმუნეს, რომ საშიშროება არ მოელოდათ, სვანებმა დაჰყარეს იარაღი და ნებაყოფლობით გამოცხადდნენ ხელისუფალთა წინაშე.

ყოველივე ეს, რაც მოგახსენეთ, ეხება ისეთ სამართალში მიცემულებს, რომლებიც მოზრდილნი არიან. საბრალდებო სკამზე მსხდომ ბავშვების მიმართ კი მე ზედმეტად მიმაჩნია ვილაპარაკო მათი უდანაშაულობის შესახებ.

ამ ბავშვებს იარაღი არ ჰქონიათ; არ გაუსროლიათ არც ერთი ტყვია და არც შეეძლოთ ეხმარათ იარაღი. მთელი მათი დანაშაული მდგომარეობს მხოლოდ იმაში, რომ როდესაც დაინახეს საფრთხის წინაშე მყოფი მშობლები, არ ისურვეს მათგან განშორება.

ეს კი არავითარ დანაშაულს არ შეადგენს და ჩვენს ბავშვებს, რომ ასეთი რამ მოემოქმედათ, ჩვენ მათ დაუსრულებელ ქებადიდებაში ვიქნებოდით.

ამრიგად ცხადია, რომ დანაშაული ჩადენილია. მაგრამ ცხადია ისიც, რომ ის გამოწვეული იყო ძალადობით.

თქვენ მონიჭებული გაქვთ უფლება შეუფარდოთ კანონი, ისეთ გარემოებათა მხედველობაში მიღებით, რომელთა გათვალისწინება კანონმდებლობას არ შეეძლო.

კანონს რომ შეეძლოს წინასწარ გაითვალისწინოს ცხოვრების ყველა ცალკეული შემთხვევები, ყველა განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული გარემოებანი და მონაცემები, მაშინ კანონთა კრებულისათვის საჭირო იქნებოდა 20.000 ტომზე მეტი.

ამ საქმის მიხედვით დადგენილია უამრავი გარემოებანი, რომლებიც ამსუბუქებენ სამართალში მიცემულთა ბრალეულობას; დადგენილია რომ დანაშაული ჩადენილია ძალადობის შედეგად.

ამიტომ სამხედრო დადგენილებათა კრებულის XXIV წიგნის 815 მუხლის შესაბამისად მოგმართავთ თხოვნით გამოიყენოთ ამ შემთხვევისათვის ამაგე წიგნის 1234 მუხლი და აღძრათ შუამდგომლობა მთავარსარდლის წინაშე სამართალში მიცემულების პატიებისა და მათი ხვედრის შემსუბუქების შესახებ.

ამით თქვენ შესძლებთ შეუთავსოთ კანონის სიმკაცრე სამართლიანობისა და ჰუმანურობის გრძნობას, მით უმეტეს, რომ ამ მუხლს გამოყენების ფართო სარბიელი აქვს მიცემული უმაღლესი გამოთქმით: „სიმართლე და შეწყალება სუფევდეს სასამართლოში“.

---

**აკაკი წერეთლის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა ქ. ქუთაისში, კავკასიის სამხედრო-საველე სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე (1876 წლის 27 ნოემბერი) სვანეთის გლეხების შეიარაღებული აჯანყების მონაწილე სვანების დასაცავად, გამოქვეყნებულია მხოლოდ რუსულ ენაზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამართველოს ჟურნალში: „საისტორიო მოამბე“, 1945 წ. გვ. 189—196.**

**დაცვითი სიტყვის ჩანაწერი რუსულ ენაზე აღმოჩენილი იქნა 1943 წელს გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძის პირად არქივში, საბუთების ჯგუფში: „სვანეთის პროცესი“ და წარმოადგენს შავს, რომელიც შეიცავს სარედაქციო ხასიათის შესწორებებსა და დამატებებს.**

**აკაკი წერეთლის ეს სიტყვა განხილულია ანდრო გელოვანის წერილში: „აკაკი წერეთლის ერთი დაცვითი სიტყვის გამო“, რომელიც გამოქვეყნდა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე (1958 წ., № 2).**

**ამავე ავტორის თარგმანითა და შენიშვნებით დღეს ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება ჩვენი სახელოვანი მწერლის ეს შესანიშნავი სიტყვა.**

**რედაქციისაგან**

**შენიშვნები**

1. სამხედრო პროკურორის თანაშემწე კაპიტანი შლეტინსკი.
2. თენგიზ დადეშქელიანი — სვანეთის ბოქაულის თანაშემწე.
3. ლ. ტ. ლოლუა — გამოჩენილი ქართველი იურისტი. მის მიერ წარმოთქმული დაცვითი სიტყვა სვანების პროცესზე გამოქვეყნებულია ჟურნალ „საისტორიო მოამბეში“, 1945 წ., № 1, გვ. 172—189.
4. სვანეთის ის ნაწილი, რომელსაც ზემო ხევი ეწოდებოდა და სადაც ბატონყმობა არასოდეს არ ყოფილა, შეიცავს სოფლებს: ლატალი, ლენჯერი, მესტია, ჭულახი, იფარი, უშგული, კალა და ხალდე.
5. კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე გენერალ-მაიორი ლეიტტი.
6. რუსული სასამართლო, რომელსაც უნდა ემოქმედა 1864 წ. „სასამართლო წესდების“ საფუძველზე, სვანეთში შემოღებული იქნა 1869 წ.
7. მოკლულია ამ აჯანყების დროს სოფ. ხალდეში გურმაჩ კასტლიანის და ჯოხან ჯოხაძის მიერ, სხვა მათ თანასოფლელებთან ერთად.
8. მოკლულია ბადრი, შახან და ბუღა კასტლიანების კოშკიდან გასროლილი ტყვიით.
9. გურმაჩ კასტლიანი და ჩერგაზ ჯოხაძე საბრალმდებო დასკვნის მიხედვით გამავალი სამართალში მიცემულები. სულ სამართალში მიცემული იყო 22 კაცი. ყველა კალის საზოგადოების, ყოფილი სოფ. ხალდეს მცხოვრებნი, როგორც ეს აღნიშნულია საბრალმდებო აქტში.
10. გეგი გასვიანი და გიერგ გასვიანი.

## ალბანეთის სახალხო რესპუბლიკა

1960 წლის 9 მაისს გამოიცა დეკრეტი ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შრომის კოდექსში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ. შრომის კოდექსის 83-ე მუხლი შეტანილი ცვლილებებით ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „მუშას ან მოსამსახურეს დაქორწინების შემთხვევაში, აგრეთვე ოჯახის რომელიმე წევრის მძიმე ავად მყოფობისა, ან გარდაცვალების შემთხვევაში ეძლევა რიგგარეშე უხელფასო შვებულება ხანგრძლივობით ხუთ სამუშაო დღემდე.“ შეცვლილია აგრეთვე აღნიშნული კოდექსის 98, 114 და 115 მუხლები, რომლებიც განსაზღვრავენ გამომუშავების ნორმებს და შრომის ანაზღაურების გამოანგარიშებას.

შრომის კოდექსის 121-ე მუხლმა მიიღო შემდეგი რედაქცია: მუშა-მოსამსახურის ბრალით გამოწვეული გაცდენა არ ანაზღაურდება. იმ შემთხვევაში თუ სამუშაოზე გაცდენა მოხდა არა მუშა-მოსამსახურის ბრალით, გაცდენილი დროის ანაზღაურება მოხდება მოცემული კატეგორიის მუშაობის ნახევარი განაკვეთის რაოდენობით, ხოლო საზღვაო ნავსადგურების იმ მუშაკებისათვის, რომლებიც ასრულებენ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებს, განაკვეთის 2/3 რაოდენობით.

შეცვლილია აგრეთვე შრომის კოდექსის 140-ე მუხლი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესის შესახებ.

## რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმმა 1960 წლის 14 ივნისს მიიღო ბრძანებულება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. ამ ბრძანებულებით რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები და დამატებანი, რომლებიც მიმართულია სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. ახლებურად არის განსაზღვრული პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების იურისდიქცია და დაზუსტებულია განაჩენების გასაჩივრების წესი. აღნიშნული ბრძანებულებით შესამჩნევადაა ამაღლებული სასამართლო ორგანოების როლი დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის განსაზღვრისა და ანაზღაურების საკითხში. ახალი კანონით შეტანილია ცვლილებები მტკიცებათა შეგროვებისა და შეფარდების წესებში, დაზუსტებულია პროცესში პროკურორის უფლება-მოვალეობანი. არსებითი ცვლილებებია შეტანილი აგრეთვე საქმეთა სასამართლო განხილვისა და სისხლის სამართალწარმოების მთელ რიგ სხვა წესებში.

* * *

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 19 ივლისის ბრძანებულებით შრომის კოდექსში შეტანილია ცვლილებები.

შრომის კოდექსის 21-ე მუხლში შეტანილია დამატება, რომლის თანახმად მე-20 მუხლში გათვალისწინებულ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტისათვის აუცილებელია სათანადო პროფესიული კავშირის კომიტეტის თანხმობა. ასეთივე წესი უნდა დაცული იქნას ამა თუ იმ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში. 68-ე მუხლს დამატება დებულება, რომლის თანახმად დაუდევრობით გამოწვეული ზარალის რაოდენობის ანაზღაურება არ შეიძლება აღემატებოდეს სამი უკანასკნელი თვის სატარიფო განაკვეთს, უკეთუ ზარალის მიყენება არ გამოიწვევს სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული ხასიათის პასუხისმგებლობას.

69-ე მუხლის დამატება დაწვრილებით განსაზღვრავს ხელფასიდან გამოქვითვის პირობებს, წესს და ოდენობას იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაკის მიერ განზრახ არის საწარმოში მიყენებული ზარალი. შრომის კოდექსის 114, 115, 116, 118, 121, 123, და 124 მუხლებში შეტანილ ცვლილებებში გამოხატულება ჰპოვა პროფესიული კავშირების უფლებების გაზრდამ შრომითი დავების გადაწყვეტის დროს.

## ამერიკის შეერთებულ შტატებში

1960 წლის 14 მაისის კანონი „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ“ გამოცემულია 1954 წელს ამავე საკითხზე გამოცემული კანონის შესაცვლელად. იგი ითვალისწინებს უცხო სახელმწიფოებისათვის „დახმარების“ აღმოსაჩენად 4 მილიარდი დოლარის გამოყოფას. როგორც კანონშია აღნიშნული, ამ თანხის თითქმის ნახევარი დაიხარჯება პირდაპირ თუ არაპირდაპირ სამხედრო მიზნებისათვის. ამერიკული „დახმარების“ ნამდვილი არსი შეადგენს იმ ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევას, ვისაც ეს „დახმარება“ ეძლევა. ეს ნათლად სჩანს იმ ცვლილებებიდან, რომლებიც შეტანილია 1954 წლის კანონში.

1960 წლის 14 მაისის კანონში „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ“ შესავალ ნაწილში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „დახმარება“ არ გაეწევა იმ ქვეყნებს, რომლებმაც დახმარება შეიძლება გამოიყენონ ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ. გარდა ამისა, კანონში შეტანილია პარაგრაფი **კუბის რესპუბლიკისათვის** ამერიკული დახმარების შეწყვეტის შესახებ.

* * *

1960 წლის 6 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა კანონი, რომლითაც ამავე საკითხზე 1948 წელს კანონში „შაქრის შესახებ“ შეტანილია მნიშვნელოვანი ცვლილებები. ამ საკანონმდებლო აქტის ძირითადი დანიშნულება მდგომარეობს კუბის რესპუბლიკიდან შაქრის შეზიდვის კვოტის მკვეთრად შემცირებაში. სათანადო რწმუნებები ამერიკის შეერთებულ შტატებში შაქრის იმპორტირების შეზღუდვის შესახებ მიცემული აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს.

## ინგლისი

1960 წლის 13 აპრილის კანონით ქორწინების უფლების შესახებ, არც ერთი ქორწინება, დადებული მამაკაცსა და იმ ქალს შორის, რომელიც წარმოადგენს ამ მამაკაცის ყოფილი ცოლის დას, ბიცოლას, ძმისწულს, ან დისწულს, ან რომელიც წარმოადგენს მისი ძმის, ბიძის ან ძმისწულის და დისწულის ყოფილ ცოლს, არ შეიძლება ცნობილ იქნას ბათილად ამ მოყვროების გამო.

## კუბა

1960 წლის 5 ივლისის კანონით „ნაციონალიზაციის შესახებ“ ქვეყნის ეკონომიკის ინტერესების დაცვიდან გამომდინარე კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ მინისტრს მინიჭებული აქვთ უფლება მოახდინონ ამერიკელ მოქალაქეთა და იურიდიული პირების კუთვნილი საწარმოებისა და საკუთრების ნაციონალიზაცია, მათ შორის ისეთი საწარმოებისაც, რომლებშიაც ამერიკის კაპიტალი სჭარბობს, თუნდაც ეს საწარმოები შექმნილი იყვნენ და მოქმედებდნენ კუბის კანონების შესაბამისად. კანონში ნათქვამია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისა და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კუბის ეკონომიკის წინააღმდეგ გატარებული განუწყვეტელი აგრესიული მოქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავენ პოლიტიკურ მიზნებს, აიძულებს კუბის მთავრობას უყოყმანოდ მიიღოს ყველა საჭირო ზომა კუბის რესპუბლიკის ნაციონალური სუვერენიტეტის დასაცავად და ეკონომიკის შეუფერხებელი განვითარების უზრუნველსაყოფად“, ამასთან კანონი ადგენს ექსპროპრიირებული საბუთების და საწარმოების კონფისკაციის წესებს. გათვალისწინებულია კონფისკაციის გადახდა სპეციალური სახელმწიფო ობლიგაციების საშუალებით, რომელიც უნდა დაფარულ იქნას არა ნაკლებ 30 წლის ვადისა ექსპროპრიაციის მომენტიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მალაია

1960 წლის 7 ივლისის კანონი „საშინაო უშიშროების შესახებ“ თავისი მახვილით შემარ-თულია ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც მალაის კომუ-ნისტური პარტია ხელმძღვანელობს. თანახმად აღნიშნული კანონისა „რაიონებად, რომლებიც მოითხოვენ უშიშროების უზრუნველყოფას“ გამოცხადებულია პერლის და პურაკის შტატების ჩრდილო აღმოსავლეთი ნაწილი და მთელი რიგი სხვა რაიონები. აღნიშნულ რაიონებში განახ-ლებულია საგანგებო მდგომარეობა. კანონმა უფლება მისცა მთავრობას, მოახდინოს მოქალაქე-თა წინასწარი დაპატიმრება, რომლებიც მხილებულნი იქნებიან „კომუნისტურ ძირგამომთხრელ მუშაობაში“. **მთავრობას უფლება ენიჭება გასცეს ბრძანება პიროვნების ორი წლის ვადით სა-პყრობილეში მოთავსების შესახებ** ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე.

## საფრანგეთი

1960 წლის 3 ივნისს გამოცემულია კანონი (ორდონანსი) „ალჟირელ მეამბოხეთათვის დახ-მარების აღმოჩენის მიზნით ჩადენილი ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის შესახებ“

აღნიშნული კანონი ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ალჟირელ მეამ-ბოხეთა, მათი თანამონაწილეებისა და დამხმარეთა მიმართ. როგორც თანამონაწილენი, ისე დამ-ხმარენი სამხედრო ტრიბუნალის სასამართლოს ექვემდებარებიან თუ იქნება საგამომძიებლო ორგანოების მიერ დადგენილი მათი რაიმე დამოკიდებულება „დანაშაულებრივ მოქმედებასთან“.

* * *

1960 წლის 4 ივნისს საფრანგეთში გამოიცა კანონი (ორდონანსი) „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში და არმიისა და ფლოტის სამხედრო იუსტიციის კოდექსის დებულე-ბებში ცვლილებათა შეტანის შესახებ სახელმწიფო წესრიგის დაცვისა და ალჟირის დაწყნარების მიზნით.“

ეს ორდონანსი წარმოადგენს ახალ ნაბიჯს ფრანგ კოლონიზატორთა დასჯითი პოლიტიკის მკვეთრად გაძლიერებას ალჟირელ ხალხის მიმართ. ამ კანონის თანახმად ყველა დანაშაული და დელიქტი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეიცავენ საფრანგეთის სახელმწიფოს საში-ნაო ან საგარეო უშიშროებაზე ხელყოფას, განიხილება როგორც პოლიტიკური დანაშაული და ისჯება ომიანობის დროის კანონების მთელი სისასტიკით. სისხლის სამართლის კოდექსში ეს ნორმები გაერთიანებულია ერთ საერთო თავში „დანაშაულებანი სახელმწიფოს უშიშროების წინააღმდეგ“. სასჯელთა შორის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ სახის დანაშაულთათვის არის სიკვდილით დასჯა, რომელიც განხორციელდება დახვრეტის საშუალებით, მუდმივი კა-ტორღა ან საპყრობილეში მუდმივი მოთავსება, საპყრობილეში მოთავსება ვადით 10 წლიდან 20 წლამდე ან 5 დან 10 წლამდე. გარდა ამისა ორდონანსი ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსში სასჯელთა დამატებით ღონისძიებებსაც სამოქალაქო უფლებების აყრის და ქონების კონფისკაციის სახით.

განსაკუთრებით მკაცრი სასჯელია დაწესებული შეიარაღებულ მეამბოხეთა ჯგუფების, მო-ქმედებათათვის და სამხედრო დანაშაულისათვის. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებანი და დამატებები მიმართულია იქითკენ, რომ დაჩქარდეს სასამართლო წარმოება სახელმწიფო დანაშაულთა საქმეებზე. ამ ღონისძიების მთავარი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ „სასწრაფოდ ჩაახშონ ტერორი“. ამის შესაბამისად საგრძნობლად გაზრდილია პროკურორის და საგამომძიებლო ორგანოების უფლებები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ახალ დებულებათა თანახმად საქმეები პრესის საშუალებით ჩადენილ დანაშაულზე განიხილება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გარდა იმ შემთხვევებისა, რო-დესაც საქმე ეხება საიდუმლო ცნობებს ნაციონალური თავდაცვის შესახებ. ანალოგიურმა ცვლილებებმა თავისი გამოსახულება ჰპოვა აგრეთვე არმიისა და ფლოტის სამხედრო იუსტიციის კოდექსში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილენი საქართველოში

ოთხი დღე გაატარეს საქართველოში კუბის, კოლუმბიის, ლიბანისა და იაპონიის იურისტ-დემოკრატებმა — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ სოფიაში გამართული დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილეებმა. დელეგაციაში შედიოდნენ ამ ოთხი ქვეყნის მართლმსაჯულების პროგრესულ ძალთა თვალსაჩინო წარმომადგენლები, მათ შორის — კუბის რესპუბლიკის გენერალური პროკურორი დოქტორი სანტიაგო კუბა, ბოგოტის (კოლუმბია) უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორი ნესონ რობლესი, იაპონელი პროფესორი მიტიტაკა კაინო, ბეირუთის მუნიციპალიტეტის ადვოკატი იუსიფ ალემი და სხვები.

ოთხი ქვეყნის იურისტები დიდი ინტერესით გაეცნენ საქართველოს მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, რესპუბლიკის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების საქმიანობას. სტუმრები იყვნენ საწარმოებში, კოლმეურნეობებში. დიდი ინტერესით დაათვალიერეს მათ თბილისის ღირსშესანიშნაობანი, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები მცხეთაში, ხელოვნების მუზეუმი და ნახეს დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა საქართველო“.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილენი ეწვივნენ საქართველოს სსრ პროკურატურასა და უმაღლეს სასამართლოს. რესპუბლიკის პროკურორმა მ. თოფურიძემ, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ მ. ვეფხვაძემ, მათმა მოადგილეებმა სტუმრებს გააცნეს რესპუბლიკის სახელმწიფო და სასამართლო წყობილება, მართლმსაჯულების ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობა. დელეგაციის წევრებმა მასპინძლებს გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი კონგრესის მუშაობის შესახებ, გააცნეს იუსტიციის პროგრესული ძალების მოძრაობა თავიანთ ქვეყნებში.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში მოეწყო სტუმრების შეხვედრა. ქართველ იურისტებთან შეხვედრაზე გაიმართა საუბარი ყველა ქვეყნის იურისტთა დიდმნიშვნელოვან მოვალეობაზე მშვიდობისათვის, ადამიანთა ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში გამგზავრების წინ, სადაც ისინი მიწვეული იყვნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 43-ე წლისთავის ღღესასწაულზე, საზღვარგარეთელი იურისტები ინახულა ჩვენი უურნალის კორესპონდენტმა. სტუმრებმა ხალისით გაუზიარეს მას შთაბეჭდილებანი საქართველოში ყოფნის, საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრების შესახებ.

— საქართველოს მშრომელთა ცხოვრებამ, მათმა მიღწევებმა ჩვენ უაღრესად დაგვაინტერესა და გაგვახარა, — განაცხადა ანდრეას სილვამ — ჰავანის (კუბა) ადვოკატთა კოლეგიის თავმჯდომარემ. — ჩვენთვის, კუბელებისათვის, თქვა მან, — ძვირფასია თქვენი გამოცდილება ცხოვრების ყველა დარგში. ჩვენს ქვეყანაში უკვე ბევრი რამ გვსმენია საბჭოთა ხალხის გამარჯვებებზე. კუბელი ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, აღფრთოვანებული არიან ამ მიღწევებით, ამაყობენ ხალხის ყოველმხრივი მხარდაჭერით და დიდად აფასებენ მას.

ძნელია გადმოვცეთ ის სიხარული, რომელიც გამოიწვია ჩვენში საბჭოთა ხალხისა და მთავრობის მხურვალე სიმპათიებმა კუბელი ხალხის რევოლუციური ბრძოლებისადმი. ჩვენ ვიცით, რომ თუ კი კუბის რევოლუცია შემდგომშიც წარმატებით განვითარდა, ხოლო ამაში იოტის ოდენადაც არ გვეპარება ეჭვი, ეს იმის წყალობით, რომ რევოლუციური სულისკვეთებით, როგორც ერთი კაცი, გამსჭვალულია მთელი ჩვენი ხალხი, იმის წყალობით, რომ მას მხარს უჭერს დიდი და ძლიერი საბჭოთა კავშირი.

აი, რა თქვა ჰასიბ ნემერმა, ლიბანის დელეგაციის წევრმა, ბეირუთის პროფკავშირთა ადვოკატმა: მე, ისევე როგორც ყველა ჩემი მეგობარი, პირველად ვარ საქართველოში. ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩვენთვის, როგორც არაბებისა და როგორც ლიბანელებისათვის. ცნობილია, რომ საქართველოსა და არაბეთს შორის უძველესი დროიდან არსებობდა კავშირურთიერთობა. ძალიან ხშირად ჩვენი წინაპრები, როგორც ეს კარგადაა ცნობილი, ცოდვასაც სჩადიოდნენ. ისინი ხომ ხშირად მოდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდნენ საქართველოში, როგორც დამპყრობნი. დღეს კი არაბეთსა და საქართველოს შორის, რომელიც საბჭოთა კავშირის — აღმოსავლეთის ხალხთა ყველაზე უერთგულესი მეგობრის განუყოფელი ნაწილია, ახალმა ნიავმა დაბერა. ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა უკვე „მოგვიზღეს“ სამაგიერო — „დაგვიპყრეს“ თავისი სტუმართმოყვარეობით.

გულითადი და უაღრესად თბილი მიღება, რაც გაგვიწიეს ჩვენ, არაბი ხალხის წარმომადგენლებს, შეიმჩნეოდა თქვენი დიდი ქვეყნის ყველა კუთხეში, სადაც კი მოგვიხდა ყოფნა. ჩვენ ღრმად დავრწმუნდით საბჭოთა ადამიანების გულწრფელ გრძნობებში არაბი ხალხებისადმი. ამ გრძნობას, ამ მხარდაჭერას დიდად აფასებენ საბჭოთა კავშირის მილიონობით მეგობრები აღმოსავლეთის ქვეყნებში.

საინტერესო იყო საუბარი იაპონიის ქალაქ აიტის უნივერსიტეტის პროფესორ ცუტაიტი გომამოტოსთან. ეს თვალსაჩინო იაპონელი მეცნიერი საქართველოს დედაქალაქში პირველად ჯერ კიდევ 1927 წელს იმყოფებოდა. „მე მოხიბლული და გაოცებული ვარ იმ ცვლილებებით, რომლებიც მომხდარა თბილისში ამ 33 წლის მანძილზე, — განაცხადა პროფესორმა გომამოტომ. — მაშინ ეს იყო პატარა, ძველი ქალაქი 300 ათასი მცხოვრებით. ახალ მშენებლობებს აქ იშვიათად შეხვდებოდით. ახლა კი მე ვნახე დიდი და კეთილმოწყობილი თანამედროვე ქალაქი. ჩვენი დელეგაციის ყველა წევრის აზრით, ასეთივე ცვლილებები, უდიდესი პროგრესი შეიმჩნევა საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა ხალხი სრული კმაყოფითა და სიუხვით ცხოვრობს. სამწუხაროდ, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონეზე მრავალ არასწორ და ტენდენციურ ცნობებს ავრცელებს დასავლეთის, კერძოდ, იაპონიის რეაქციული პრესა განდა.

მე, თქვა დასასრულ ცუტაიტი გომამოტომ, ყოველთვის აღფრთოვანებით ვადევნებდი თვალყურს საბჭოთა კავშირის გიგანტურ წინსვლას. თქვენი ქვეყნის წარმატებები მე, საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობარს, დიდად მახარებს. სულით და გულით მივესალმები საქართველოს ხალხს, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს, ვუსურვებ მათ მშვიდობას, ახალ გამარჯვებებს იმ იდეალების ხორცშესხმაში, რომელიც მას თავისმა სახელოვანმა ლიდერებმა დაუსახეს.

საზღვარგარეთელი იურისტები გულთბილად გამოეთხოვნენ ქართველ კოლეგებს. უზარმაზარმა საჰაერო ლაინერმა „ტუ-104“-მა გეზი მოსკოვისაკენ აიღო.



ქართველი იურისტების შეხვედრა დემოკრატ-იურისტთა საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილეებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰასან ნემერ*

# საბჭოთა კანონი ხალხს ემსახურება**

ჩემთვის შეუძლებელია ამ მცირე ნარკვევში განვსაზღვრო და შევაფასო საერთოდ საბჭოთა კავშირის კანონი და კერძოდ საბჭოთა საქართველოს კანონი. ამისათვის მე შევეცდები მხოლოდ მოვხაზო ამ კანონის საერთო ხასიათი იმდენად, რამდენადაც საბჭოთა კავშირში ჩემი უკანასკნელი ჩამოსვლა და კერძოდ თბილისში ყოფნა ამის საშუალებას მაძლევს.

გამოვდივარ რა საერთო პრინციპიდან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ახალი საზოგადოება აუცილებლად საჭიროებს და გულისხმობს ახალი კანონების შემოღებას, რომ ამა თუ იმ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, რომელიც ამ შემთხვევაში ბაზას წარმოადგენს,—ესა თუ ის ცვლილება აუცილებლად და ბუნებრივად ხდის კანონმდებლურ სტრუქტურულ ცვლილებასაც, თვალნათლივ ვრწმუნდებით, რომ საბჭოთა კანონმდებლობას საერთოდ ბევრი რამ ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს. მე აქ ჩამოვთვლი მხოლოდ მის ყველაზე მნიშვნელოვან მხარეებს.

მთავარი, რასაც საბჭოთა კანონმდებლობა ემყარება, ეს არის ის, რომ იგი გამომდინარეობს საბჭოთა საზოგადოების უფლებათა დაცვის პრინციპიდან და ამ საზოგადოების წევრთა ე. ი. ადამიანთა უფლების დაცვის, პიროვნების დაცვის პრინციპიდან. ეს არის საბჭოთა კანონმდებლობის მთავარი მიზანი, რადგან ახალ საზოგადოებაში, ადამიანის, ინდივიდუმის, პიროვნების ინტერესი მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოების ინტერესებთან. ამ პრინციპის გამოყენება იგრძნობა კანონმდებლობის ყველა სფეროში. იგი ასახულია ძირითად კანონში და გამომდინარეობს აქედან, გამოხმაურებას პოულობს კანონმდებლობის ყველა ნაირსახეობაში. და ეს მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში კანონმდებლობის ქვაკუთხედათ აღიარებულია მხოლოდ ცალკეულ ინდივიდუმთა ინტერესთა დაცვა ცალკეულ დაჯგუფებათა და ასოციაციათა, ტრესტებისა და კარტელების ინტერესთა დაცვა. საბჭოთა კანონი კი, პირიქით, მთავარ მიზნად ისახავს დაიცვას საზოგადოება, პატივი სცეს მას და მის წევრთ, ინდივიდუმებს, რომელთა ინტერესებიც საბოლოო ჯამში ერთმანეთს ემთხვევა.

საბჭოთა კანონმდებლობას მიაჩნია, რომ კანონი უნდა ემსახურებოდეს ხალხს, ე. ი. საზოგადოების ყველა წევრს. მისი ობიექტია საზოგადოების საკუთრების დაცვა, პერსონალური საკუთრების დაცვა და ყველა მშრომელთა ინტერესების დაცვა. ამ მიზნით იგი ანიჭებს ხალხს ყველაზე ფართო შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს კანონმდებლობის გამომუშავებაში. თავდაპირველად გამომუშავებული იქნება საბჭოთა კანონი და შემდეგ ყოველგვარი ღონისძიება იქნება მიღებული მისი ცხოვრებაში გატარებისათვის. ამ მიზნით წესდება ამხანაგური სასამართლოები, სახალხო სასამართლოები, უმაღლესი სასამართლოები, სპეციალური კომისიები, რომელნიც შეისწავლიან ამა თუ იმ საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სისტემა ძალზე მარტივი, მაგრამ ფრიად ეფექტურიც ხალხურობის თვალსაზრისით დაგვირგვინებულია ყველა სამოსამართლო ორგანოების არჩევნებით. სინამდვილეში კანონის შემმუშავებელთა კოლეგიის ყოველი წევრი, რომელიც მოწოდებულია ამ კანონთა ცხოვრებაში გასატარებლად, ე. ი. საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელნი, ისევე როგორც იურიდიულ ხელისუფალთა წარმომადგენელნი, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით აირჩევიან მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. ეს კი იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ხალხის შეგნების დონემ, მისი აღზრდისა და ცივილიზაციის დონემ უაღრესად მაღალ საფეხურს მიაღწია.

ამასთანავე, საბჭოთა კავშირში ზრუნავენ იმისათვის, რომ კანონი არ იქცეს მარტოოდენ ჯოხად, რომლის დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი სასჯელ ინსტრუმენტად იხმარებოდეს მხოლოდ. საბჭოთა კანონმდებლობას მიაჩნია, რომ კანონს ორმაგი მიზანი უნდა ჰქონდეს და ამოძრავებდეს: დასაჯოს და ამავე დროს აღზარდოს, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, უფრო მეტად აღზარდოს, ვიდრე დასაჯოს. ამა თუ იმ საქმის განხილვისას სასამართლო უპირ-

---

* ბეირუთელი ვექილი. ლიბანი. იურისკონსულტი ბეირუთის მუშათა პროფკავშირისა. ლიბანის დელეგაციის მეთაური იურისტ-დემოკრატთა სოფიის მეშვიდე საერთაშორისო კონგრესზე.

** სტატია დაწერილია სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველასად ყოვლისა ცდილობს ჩადენილი დანაშაულის გარემოების დაწვრილებით გამოკვლევას. დადგენას, არკვევს სულიერ მიზეზებს, მას მიაჩნია, რომ ადამიანზე ზემოქმედების მოხდენა შეუძლიან სხვადასხვა გარემოებას, რომელთაგან სულიერ გარემოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სასამართლო ცდილობს მისცეს მაგალითად სისხლის სამართლის დამნაშავეებს ყველა შესაძლებლობა კვლავ დაუბრუნდნენ ისინი საზოგადოებას, რათა კვლავ გახდნენ ისინი ამ საზოგადოების ჩვეულებრივ წევრად, რომელთაც შეეძლებათ სარგებლობა მოუტანონ მას, ამ საზოგადოებას. ეს დიდი ზრუნვა ადამიანის ღირსების პატივისცემისა, პიროვნების ადამიანურობის დამახასიათებელი მხარის ღირსების პატივისცემისა წითელ ზოლად გასდევს მთელს სასამართლო პროცედურას, დანაშაულის რომელ სახეობასაც არ უნდა განხილავდეს იგი.

საბჭოთა საპატიმროები სრულებით არაა ის ადგილი, სადაც ადამიანს ამცირებენ და შეურაცხყოფენ, არამედ ისინი ნამდვილ სკოლებს წარმოადგენენ. ისინი, ვისაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ცხოვრებაში გზა აებნათ და საზოგადოებრივ-აღმზრდელობითი სკოლების გავლენის გარეთ მოექცნენ, აქ, ამ საპატიმროებში პოულობენ ისეთ პირობებს, რომელნიც მათ საშუალებას აძლევენ კვლავ დაადგნენ სწორ გზას და კვლავ გახდნენ საზოგადოების სასარგებლო წევრნი.

ეს ტენდენცია უაღრესად ხელშესახებია და ხაზგასმული განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მცირეწლოვანთ. საბჭოთა ხელისუფლება მათთვის წარმოადგენს ნამდვილ მოსიყვარულე მშობელს, რომელიც უდიდეს ზრუნვას იჩენს მათდამი მაშინაც კი. როცა მათ დანაშაული მიუძღვით. საბჭოთა კანონმდებლობას მიაჩნია, რომ ადამიანი ბუნებით სრულებითაც არაა ბოროტი, რომ იგი დამნაშავედ არ იბადება, რომ მუდამ შესაძლებელია მისი ხელახალი აღზრდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი მცირეწლოვანია. ჩვენ მოგვეცა ბედნიერი შემთხვევა დაგვთვალიერებინა ერთი ასეთი მცირეწლოვანთა კოლონია ლენინგრადის მახლობლად. ეს იყო ჭეშმარიტად პატარა საზოგადოება, სადაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის რომ მცირეწლოვანი დამნაშავე ნამდვილ ადამიანად იქცეს.

ოჯახი საბჭოთა კავშირში დიდი პატივისცემითაა მოხილი. საქართველოს უმაღლესი სასამართლოს წევრებთან საუბრისას ჩვენ დავრწმუნდით, რომ ეს მართლაც ასეა. განქორწინების შემთხვეყაში უპირველესად ყოვლისა ცდილობენ ყოველგვარი ღონისძიება იხმარონ მხარეთა შესარიგებლად, რათა ამ გზით არ დაუშვან ოჯახის გათიშვა და დაშლა. კანონი არ იძლევა განქორწინების უფლებას უმაღლესი სასამართლოს სანქციის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობს საქმე შერიგებით მოაგვაროს. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ უმაღლესი სასამართლო, პირველ რიგში, იცავს მილიონი ადამიანების ინტერესებს და განსაკუთრებით ზრუნავს ბავშვთა ინტერესების დაცვაზე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში იურიდიული ხელისუფალნი ქმნიან უამრავ დაბრკოლებებს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას. ასეთ პირობებში ხშირად ადამიანს უფლება ეკარგება ამა თუ იმ ფორმალობის გამო. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როცა დავრწმუნდი, რომ საბჭოთა კანონი თავისუფალია ამ ფორმალიზმისაგან. საბჭოთა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს თავისუფლად მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მართლმსაჯულება ყველა ინსტანციაში და ამასთანავე მას სრულებით არ სჭირდება თან ატაროს დიოგენის ლამპარი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საბჭოთა კანონმა მაქსიმალურად გააფართოვა იმ განაჩენთა რევიზიისა და ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობაც კი, რომელიც საბოლოოდაა აღიარებული. ამან უაღრესად განაპირობა მართლმსაჯულებისადმი პატივისცემა მის ყველა ფაზებში.

მოკლეთ, ამით მე ვამთავრებ საბჭოთა კავშირის კანონმდებლობის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებათა ჩამოთვლას. იგი, რა თქმა უნდა, არაა სრული. საბჭოთა კანონი გამომუშავებულია ხალხის მიერ, მას ხალხივე ატარებს ცხოვრებაში, იგი თავის ხალხს ემსახურება. კანონები, მათი კოდიფიკაცია და მათი ცხოვრებაში გატარება, იურიდიული ორგანიზაცია, პროცედურა, კანონის სისრულეში მოყვანა და სხვ. ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ ამ მიზანს. მე მხოლოდ ისღა დამრჩენია მივესალმო და მადლობა გადავუხადო ამ სტატიის საშუალებით თბილისის იუსტიციის ყველა მუშაკს და მთელ ქართველ ხალხს და მის მთავრობას იმ გულითადი მიღების გამო, რომელიც მათ გამოამჟღავნეს ჩვენი ამ ქვეყანაში ყოფნისას.

თარგმანი შესრულებულია ბ. ი. ჩიმბაკაძის მიერ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩვენი ინტერვიუ



1944 წელს წიგნის მაღაზიებში პირველად გამოჩნდა ორდე დგებუაძის სათავგადასავლო წიგნი „დამნაშავენი", რომელსაც მკითხველი ინტერესით შეხვდა.

აქედან მოყოლებული ორდე დგებუაძე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევა სათავგადასავლო-დეტექტური ლიტერატურის ჟანრში და აქვეყნებს ნაწარმოებებს: „ამბავი ერთი ქალისა", „მეორედ დაბადება", „უცნობი მეგობარი", „ოთხი სიცოცხლე". მისი სცენარით დადგა მხატვრული კინოფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს".

ამას წინათ ჩვენი თანამშრომელი ეწვია მწერალ ორდე დგებუაძეს და სთხოვა ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის მოეთხრო მისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ.

— ჩემს ნაწარმოებებში, — ამბობს ორდე დგებუაძე, — უმთავრესად აღვწერ საგამომძიებლო ორგანოების ბრძოლას დანაშაულობათა აღმოფხვრის საქმეში. ალბათ ნაწილობრივ ეს ჩემი პროფესიის ბრალიცაა, — ღიმილით დასძენს იგი, გარკვეული წლების მანძილზე მე ხომ საგამომძიებლო ორგანოებში მიხდებოდა მუშაობა. ამჟამად უკვე ჩავბარე და თბილისის კინოსტუდიამ დასადგმელად მიიღო კინოსცენარი „ლეგენდის დასასრული", რომელიც ეკრანზე 1961 წელს გამოვა.

— მკითხველმა საზოგადოებამ კარგად მიიღო ჩემი მოთხრობა „ღვთიშობლის მოტაცება", რომელიც ცალკე წიგნად გამოვიდა. უკვე დავამთავრე და მკითხველი მალე მიიღებს ამ მოთხრობის მეორე წიგნს.

გასულ წელს გამოვიდა ჩემი რომანის პირველი წიგნი „ჩაძირული თოლია". განზრახული მაქვს მომავალ წელს გამოსაცემად ჩავაბარო რომანის მეორე წიგნი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავისათვის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" გამოსაცემად ამზადებს ჩემი მოთხრობების კრებულს, სადაც შევა „უცნობი მეგობარი", „მეორედ დაბადება", „ამბავი ერთი ქალისა", „ოთხი სიცოცხლე".

რედაქციამ თხოვა ო. დგებუაძეს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად გადმოეცა ნაწყვეტი თავისი ახალი ნაწარმოებიდან, რაზედაც იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა. ვაქვეყნებთ ამ ნაწყვეტს.

ოლდე დგებუაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის რკინიგზის სადგურიდან მე და რაისა ერთად გამოვემგზავრეთ. მინდიაშვილის ქალი თავის სახლამდე მივაცილე და კარგად ყოფნა ვუსურვე.

განყოფილებისაკენ გული მოუთმენლად მიმიწევდა. მომაბეზრებლად აკვიატებული აზრი არ მასვენებდა, ვიღაც თითქოს ყურში ჩამჩურჩულებდა რომ აქ, თბილისში საქმე ვერ იყო კარგად, რომ „ჩემს“ ბოშებს ვერ ვნახავდი, რომ ისინი „ჩვენს ბიჭებს“ თვალსა და ხელს შუა გაუძვრებოდნენ. განყოფილების კარებთან პირტახია დამიხვდა. ის ჩემზე ადრე მოსულიყო, განყოფილების უფროსის ავტომანქანასთან იდგა და მძღოლს ემუსაიფებოდა.

—როგორაა საქმე? ხომ მშვიდობაა? —ვკითხე ვლადიმერს და მანქანიდან გადმოვედი. შემომეგება. თუმცა მიღიმოდა, მაგრამ ვატყობდი, რომ რაღაც აწუხებდა.

— ეჰ, მშვიდობა... არა... ამათი... — მოურიდებლად შეიგინა, ხელი ჩაიქნია.

აშკარა იყო, რომ რაღაც ახალი სადარდებელი შეგვემატა.

— რა იყო?

—ამ დოყლაპიებს სტასი და საიდოვი გაქცევიათ.—ახლოს მოსულმა ისეთი სინანულით სავსე თვალებით შემომხედა, თითქოს დამნაშავე თვითონ ყოფილიყო.

— როგორ?

— გუშინ, საღამოს ექვს საათზე ჩვეულებრივად ბინამდე მივყევით, სახლს გულდასმით ვუთვალთვალებდით, მაგრამ მთელი ღამე კარში არ გამოსულანო.

— მერე?!

— მერე რა! არც ფილარმონიაში, არც გუნდში იციან სად დაიკარგა ეს ორი კაცი.

— გუნდი აქ არის?

— თუ რამეში გამოგადგება, აქ არის. —გესლიანად გაიღიმა, თვალები დახარა, ჩაფიქრდა.

ერთხანს ხმა არ ამომიღია, მერე ჩემოდანი რა უყავი-მეთქი ვკითხე ვლადიმერს და როცა სეიფშია შენახულიო მიპასუხა, ისევ საიდოვი და სტასი დამიდგა თვალწინ. ბოროტმოქმედთა ჯგუფის მთლიანი ლიკვიდაცია გვედო გულში, და ისინიც არ დავკარგეთ, რომლების აყვანა ყოველ წუთს შეგვეძლო!

ვაი სირცხვილო! მიხეილ პეტროვიჩი მომაგონდა, ხარკოვის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსი. მან ხომ დროზე გააფრთხილა თბილისელი კოლეგები ან აეყვანათ ეს თავზეხელაღებული ბოშები ანდა მეთვალყურენი გაეორკეცებინათ. როგორც ხარკოველები ვარაუდობდნენ, ალბათ სტასსა და საიდოვს კიევში „ჩავარდნის“ ამბავი აცნობეს და უბრძანეს დანაშაულის ადგილს გასცლოდნენ.

ვინ იცის, რამდენი ხანი და რამდენი ჯაფა დაგვჭირდება მათ დასაძებნად, და ამ ხანში რამდენი პატიოსანი უნდა გაუბედურდეს.

გულამღვრეული, განყოფილების შესასვლელისკენ გავემართე. ის იყო კარებში უნდა შევსულიყავი, როცა უფროსმა კიბის უკანასკნელ საფეხურზე ფეხი ჩამოდგა, ხელი გამომიწოდა, უხერხულად შეიშმუშნა, ნაძალადევად გაიღიმა.

— ალბათ ყველაფერი გითხრეს.

— დიახ, მითხრეს,— შუბლშეკრულს უფროსისათვის არც კი შემიხედავს, — ჩვენ ბოროტმოქმედთ ვებრძვით და იმავე დროს თვითონ ჩავდივართ დანაშაულს...

—თუ ღმერთი გწამს ნუ ფილოსოფოსობ,— გადმომიგდო მკვახედ და მოიღრუბლა, კოხტა ულვაში ნერვიულად მოიწიწკნა. თავი ჩაღუნა, ავტომანქანისაკენ გაემართა.

ამ ტანმორჩილი კაცის თავშეუკავებელი კილო, დაღლილი, ზანტად მოღოღიალე თვალები რაღაცნაირად, თითქოს ნაწყენი, შეურაცხყოფილის სახე უსიტყვოდ მეუბნებოდნენ — ეჰ, შენ ფიცხობ და იმას კი არ კითხულობ, იმ შენმა სტასმა და საიდოვმა როგორ დაგელახვრაო.

პირტახია ქვაფენილზე იდგა. ნიადაგ იმედიანად გაბადრული სახე მოღრუბლოდა.

უფროსი მანქანასთან მივიდა და დადგა, ჩაფიქრდა. მძღოლმა მოტორი ჩართო, მაგრამ ჩაფიქრებულ უფროსს თავი არ აუწევია.

---

*) ნაწყვეტი მოთხრობების ციკლიდან — „უკანასკნელი ბარათი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევბრუნდი, კიბეს დინჯი ნაბიჯით ავყევი. პირტახიას ფეხის ხმა მოესმა. თუმცა საფეხურს საფეხურზე ვიცვლიდი, მაგრამ რატომღაც ვიცოდი, უკან დაბრუნება რომ მომიწევდა. ისიც კარგად ვიცოდი, მანქანასთან შემდგარ უფროსს იქ, შუა ქუჩაზე სხვა არაფერი ქონდა გადასაწყვეტი თუ არა ის, როგორ ვეხმე მე, როცა ხუთიოდე წუთის წინ ძალზე მაწყენინა.

არც მე ვჩქარობდი, მეორე სართულისაკენ ნელი ნაბიჯით მივიწევდი, მინდოდა ვეხმე უფროსსა და მეგობარს, კაცს, რომელთანაც ბევრი შეჭირვების მომსწრე ვიყავი.

და მე, ძახილს ველოდი. მართლაც როგორ შეეძლო გამოცდილ მაძებარს ასეთ სერიოზულ რეიდიდან დაბრუნებულ ხელქვეითისათვის არ გამოეკითხა ყველა წვრილმანიც კი.

კიბის თავზე მდგარ გუშაგს მივუახლოვდი, ისიც გაჭიმა და დაბლიდან ნაცნობი ხმა მომესმა.

უფროსი მიხმობდა. შევბრუნდი. შენც წამოხვალო, უთხრა მან პირტახიას და ზღურბლზე შემდგარმა ზურგი დინჯად შეგვაქცია. კოპებშეკრულს ოდნავ ღიმილი ეფინა, მანქანის საფეხურზე ცალი ფეხი ჩამოედგა, ტყავის შავი ქურთუკის ჯიბეებში ხელები ჩაეწყო და მხრები შეციებულივით წინ წამოეგდო.

—როცა მთელი განყოფილება მოშხამულია, როცა მე დანა პირს ვერ მიხსნის, შენი საყვედურის მოსმენაც... არ ვიცი ღმერთმანი, — გაიღიმა, მაგრამ ნაძალადევად, მერე პირტახიას მიუბრუნდა და მძღოლთან დაჯექიო უთხრა.

— სად მივდივართ? — ვკითხე, როცა თავისუფლების მოედანს გავსცდით.

— მეტად სერიოზული დანაშაულის ადგილზე, მაგრამ ჯერ თქვენი მოგზაურობის ამბავი მინდა მოვისმინო, — ის ისევ კოპებშეკრული იჯდა, ღია „გაზიკიდან“ სადღაც შორს, უსაზღვრო სივრცეს გასცქეროდა.

„მეტად სერიოზულმა დანაშაულმა“ გულზე მიკბინა და მეც სულმოუთქმელად მოვყევი ყველაფერს, რაც ხარკოვის გზაზე გადაგვხდა. მეჩქარებოდა ღვთიშობლის ხატის უკვე განცდილი ამბის მოთავება, რომ მერე ახალი შემთხვევის შინაარსი მომესმინა. ახალი, ღვთიშობლის მოტაცებაზე უფრო თავსამტვრევი, უფრო სახიფათო გზით სავალი, უფრო საინტერესო და სახალისო.

უფროსი სულგანაბული მისმენდა. თაფლისფერი თვალებით მრავალმნიშვნელოვნად თუ გადმომხედავდა ხანდახან. სახეზე კმაყოფილება ეხატებოდა და ბოლოს როცა მინდიაშვილის ქალი სახლამდე მივაცილე და განყოფილებისაკენ გამოვეშურე მეთქი ვუთხარი, — ყოჩაღ, კარგად გიმუშავიათო ჩაილაპარაკა და თვალები ძილმორეულივით მოჭუტა.

ერთხანს დუმდა, მერე თვალები ფართოდ გაახილა და მე მომიბრუნდა:

— მინდიაშვილის ქალზე უნდა ვიფიქროთ, როგოც ჩანს წყალწაღებული არ უნდა იყოს... ერთი სიტყვით ვიფიქროთ.

საქართველოს სამხედრო გზაზე გავედით. შლაგბაუმს გავსცდით. თბილისი უკან დარჩა. უფროსი ხმაამოუღებლივ იჯდა და ბორცვებსა და მდინარეებს შუა გაწოლილ გზას ნაღვლიანი თვალებით გასცქეროდა. გზაფხულის მზის საამო სხივები დანამულ ასფალტზე ციმციმებდნენ.

სანამ ახალი შემთხვევის შინაარსს მოვისმენდი გული არ მასვენებდა. პირტახიაც მოუსვენრობდა, ყურადღება გამახვილებული ჩვენსკენ ქურდულად იხედებოდა, ხშირად, ავადმყოფივით ამოიოხრებდა, მაგრამ უფროსი, თითქოს ჯავრს იყრის ჩვენზეო, ხმას არ იღებდა. დიდხანს ვიყავით გასუსული, მერე უფროსმა, როგორც იყო, შუბლი გაშალა, ქურთუკის ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, სიჩქარის მაჩვენებელს შეხედა, როგორ მიჩაჩქობო, იჩქარეო, შეუტია მძღოლს და როცა მანქანამ მთელი სისწრაფით გაიწია დაიწყო:

—ჩვენ ახლა შემაძრწუნებელი შემთხვევის ადგილზე მივემგზავრებით,—ისე ჩაილაპარაკა, თითქოს ლაპარაკი უჭირსო, ჯიბიდან ცხვირსახოც ამოიღო, ერთხანს აბრეშუმის ქსოვილი ნერვიულად ხრისა, მერე ისევ ჩაიდო ჯიბეში, ჩაახველა. პირტახიამ ყურები დაცქვიტა, მეც სულგანაბული შევცქეროდი უფროსს.

— სულ რაღაცა ერთი საათის წინ,—განაგრძო მან, როცა კოხტა ულვაშებზე ხელი გადაისვა, — შემატყობინეს, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე, მცხეთიდან ხუთმეტ-ოც კილომეტრზე, ხევში, ვიღაც მონადირე, მოკლული ახალგაზრდა ქალის გვამს წააწყდაო. ოპერატიული ჯგუფი ცნობის მიღებისთანავე გავაგზავნე, მეკი თქვენ გელოდით,—პაპიროსს ეძალებოდა, სიჩქარის მაჩვენებელს უკმაყოფილოდ აკვირდებოდა, — კარგია რომ სადგურიდან დამირეკეთ, თორემ, — განაგრძობდა და გაფაციცებული მზერა სიჩქარის მაჩვენებლიდან ლარივით გაჭიმულ გზაზე გადაქონდა, — ადგილობრივ დათვალიერებას ასცდებოდით და, ვინ იცის, თქვენი ღღეს იქ არ ყოფნა გამოძიებაზე რა გავლენას მოახდენდა.

სადღაც ხევში, ვიღაც ქალის გვამის პოვნა არც ისეთ „მეტად სერიოზულ საქმედ“ მეჩვენა, როგორც უფროსი ამბობდა. ასეთ შემთხვევას ჩემს პრაქტიკაში ბევრს შეეხვედრივარ, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსი აქ, როგორც ყოველთვის, ადამიანის დაკარგვას მწვავედ განიცდიდა, თორემ ჩვენი განყოფილება მკვლელობის საქმის გახსნის დიდი ხნით გადადებას არ იყო ჩვეული.

იქნებ მისვლა და ყველაფერი ნათელი გახდეს. იქნებ ორგული ცოლი იყო ის საცოდავი. იქნებ ჭირვეული საყვარელი. იქნებ ვიღაც მაწანწალამ ხელის ჭუჭყისთვის გაიმეტა ის უბედური. იქნებ თვითონ მოისწრაფა სიცოცხლე. ისე კი, ერთი შეხედვით, საიდუმლოებით მოცულ საქმეს ჰგავს.

— სხვა არაფერი იცით, უფროსო? — შეეკითხა ვლადიმერი.

— სხვა არაფერი, — უპასუხა უგულოდ. არ იყო კარგ გუნებაზე უფროსი. ენაწყლიანი ახლა კრინტს არ ძრავდა, იჯდა და უხალისოდ ათვალიერებდა გარეთს.

სიჩქარეს მაჩვენებლის ისარი ოთხმოცს ებჯინებოდა. საოცარი სისწრაფით მოექანებოდნენ ტელეგრაფის ბოძები. წყნარი ამინდი იდგა, მაგრამ ქარი გულგაბზარული ჭირისუფალივით წიოდა ყურებთან. ჩვენი მანქანა თვალუწვდენელ გზას საოცარი სისწრაფით ეხვევდა ბორბლებზე.

შორს, გზის ნაპირას „კადელაკი“ და „ფორდი“ დავლანდეთ. ავტომანქანებთან ათიოდე კაცს მოეყარა თავი.

სულ მალე, ჩვენი „გაზიკი“ ორ მანქანას შეერ, სოლოვით შეეჭრა და კარგი გაწვრთნილი ბალდურივით შედგა. ჩამოვქვეითდით. მარცხეა მხარეს, თვალსახედავზე, მეჩხერი თელიანი მიჰყვებოდა გზის ნაპირს. მარჯვნივ თხრილს გადაღმა, იქ სადაც მანქანები იდგნენ, წელზეით წვრილ, ჩერგილიკით შეკრულ ბარდნარის უკან, განიერი ხელისგულივით მოწმენდილი, მოწითალო მტვრით დაფარული ტაფობი იდო. ხევს გადამყურე ჩოლი, უხვედრ დუბეზე უფრო საეკეკვაო მოედანს წაგავდა. აქედან კარგად მოჩანდა თუ როგორ ფაციფუცობდნენ პატარა ღირღალის გარშემო ჩვენი ექიმი და ფოტოგრაფი.

ტაფობზე დაკიდულ ძეძვიანზე გაქელილ ბილიკს ფრთხილად ჩაჰყვა უფროსი. მე და ვლადიმერი მის ნაკვალევს გავყევით უხმოდ. ...მოკლული, ოცდახუთიოდე წლის ტანმაღალი, შავგვრემანი ქალი იყო. სისხლიან მაღალ შუბლზე ნახშირივით შავი კულულები უხვად ეყარა. გაფითრებულ სახეს ოდნავ ღიმილი შერჩენოდა. ხორციანი ზედა ტუჩი ისე გამქირდავად აწეოდა, თითქოს უნდა ეთქვა, — ეჰ, ცოცხალს უნდა მომშველებოდით, თორემ მკვდარს მიწას უთქვენოდაც მიმაბარებენო.

კოხტად ჩამოქნილ ფეხებზე აბრეშუმის ხორცისფერი წინდები და ამ ფერისვე მოდური ფეხსაცმელები ეცვა. შვინდისფერი პალტო ისე გაშლოდა თითქოს დასიცხულმა შილიფად ისურვა წამოწოლა. ისედაც ეშხიან სახეს. თეთრი კოფთის ქათქათა საყელო უსხივოსნებდა. მკლავებგაშლილს მარცხენა ხელის არათითზე ოქროს ბეჭედი ეკეთა, რომლის პატიოსანი თვალი გაზაფხულის მზის მიბნედილ შუქზე თვალწარმტაცად ბზინავდა.

— ოქროს ბეჭედი... თვალი ძვირფასი, — გაკვირვებით წამჩურჩულა ვლადიმერმა, როცა ღირღალს ზემოდან დავადექით.

— ჰო, ვხედავ, — მოვუჭერი მოკლედ, რადგან ვიცოდი, რომ მას მიცვალებულის ხელზე ოქროს ძვირფასთვლიანი ბეჭედის დანახვა არ გაჰკვირვებია. მან მოკლედ მანაშნა, მიცვალებული რომ გაძარცვის მიზნით არ იყო მოკლული.

ჭრილობა კეფაზე ოდნავ შესამჩნევი იყო. შუბლზემოთ მოზრდილ ნატყვიარს სქელი თმა ფარავდა. ჭრილობის არე კეფაზე არც შეტრუსული იყო და არც გაჭვარტლული. ტყვია შორიდან იყო ნასროლი. მკვლელი კარგი მსროლელი და გამოცდილი ჩანდა. ტყვიის ნაკვალევის მიხედვით რევოლვერი „ნაგანის“ სისტემის უნდა ყოფილიყო.

გარდა სასიკვდილო ჭრილობისა, ქალს სხვა ნიშანი ძალადობის არ ემჩნეოდა. როცა ექიმმა მოკლული გადააბრუნა, ყველას თვალში გვეცა შვინდისფერ პალტოზე წელზემოთ, მამაკაცის კოხტა, მსუბუქი ფეხსაცმლის ლანჩების გამოსახულება. ეს ნაფეხური, მოწითალო ფხვიერ ნიადაგზე დამტვერული, წაწვეტილცხვრიანი თეხსაცმლის ანაბეჭდი იყო... უფროსმა ტაფობს ახედა. — სწორედ იმ ჩოლიდანაა ეს უბედური გადმოგდებულიო, გაიფიქრა უთუოდ.

იმ უღმერთოს ტყვია უსვრია და ფეხიც უკვრიაო წამჩურჩულა პირტახიამ.

— გაზომეთ ფეხის კვალი, — უბრძანა უფროსმა სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომელს. ნაფეხური ოცდაცხრა სანტიმეტრისა იყო.

— ოჰო... ის ვაჟბატონი მაღალი ბრძანებულა, — უფროსი შემომაცქერდა, ცალი თვალი მოჭუტა და ჩაფიქრებულმა ჩაილაპარაკა, — ოცდაცხრა სანტიმეტრი.. რამდენჯერ მეტია სიმაღლით ადამიანი თავის ტერფზე??

— იკითხა მან.

— დაახლოებით შვიდჯერ, — უპასუხა ვლადიმერმა.

— აბა, გავამრავლოთ ოცდაცხრა შვიდზე.

— ორი მეტრი და სამი სანტიმეტრი, — არ დააყოვნა პირტახიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყოჩაღ! — გულწრფელად გაიღიმა უფროსმა, — აბა ახლა, ფეხსაცმლის ზომა გამოაკელი, არ დაგავიწყდეს დამნაშავის ფეხსაცმელი ფრანგულის მოყვანილობის უნდა იყოს, გრძელი, წაწვეტიანი ცხვირით.

— ორი მილიმეტრი რომ გამოვაკლოთ... ერთი სიტყვით ორი მეტრი მაინც რჩება, — ვუპასუხე მე.

— დიახ, მაღალია, მაღალი, ორი მეტრის სიმაღლისაა დაახლოებით.

ცხედრის გაჩხრეკას შევუდექით. აბრეშუმის ცხვირსახოცისა და შალის ხელთათმანის მეტი არაფერი აღმოჩნდა. პირტახიამ ბუჩქებში რედიკული იპოვა. შიგ წვრილმან ნივთებთან ერთად ათას ორასი მანეთი და ოქროს მძივი სამაჯური იდო. უცნობი ქალის პირადობის მოწმობაც ვიპოვეთ.

— ზინაიდა ნიკოლოზის ასული კანტაკუზენი, — ამოიკითხა პატარა ნაცრისფერი წიგნაკიდან უფროსმა და ნაღვლიანი თვალებით მიმოიხედა.

— რა მოხელეა, სად მუშაობს? — ჰკითხა ვეიმმა.

— მხაზავია, თბილისის ქალაქის საბჭოს საალმშენებლო ტრესტის თანამშრომელია. — უპასუხა უფროსმა და შეფიქრიანდა, — თუ ეს მოწმობა მისია... შიგ ფოტოსურათი არ არის ჩაკრული... ვინ იცის.. — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

— თუ მხაზავისაა,ეგ მოწმობა ნამდვილად მისია, — უპასუხა თამამად სამეცნიერო ტექნიკური განყოფილების თანამშრომელმა.

— რა ნიშნების მიხედვით? — ვკითხე და ალმაცერად გადავხედე.

— ბოკლულს, მარჯვენა ხელის შუა თითის ზედა გოგი გამაგრებული აქვს. ამავე ხელის ნეკის ქვედა სახსარზე გამკვრივება ისინჯება, რაც, როგორც მოგეხსენებათ, მხაზავებისათვის დამახასიათებელი ნიშნებია.

— თუ ასეა, მოწმობა მისია, — უფროსმა წიგნაკი მე გადმომცა და შებრუნდა, ბილიკს აპყვა. აღმართზე მიმავალმა უფროსმა მე და პირტახია გვიხმო, დანარჩენებს, ისევ გულდასმით დაათვალიერეთ გარემოო — უბრძანა.

ტაფობს მილიციელი დარაჯობდა, ახლოს არავის უშვებდა.

უფროსი ჩოლის კიდეზე გადაღგა და ერთხახს უხმოდ უცქირა ხევში ღირღალს, რომელშიც კანტაკუზენის ცხედარი ესვენა.

— დიახ, აქ იღგა ზინაიდა ნიკოლაევნა, როცა უკნიდან ტყვია ესროლეს, წიხლი ჰკრეს და ხევში გადააგდეს, — თვალები დახარა, მიწი

# ქრონიკა და ბიბლიოგრაფია

## დამხმარე სახელმძღვანელო — „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“*

პროფ. ი. დოლიძის წიგნს, როგორც ამაზე სპეციალურად მიუთითებს ავტორი ნაშრომის წინასიტყვაობაში, სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი განკუთვნილია სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის. პირველი მსოფლიო მნიშვნელობის ცივილიზაცია სწორედ ძველ აღმოსავლეთში შეიქმნა. აქ წარმოიშვა ცივილიზაციის უძველესი კერა — „კაცობრიობის ისტორიის პირველი თავი.“ ძველმა აღმოსავლეთმა დაგვიტოვა მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-ისტორიული ძეგლები მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების, სამართლისა და ადამიანთა სულიერი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში.

უნდა დავეთანხმოთ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს იმაში, რომ „ქართველი მკვლევარებისა და მკითხველებისათვის ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და კულტურის საკითხების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ აღმოსავლეთის ურარტულ, ხურიტულ, ხეთურ და სხვა მოდგმის ტომებს ახლო მეზობლობა და ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ ტომებთან. მუშქებისა და ტაბალების ქართველმა ტომებმა ხეთური კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს. აღმოსავლეთის ტომთა გარკვეული ნაწილი გაითქვიფა ქართველ ტომებში და ერთგვარი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის ენასა და კულტურაში. საფიქრებელია, რომ აღმოსავლური სამართლის ინსტიტუტების შორეული კვალი ერთგვარ ანარეკლს ჰპოვებდა ძველქართულ იურიდიულ აზროვნებასა და პრაქტიკაში, მაგრამ ამ მოსაზრების გამაგრებას სპეციალური კვლევაძიება სჭირდება“ (გვ. 03).

სარეცენზიო ნაშრომის არქიტექტონიკა ასეთია: ავტორი პირველყოვლისა განიხილავს ძველბაბილონური სამართლის წყაროებსა და სისტემას (გვ. 07-050), შემდგომ გადადის ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის გადმოცემაზე (გვ. 051-080), ცალკე თავია მიძღვნილი საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებისადმი (გვ. 081-0106). საარეცენზიო ნაშრომის შემდგომ თავში — „დანაშაული და სასჯელი“ ავტორი



განიხილავს სისხლის სამართლის საკითხებს ძველაღმოსავლური სამართლის მიხედვით.

ცალკე თავი მიუძღვნა ავტორმა ძველი აღმოსავლეთის სასამართლო წყობილებისა და პროცესის საკითხებს (გვ.0152-0163).

დასასრულ, სარეცენზიო ნაშრომის ავტორს თავისი წიგნისათვის დაურთავს ბაბილონის, ასირიის და ხეთების კანონების ქართული თარგმანი. კანონების ტექსტები წარმოდგენილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში მოცემულია ბაბილონის კანონები, რომლებიც შეიცავენ შუმერულ, ეშნუნის მეფის ბილალამის, ისინის მეფის ლიფიტ-იშთარის და ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონებს. აქვე მოცემულია ახალ-ბაბილონის სასამართლო გადაწყვეტილებათა კრებული, რომელიც წარმოადგენს სასამართლო კაზუსების ჩანაწერს.

ტექსტების მეორე ნაწილი შეიცავს ასირიის კანონებს, რომელიც წარმოდგენილია ასირიის სავაჭრო კოლონიების წესდებისა და შუა ასირიის კანონების ფრაგმენტის სახით.

მესამე ნაწილი შედგება ხეთების მეფის ტელეფინის კანონისა და ხეთების კანონთა სამი ტაბულისაგან.

ყველა ზემოხსენებული საკანონმდებლო ძეგ-

---

* ი. დოლიძე — „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1960.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, გარდა ხამურაბის კანონებისა, პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე. ხამურაბის კანონები გამოიცა ქართულად ლითოგრაფიული წესით 1934 წელს პროფ. ალ. წერეთლის რედაქციითა და წინასიტყვაობით. მაშინდელი ქართული თარგმანი შესრულებული იყო ი. მ. ვოლკოვის რუსული (1914 წ.) გამოცემის მიხედვით, რომელიც ამჟამად მოძველებულად ითვლება.

ძველი აღმოსავლეთის კანონების ტექსტის თარგმანისათვის ავტორს დაურთავს ლექსიკონი, საძიებლები და ძირითადი ლიტერატურის სია.

ასეთია, მეტად მოკლედ, სარეცენზიო ნაშრომის აგებულება.

ცნობილია, რომ XX საუკუნის დასაწყისამდე მსოფლიო სამართლის ისტორიას ჩვეულებრივ ძველი საბერძნეთის სამართლის ისტორიისა და სისტემის განხილვა-გადმოცემით იწყებდნენ. აღმოსავლეთის არქეოლოგიურმა გათხრებმა მიმდინარე საუკუნეში ცივილიზაციის ისტორიას შესძინა დიდი ისტორიული მნიშვნელობის საკანონმდებლო ძეგლები და კერძო უფლებრივი აქტები, რომლებიც ძვირფას მასალას შეიცავენ სახელმწიფოსა და სამართლის უძველესი ისტორიისათვის. საკანონმდებლო ძეგლებს პირველხარისხოვანი საისტორიო წყაროს მნიშვნელობა აქვთ ამა თუ იმ ქვეყნებში წარმოებითი ურთიერთობის ნაციონალური ვარიანტის თავისებურებათა გამოსაკვლევად. ზედმეტია იმაზე მითითება, რომ მოცემული ქვეყნის სამეურნეო, სოციალურ-პოლიტიკურ და იურიდიულ ურთიერთობათა შესწავლა სამართლის წიგნების გარეშე თითქმის შეუძლებელია.

აკად. ვ. ვ. სტრუვე ხამურაბის კანონმდებლობის მნიშვნელობის შესახებ წერდა: „ძველი აღმოსავლეთის ეს პირველი სამართლებრივი ძეგლი წარმოადგენს ერთ-ერთს მეტად მნიშვნელოვან წყაროს არა მარტო ძველაღმოსავლური, არამედ საერთოდ მსოფლიო ისტორიისას“.[1] აკადემიკოს ვ. ვ. სტრუვეს ამ გამოთქმაში არ არის არავითარი გადაჭარბება. რაც უფრო მეტი ყურადღებით სწავლობენ მკვლევარები ხამურაბის კანონმდებლობას, მით უფრო ნათელი ხდება დიდი გავლენა ბაბილონის კოდექსისა მთელი ძველი სამყაროს იურიდიულ ყოფაცხოვრებაზე. ეს გარემოება, თავის დროზე კარგად შენიშნული ჰქონდა გერმანელ მკვლევარს დ. ჰ. მიულერს, რომელმაც ჯერ კიდევ 1903 წელს ვენაში გამოსცა გამოკვლევა „ხამურაბის კანონების ვავლენის შესახებ მოსეს კანონებსა და 12 ტაბულის კანონებზე.“ ძველი აღმოსავლეთის იურისტები ათასზე მეტი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და იყენებდნენ ამ საკანონმდებლო ძეგლს. ცნობილია, რომ ხამურაბის კანონებს დიდი გავლენა ჰქონდათ ძველ ებრაულ სინამდვილეზედაც. აკად. ბ. ა. ტურაევი მიუთითებდა, რომ ბიბლიური პატრიარქების ლეგენდარული ისტორია შეიძლება გამოგვადგეს ხამურაბის კანონების საილუსტრაციოდ, რამდენადაც მასში ბაბილონის სამართლის წიგნის ანალოგიური ნორმებია ასახული. ბ. ა. ტურაევი[2] წერდა: „ებრაელი პატრიარქების საოჯახო ურთიერთობა ხამურაბის კანონებისათვის საუკეთესო კომენტარია. შეიძლება ითქვას, რომ აბრამი, იაკობი და ლავანი ბაბილონური სამართლის მიხედვით ცხოვრობდნენ“.[2] ბიბლიური პატრიარქების ლეგენდარული ისტორია იმდენად შეიძლება გამოგვადგეს ხამურაბის კანონების საილუსტრაციოდ, რამდენადაც მასში ბაბილონის სამართლის წიგნის ანალოგიური ნორმებია ასახული.

ასე დიდი იყო ბაბილონის კანონმდებლობის გავლენა ძველი სამყაროს ქვეყნებზე. ხამურაბის კანონები დაწერილი იყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-18 საუკუნეში.

ბაბილონის მეფის ხამურაბის კანონების მნიშვნელობა დიდია იმიტომაც, რომ იგი არაა დაფუძნებული თეოკრატიულ საწყისებზე. იგი მკვეთრად განასხვავებს სამართალს ადათისა და ზნეობისაგან, აგრეთვე რელიგიური ნორმებისაგან. ჩვენ სწორად მიგვაჩნია ინგლისელი მეცნიერების დრაივერისა და მაილზის მიერ გამოთქმული აზრები ხამურაბის კოდექსის მნიშვნელობის შესახებ. ისინი წერენ: „თუ რაიმე ღირებულება აქვს ისტორიულ იურისპრუდენციას ან ცივილიზაციის ისტორიას, ხამურაბის კანონები წარმოადგენს უნიკალური ღირებულებისა და უაღრესად სარწმუნო ხასიათის მქონე ორიგინალურ წყაროს“... „იუსტინიანეს დიგესტამდე არ არსებობს ასე სრული კანონთა კრებული... მიუხედავად მათი სიძველისა, ეს კანონები პრიმიტიული არ არის; ისინი ემყარებიან საღ გონებას და კარგ ლოგიკას, მაგრამ მსგავსად ინგლისური ადათობრივი სამართლისა, ისინი ინარჩუნებენ პრიმიტიული ადათებისა და რწმენათა კვალს. მათი მიზანი იგივეა, რაც კანონთა ყველა სისტემის: აუწყონ და მისცენ ქვეყანას მართლმსაჯულების წესები. დანაშაულისათვის უნდა მიეზღოს და დანაშაული თავიდან უნდა იქნეს აცილებული... სასჯელები ზოგჯერ სასტიკია, მაგრამ არა უფრო სასტიკი, ვიდრე ინგლისის სისხლის სამართალი 150 წლის წინათ.

---

[1]. ვ. ვ. სტრუვე. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ. 1946, გვ. 108

[2]. Б. А. Тураев История Древнего Востока. т. I 1935. Л. გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელშეკრულებო სამართალი მარტივი და კარგად განვითარებულია... ფორმა ბრწყინვალეა. იგი ზუსტია და ნათლად გამოთქმული და არ შეიცავს არავითარ მრავალსიტყვაობას. კანონი სამოქალაქო მართლდარღვევების ან დელიქტების შესახებ კარგი და სამართლიანია. ხამურაბის კანონები და მათი თანამედროვე საბუთები უნიკალური წყაროა ცივილიზაციის ისტორიისათვის, სახელდობრ, უძველესი ხალხისა და მთელი საზოგადოების ცხოვრების, წეს-ჩვეულებების ისტორიისათვის".

სარეცენზიო ნაშრომის პირველ თავში ავტორი იხილავს რა ძველბაბილონურ სამართლის წყაროებს, მართებულად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ შუამდინარეთის სამართლის პირველ წყაროს ადათი წარმოადგენდა. ადათობრივი სამართალი მოქმედებდა დაწერილი სამართლის პარალელურად და გამოხატავდა არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი მხოლოდ ერთი, გაბატონებული ნაწილის ნება-სურვილსა და ინტერესებს. უძველესი ცნობები ადათობრივი სამართლის ნორმების შესახებ დაცულია ქ. ლაგაშის პატესიის ურუკაგინას რეფორმებში. ძველბაბილონური სამართლის შემდგომი წყარო კანონმდებლობა იყო. წერილობითი სამართალი ახალი მოვლენა იყო და მასზე დიდი გავლენა ჰქონდა ჩვეულებრივი სამართლის ნორმებს. ადათობრივი სამართლის ნორმების გავლენით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ უკვე დაწერილ სამართლის ძეგლებში ეპოულობთ თვითგასამართლების, კოლექტიური პასუხისმგებლობის და კომპოზიციების შემცველ ნორმებს.

სწორია ავტორი როცა მიუთითებს, რომ ძველმა შუმერულმა და აქადურმა კანონმდებლობამ დიდი გავლენა მოახდინა ხამურაბის სამართალზე.

ძველბაბილონური სამართლის შემდგომი წყარო იყო მეფის განაწესი, მეფეთა წერილები და კერძოუფლებრივი დოკუმენტები. გარდა ზემოხსენებულისა, ძველბაბილონური სამართლის წყაროს სასამართლო პრაქტიკაც წარმოადგენდა. სწორედ ამით აიხსნება ძველბაბილონური სამართლის თავისებური სისტემა. ძველბაბილონური სამართლის წიგნები შედგენილია კაზუისტური პრინციპის საფუძველზე. კანონთა მუხლები და ნორმები გადმოცემულია ცალკეული შემთხვევების (კაზუსების) მიხედვით. სწორია, სარეცენზიო ნაშრომის ავტორი, როცა აღნიშნავს, რომ კანონთა კრებულების კაზუისტური ხასიათი, სამართლებრივი ნორმების განზოგადებათა მოუხდენლად გადმოცემა აიხსნება აგრეთვე იურიდიული ცოდნისა და მართლშეგნების მაშინდელი დონით. ძველბაბილონური სამართლის წიგნებში განსხვავებული არ არის [illegible] ლაქო და სისხლის სამართლის პროცესი, არეულია საჯარო და კერძო სამართლის საკითხები.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე თავში, რომელიც ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის საკითხებს შეეხება, ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ ეს საზოგადოება ორი ძირითადი კლასისაგან — მონათმფლობელებისა და მონებისაგან შედგება. ეს არის მხოლოდ საზოგადოების ძირითადი კლასობრივი დაყოფა. მაგრამ მხოლოდ ამ დაპირისპირებით არ აისახება შუამდინარეთის საზოგადოების რთული კლასობრივი სტრუქტურა. თვით მონათმფლობელთა კლასის შემადგენლობა ერთნაირი არ იყო. ყველაზე ადრე შეადგენდნენ მონათმფლობელთა კლასის სრულუფლებიან ფენას. უფრო დაბლა იდგნენ მუშქენუმები, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „წვრილმან ხალხს". მოსახლეობის ეს კატეგორია მონათმფლობელთა კლასს მიეკუთვნება, მაგრამ ყველაზე ადრე შედარებით ამ სოციალურ ფენას უფრო დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა უკავია. ბაბილონის საზოგადოებაში დიდ როლს ასრულებდნენ აგრეთვე ქურუმები. ისინი განცალკევებულ რელიგიურ კასტას შეადგენდნენ. ხამურაბამდე ქურუმები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხამურაბმა ისინი შეზღუდა. ხამურაბის ეპოქაში ქურუმებს, ძველი ეგვიპტისაგან განსხვავებით, არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ ხამურაბის კანონებში ქურუმები თითქმის არ იხსენიებიან. კანონი განასხვავებს მხოლოდ ქურუმ და ტაძრის მეძავ ქალთა კატეგორიებს.

ბაბილონის საზოგადოების ძირითად მწარმოებელ კლასს მონები შეადგენდნენ. მონები ძველ ბაბილონში სახელმწიფოს, ტაძრების და თემების კოლექტიურ მფლობელობაში იყვნენ. ხამურაბის სამართალი აკანონებს მონების უუფლებო მდგომარეობას. მონას არა აქვს ყიდვა-გაყიდვის უფლება. ვინც „მონისაგან მიიღებს შესანახად ვერცხლს, ოქროს, მონას, მხეკალს, ხარს, ცხვარს, ვირს ან სხვა რამეს, იგი ქურდია და უნდა მოკლან". კანონი მონას ართმევს რაიმე ნივთის გასხვისების უფლებას. მონის მოკვლა და სხეულის დაზიანება არ ითვლება პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, არამედ განიხილება როგორც მისი პატრონისადმი მიყენებული ქონებრივი ზიანი.

სარეცენზიო ნაშრომის შემდგომ თავში, ეხება რა საოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს, პროფ. ი. დოლიძე გვიჩვენებს სამართლის ამ ინსტიტუტის მონათმფლობელურ-კლასობრივ ხასიათს. ხამურაბის კანონებში გატარებულია ოჯახსა და საზოგადოებაში მამაკაცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრული ბატონობის პრინციპი. მიუხედავად ამისა, ქალი სავსებით უუფლებო არ ყოფილა.

საოჯახო ურთიერთობის ატმოსფერო გაცილებით მსუბუქია, ვიდრე მაგ. ძველ რომში იყო საუკუნეების შემდეგ. ძველი ბაბილონის სამართლის ცნობილი გერმანელი ისტორიკოსის — პაულ კოშაკერის საფუძვლიანი გამოკვლევების შემდეგ სავსებით ცხადი გახდა, რომ ბაბილონის სამართალი იცნობს როგორც საქორწინო საჩუქარს — ბიბლუმს, ასევე სასძლოს გამოსასყიდ ფასსაც — თერხათუმს.

პატრიარქალური პრინციპების ბატონობას ძველი ბაბილონის პრაქტიკაში არასრული ხასიათი ჰქონდა. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ შვილს შეეძლო მამისაგან განკერძოებული ქონება ჰქონოდა. იყო შემთხვევები როდესაც შვილი სახელშეკრულებო ხასიათის გარიგებას სდებდა მამასთან

სისხლის სამართლის სფეროში ძველბაბილონის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ კერძო შურისძიება შეცვლილია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი სასჯელით. ეს გარემოება დიდ პროგრესს მოასწავებდა სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ხამურაბის კანონების შედგენიდან სამი ათასი — სამი ათას ხუთასი წლის შემდეგაც კი მუსულმანური სამართალი რიგ შემთხვევებში შურისძიების ლეგალიზებას ახდენდა, ცხადი გახდება თუ რაოდენ წინ იყო წასული სახელმწიფოებრიობის და კულტურის დონე ძველ წამდინარეთში. ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩერნოგორიაში მთავარ დანილის სამართლის წიგნით XIX საუკუნეშიც კი (1855 წ.) მკვლელის მიმართ შურისძიება მართლზომიერ მოქმედებად იყო მიჩნეული.

ძველბაბილონური პროცესუალური სამართლის მიხედვით სისხლის სამართლის საქმეების განხილვის წესი განსხვავებული იყო სამოქალაქო და საოჯახო სამართლის საქმეების განხილვის წესისაგან, თუმცა მკაფიო ზღვარი მათ შორის არ არსებობდა და ზოგიერთ საქმეში განსხვავება სრულიად არ იგრძნობოდა.

ძველბაბილონური კანონები და იურიდიული დოკუმენტები მკაფიოდ განასხვავებენ მოსარჩლისა და მოპასუხის უფლებრივ მდგომარეობას პროცესში. საქმის სასამართლო წარმოებაში დაშვებულია შეგებებული სარჩელი, მესამე პირთა მოწვევა და პროცესში შესვლა, მხარეთა წარმომადგენლობა, აგრეთვე შეპასუხება სარჩელის ხანდაზმულობის დაფარვაზე (გვ. — 115).

სარეცენზიო ნაშრომის მისამართით გვაქვს ზოგიერთი შენიშვნები.

5. საბჭოთა სამართალი № 6.

თავისი შრომის წინასიტყვაობაში პროფ. დოლიძე წერს: „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ შეადგენს ნაწილს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კურსისას, რომელიც იკითხება ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. წიგნს სასწავლო დანიშნულება აქვს. იგი განკუთვნილია სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის“ (გვ. 03). ყველაფერი ეს სწორია, მაგრამ რადგან პროფ. ი. დოლიძის შრომის სათაურია „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ სარეცენზიო ნაშრომის ავტორს არ უნდა გამოეთიშა ძველი აღმოსავლეთის სამართლის ცნებიდან ძველი ეგვიპტური სამართალი, ძველ ინდური და ჩინური სამართალი და გაკვრით მაინც უნდა შეჩერებულიყო მასზე.

ცნობილია, რომ თავისი დროისათვის ძველმა ეგვიპტელებმა სანიმუშო კანონმდებლობა შექმნეს. ამასთან დაკავშირებით დიოდორე სიცილიელის ცნობები სავსებით დადასტურდა სამართლის ისტორიკოსების შპილბერგის, რევილიუს, პირენის, ზეიდელის და ლურიეს ნაშრომების შემდეგ. გარდა ამისა, თვით უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაც ხომ ითვალისწინებს ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს და სამართლის შესწავლას?

შენიშვნას იწვევს ის გარემოებაც, რომ პროფ. ი. დოლიძე თავის „ძველი აღმოსავლეთის სამართალში“ ნაკლებ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო სამართლის საკითხებს თუნდაც იმავე სამართლებრივი ძეგლების მიხედვით, რომელთა ტექსტების ქართული თარგმანიც მან დაურთო თავის ნაშრომს. განსაკუთრებით საჭირო იყო ამ საკითხებზე შეჩერება თუნდაც იმიტომ, რომ ზოგიერთი დასავლეთ-ევროპელი მეცნიერი ქედმაღლურად უყურებს აღმოსავლეთს და ამტკიცებს, რომ აღმოსავლეთში მუდამ ასე იყო: სახელმწიფოს წინაშე პიროვნება სრულიად უუფლებო იყოო. სინამდვილეში კი ეს ასე არ ყოფილა; ამაზე მეტყველებენ, როგორც სამართლებრივი, ასევე კერძოუფლებრივი ძეგლებიც. გარდა ამისა, ხაზი უნდა გასმოდა იმ გარემოებასაც, რომ ძველბაბილონის სახელმწიფო თავისი იდეალებით მსოფლიო სახელმწიფო იყო და ამიტომაც იქ ყველა თავისუფალი ქვეშევრდომი კანონის წინაშე თანასწორია. სახელმწიფო ნაციონალობის მიხედვით პრივილეგიებს სავსებით არ ცნობდა. ქანაანელები და ელამიტები კანონის წინაშე თანაბრად აგებდნენ პასუხს. კანონი არ იცნობდა „უცხოტომელის“ ცნებას და სხვა.

იხილავს რა ხამურაბის კოდექსის შემდგომი ეპოქების კანონმდებლობაზე გავლენის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხს, პროფ. ი. დოლიძე წერს: „საფიქრებელია აგრეთვე, რომ ძველბაბილონურ სამართალს, როგორც პირველწყაროს, გავლენა ექნებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროზე და მის კანონმდებლობაზე და. შესაძლებელია, სხვა გვიანდელი ხანის ქვეყნებისა და ხალხების სამართალზეც“ (გვ. 049). ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში პროფ. ი. დოლიძე ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს.

ჩვენი აზრით, დღეს სადაო არ შეიძლება იყოს ძველბაბილონური სამართლის გარკვეული გავლენა ბერძნულ-რომაულ სამყაროზე და მის კანონმდებლობაზე. რაც შეეხება სხვა გვიანდელი ხანის ქვეყნებისა და ხალხების სამართალზე ხამურაბის კოდექსის გავლენას, იგი ჯერჯერობით მთლიანად არ არის გარკვეული, მაგრამ იგი არა მარტო საფიქრებელია, არამედ ფაქტია. კერძოდ დიდი იყო ძველ-აღმოსავლური გავლენა საქართველოშიაც. როგორც ცნობილია, აკად. ბ. ა. ტურაევის საფუძვლიანი მოსაზრებით, ძველი აღმოსავლეთის ისტორია გეოგრაფიულად მოიცავდა უდიდეს რაიონს კავკასიის ქედიდან და შუა აზიიდან მოყოლებული სპარსეთის ყურემდე, სამხრეთ არაბეთამდე, აფრიკული ტბების ქვეყნებამდე, ირანის საზღვრებიდან და ინდოეთიდან ჰერაკლეს სვეტებამდე.

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი გაკვრით მაინც უნდა შეხებოდა ძველი აღმოსავლური სამართლის საქართველოს სინამდვილეზე გავლენის საკითხსაც. რამდენადაც ამის შესახებ უკვე არის გამოთქმული ანგარიშგასაწევი მოსაზრება ქართველი ეთნოგრაფების მიერ. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ძველი ქართული ნასყიდობის საბუთებში შემორჩენილა ერთი არქაული ძველაღმოსავლური იურიდიული ფორმულა. ყველას, ვისაც კი ძველი ქართული ნასყიდობის წიგნები გადაუთვალიერებია, შემჩნეული ექნება, რომ ძალიან ხშირად, თუ უმეტეს შემთხვევებში არა, ყიდვა-გაყიდვის დოკუმენტებში ნასყიდობის ობიექტის ფასი არაა ნაჩვენები. გამყიდველი უბრალოდ მიუთითებდა: „აგიღე ფასი სრული, რითაც ჩვენი გული შეჯერდებოდაო“. საიდან უნდა მიმდინარეობდეს ქართული ნასყიდობის წიგნების ხსენებული ფორმულა? იგი უცნობი იყო რომაული და ბიზანტიური სამართლისათვის. რომის სამართლის მიხედვით ნასყიდობის კონტრაქტში ფასი უნდა ყოფილიყო განსაზღვრული ფულადი სახით (ინსტიტუციები, წ. 111, ტიტული XXIII, § 2). მაშასადამე, ქართული ნასყიდობის წიგნებში ასახული არქაული იურიდიული ფორმულა არ მომდინარეობს ბერძნულ-რომაულ სამყაროდან. იგი უცნობი იყო აგრეთვე შუა საუკუნეების სპარსული სინამდვილისათვისაც. როგორც წესი, არც ძველი ეგვიპტის ნასყიდობის წიგნები დუმან ფასის ოდენობის შესახებ (გარდა დემოტიკური დოკუმენტებისა). დემოტიკურ კონტრაქტებში ნასყიდობის ფულადი ოდენობის ნაცვლად უბრალოდაა ნათქვამი: „შენ მომეცი მე ფული, რითაც ჩემი გული შეჯერდებოდაო“. უფრო ახლოს ქართული ნასყიდობის წიგნების არქაულ იურიდიულ ფორმულასთან დგას ძველი ბაბილონის დოკუმენტების ერთი ნაწილის სათანადო ადგილები. ჩრდილო ბაბილონის ძველ (ხამურაბამდელ) დოკუმენტებში გარიგებასთან დაკავშირებით ვხვდებით კლაუზულას: „ჩემი (გამყიდველის) გული შეჯერებულია“ და ამით გარიგებაც კანონიერად ითვლებოდა. ეს მსგავსება ზოგიერთი ძველაღმოსავლური ქვეყნების ნასყიდობის წიგნების კლაუზულისა ქართულთან შემთხვევით არ უნდა იყოს. იგი ძველაღმოსავლური სამართლის გავლენით უნდა აიხსნას.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ რამდენადაც სარეცენზიო ნაშრომს სასწავლო დანიშნულება აქვს, სასურველი იყო, რომ ავტორს ძველი აღმოსავლეთის რუქაც დაერთო წიგნისათვის.

ასეთია მოკლედ ჩვენი შენიშვნები, რომლებიც სარეცენზიო ნაშრომის გაცნობის შემდეგ დაგვებადა.

ჩვენი აზრით „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“ უპასუხებს თავის დანიშნულებას. სარეცენზიო ნაშრომი უთუოდ დადებითი მოვლენაა. ეს წიგნი და მასში ქართულ ენაზე წარმოდგენილი საკანონმდებლო მასალა სათანადო დახმარებას გაუწევს მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებსა და საერთოდ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთ.

**გიორგი ნადარეიშვილი**

**იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში[1]

უკანასკნელ ხანებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა ცალკეული პრობლემების დამუშავების შედეგად, საბჭოთა მეცნიერულ ლიტერატურას ბევრი საინტერესო გამოკვლევა შეემატა. მათ შორის მეტად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების ისეთი რთული საგნის თეორიულ პრობლემათა დამუშავება, როგორიცაა პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია. ამ იურიდიულ დისციპლინაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ორი სახელმძღვანელო გამოვიდა[2].

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია სწავლობს სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი იდეებისა და თეორიების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებას სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში, ძველ, დრომოჭ-

---

[1]. „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია", ნაწილი I, პროფ. კ. ა. მოკიჩევის რედაქციით, 1959 წ., 532 გვერდი.

[2]. „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია", პროფ. ს. კეჩეკიანისა და დოც. გ. ფედკინის რედაქციით, 1955, „პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია", ნაწილი I, პროფ. კ. მოკიჩევის რედაქციით, 1959.

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**მ. თოფურიძე, „საზოგადოებრიობის როლი დანაშაულობასთან ბრძოლაში", საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება, გვ. 40. ფასი 1 მან.**




ბროშურის ავტორი ღრმა ანალიზს უკეთებს იმ წარმატებებს, რასაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ყველა დარგში. აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია ნამდვილი სახალხო დემოკრატიზმი. მშრომელთა ფართო მასები ჩაბმული არიან ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ამით მომზადდა რეალური საფუძველი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში გადასულიყო არა მარტო მოსახლეობის კულტურული მომსახურების ზოგიერთი საკითხი, არამედ გარკვეული ხასიათის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვის საკითხებიც.

ავტორი მკითხველებს საინტერესოდ მოუთხრობს თუ პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოებთან ერთად, როგორ იბრძვის დამნაშავეობის წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრიობა. რესპუბლიკაში მოქმედებს 1800 მეტი სახალხო რაზმეული, რომლებშიც გაერთიანებულია 36.000-ზე მეტი რაზმელი. საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შექმნილია 200-ზე მეტი ამხანაგური სასამართლო. ბროშურაში მოყვანილია საინტერესო მაგალითები სახალხო რაზმეულთა საქმიანობის შესახებ.

ავტორი მკითხველს აცნობს დამნაშავეთა გამოსწორებისა და აღზრდის გზებს.

ბროშურაში მოთხრობილია, თუ რა შემთხვევაში შეიძლება კოლექტივისათვის დამნაშავე პირის გადაცემა აღსაზრდელად. ბროშურაში ვრცლად არის განხილული მცირეწლოვან დამრღვევებთან და უზედამხედველო ბავშვებთან მუშაობის ხერხები და მეთოდები.

მ. თოფურიძის ბროშურაში კარგად არის ნაჩვენები, თუ რა დიდი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრიობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ლ. ზაიჩიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მულ და ახალ, პროგრესულ პოლიტიკურ შეხედულებებს შორის ბრძოლის ისტორიას, ამ პოლიტიკურ შეხედულებათა როლს საზოგადოებრივი წარმოების წესის განვითარების საქმეში.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, სწავლობს რა სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ შეხედულებებს საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, გამოდის იქიდან, რომ ყოველი ეპოქის გაბატონებული პოლიტიკური მოძღვრებანი წარმოადგენენ მოცემული საზოგადოების ეკონომიური ბაზისის ზედნაშენურ კატეგორიას, რომელიც მოწოდებულია გაბატონებული კლასის ინტერესების შესაბამისად დაიცვას და განამტკიცოს მოცემული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი. ექსპლოატატორულ საზოგადოებაში გაბატონებული კლასის პოლიტიკური შეხედულებანი წარმოადგენენ სახელმწიფოს, მიერ ოფიციალურად აღიარებულ იდეოლოგიას, რომელიც, როგორც ზედნაშენური კატეგორია, უდიდეს ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების ეკონომიურ წყობილებაზე. მარქსიზმის ფუძემდებლები არაერთგზის მიუთითებდნენ, რომ „ყოველ ეპოქაში გაბატონებული კლასის აზრები გაბატონებული აზრებია, ე. ი. კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მატერიალურ ძალას წარმოადგენს, იმავე დროს ამ საზოგადოების გაბატონებული სულიერი ძალაა. კლასი, რომელსაც თავის განკარგულებაში აქვს მატერიალური წარმოების საშუალებანი, ამით იმავე დროს სულიერი წარმოების საშუალებებსაც განაგებს, ასე რომ ამის მეოხებით მას ემორჩილება იმავე

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**ალ. ვაჩეიშვილი, „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, 1960 წ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 318 გვ. ფასი 11 მან. 60 კაპ.**




ამ დღეებში გამოვიდა პროფესორ ალ. ვაჩეიშვილის ახალი ნაშრომი — „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“.

ამ წიგნის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი საბჭოთა იურიდიული მეცნიერების თვალსაზრისით იკვლევს სასჯელის შინაარსსა და მიზნებს.

სარეცენზიო წიგნი შედგება შვიდი თავისაგან. მასში თანმიმდევრულადაა განხილული დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთდამოკიდებულება, ბურჟუაზიული თეორიები სასჯელის შესახებ, სასჯელი და სახელმწიფოებრივი იძულების სხვა ღონისძიებანი, სოციალური დაცვის ღონისძიებანი ბურჟუაზიულ სამართალში, სოციალური დაცვის ღონისძიების ცნება საბჭოთა სისხლის სამართალში, სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართალში.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ნაშრომის ის ადგილები, სადაც ავტორი ეხება სოციალური დაცვის ღონისძიების ცნებას საბჭოთა სისხლის სამართალში.

იხილავს რა 1922 წელს გამოცემულ პირველ საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსს, რომელიც ვრცლად დამუშავებული სახით იძლევა დანაშაულისა და სასჯელის განსაზღვრებს, განმარტავს ამ ორ ძირითად ცნებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ რევოლუციამდელი სისხლის სამართლის კანონები არ შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის წყარო, ვინაიდან დანაშაულისა და სასჯელის ცნებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ახალი პრინციპებით განისაზღვრებოდა.

სასჯელის პრობლემის თეორიულ დამუშავებასთან დაკავშირებით ალ. ვაჩეიშვილი იხილავს გამოჩენილი იურისტების პროფ. ა. პიონტკოვსკის, პროფ. ა. გერცენზონის, პროფ. ა. ტრაინინის, პროფ. მ. შორგორდსკის შეხედულებებს.

ნაშრომში ფართოდაა წარმოდგენილი და განხილული საზღვარგარეთელი მეცნიერებისა და პრაქტიკის მონაცემები ამ დარგში.

**ო. კოლუაშვილი,**
**ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს საერთოდ იმათი აზრები, ვისაც სულიერი წარმოების საშუალებანი არ გააჩნია. გაბატონებული აზრები სხვა არა არის რა, თუ არა გაბატონებულ მატერიალურ ურთიერობათა იდეალური გამოსახულება, ე. ი. აზრების სახით გამოხატული გაბატონებული მატერიალური ურთიერთობანი".[1]

მაგრამ კლასობრივ საზოგადოებაში არაოფიციალურ, გაბატონებულ პოლიტიკურ შეხედულებებთან ერთად არსებობს აგრეთვე ექსპლოატირებული და ჩაგრული კლასების პოლიტიკური შეხედულებანი, რომლის შინაარსს განსაზღვრავს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მშრომელთა ფართო მასების რევოლუციური ბრძოლის ამოცანები. ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის შიგნით საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა და მშრომელთა ფართო მასების პოლიტიკური შეხედულებების არსებობა და მათ შორის ბრძოლა წარმოადგენს შეურიგებელ კლასობრივ წინააღმდეგობათა შედეგს. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ისტორიულ ეპოქაში საზოგადოების განვითარებისა და წინსვლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალ, მოწინავე პოლიტიკურ შეხედულებებსა და იდეებს. ძველი პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეებისაგან განსხვავებით, რომლებიც ხშირად აფერხებენ საზოგადოების განვითარებას, ახალი, მოწინავე პოლიტიკური შეხედულებები და იდეები ყოველმხრივ უწყობენ ხელს საზოგადოების განვითარებას, ძველი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას ახალი მოწინავე საზოგადოებრივი წყობილებით. მარქსიზმის მოძღვრების მიხედვით ახალი პოლიტიკური შეხედულებების, იდეებისა და თეორიების როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია, მაშინ, როდესაც იგი მასებს დაეუფლება — ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს მარქსისტული თეორიის წარმოშობა, რომელიც ნიშნავს რევოლუციურ გადატრიალებას საზოგადოებრივ მეცნიერებაში. მარქსის-

[1]. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან", სახელგამი, 1948 წ. გვ., 48.

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**პროფ. ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1960 წ. 294 გვ.**



პროფ. ი. ზ. ცინცაძის ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში პირველი მონოგრაფიაა, რომელიც რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატისადმი არის მიძღვნილი.

წიგნში ისტორიული მეცნიერების მიღწევების ფონზე, მდიდარი საარქივო მასალით დახასიათებულია ის საშინაო და საგარეო პირობები, რომლებმაც განაპირობეს გეორგიევსკის ტრაქტატის დადება. წიგნში ნაჩვენებია რუსეთ-საქართველოს მაშინდელი ურთიერთობის რეალური სურათი, ასახულია ის რთული საერთაშორისო ვითარება, რომელსაც ამ ურთიერთობაზე ხშირად გადამწყვეტი გავლენა ჰქონდა.

წიგნში დეტალურად არის განხილული გეორგიევსკის ტრაქტატის საერთაშორისო სამართლებრივი მნიშვნელობა. ამასთან ერთად ნაჩვენებია ის დიდი საერთაშორისო რეზონანსი, რაც 1783 წლის მფარველობით ტრაქტატს ჰქონდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დიპლომატიურ წრეებში.

მონოგრაფიის დადებითი მხარეა ის, რომ მასში განხილულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან ამ პერიოდში. წიგნის მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ მას თან ერთვის გეორგიევსკის ტრაქტატის სრული ტექსტი, მთელი რიგი სხვა მასალები, მათ შორის საარქივო დოკუმენტები, რომელთაგან ბევრი ავტორის მიერ არის მიგნებული და პირველად ქვეყნდება.

„1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი" ჩვენი ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. იგი თავისებური შეჯამებაა ავტორის ხანგრძლივი და ღრმად დაკავშირებული მუშაობისა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე.

პროფ. ი. ცინცაძის წიგნი მიმზიდველი და დახვეწილი ქართული ენით არის დაწერილი. ამიტომაც იგი ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

**ს. ლეხელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული მოძღვრება სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც კაცობრიობის მეცნიერული აზრის ევოლუციური განვითარება. მარქსიზმი, წარმოშვა რა იგი როგორც მანამდე არსებული ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის კრიტიკული გადამუშავების შედეგი, წარმოადგენს რევოლუციას საზოგადოებრივ მეცნიერებაში.

მარქსიზმის წარმოშობით იწყება ახალი ეტაპი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაშიც, ამიტომაც პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია იყოფა ორ ნაწილად: პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია მარქსიზმის წარმოშობამდე და პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ. სარეცენზიო შრომა ეხება პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის პირველ ნაწილს, სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი შეხედულებების წარმოშობასა და განვითარებას კლასობრივი საზოგადოების გაჩენიდან მარქსიზმის წარმოშობამდე. შრომის ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მასში მნიშვნელოვნად არის დაძლეული ის ნაკლოვანებები და ხარვეზები, რომელიც გააჩნდა სახელმწიფო იურიდიული გამომცემლობის მიერ 1955 წელს გამოშვებულ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სახელმძღვანელოს. როგორც საბჭოთა მეცნიერულ ლიტერატურაში აღინიშნა[1] პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის

1. იხ. И. Б. Зильберман, Г. Б. Гальперин, Д. А. Керимов, Г. П. Беляева, Я. Ф. Малярчик, «Книга по истории политических учений» (журн. «Вопросы философии», 1957, № 3, с. 185-190).

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**იორამ ჩადუნელი, „დაკარგული იმედი“**
**გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“**

ქართული ორიგინალური ლიტერატურა ღარიბია სათავგადასავლო, დეტექტური ლიტერატურით. ამ ჟანრში ორიოდე მწერალი თუ მოღვაწეობს. ამიტომაა, რომ მკითხველი დიდი ინტერესით ეცნობა ყოველ ახალ ნაწარმოებს.

სარეცენზიო წიგნის მთავარი ღირსება ის არის, რომ მას გააჩნია სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოების ყველა თვისება: სიუჟეტის სიმძაფრე, დახლართული და მრავალწახნაგოვანი სიუჟეტი, მძაფრ სიტუაციები და, რაც მთავარია, მკაფიოდ გამოკვეთილი სხვადასხვა სახეები და ხასიათები.

პროკურატურის ორგანოებში მრავალი წლის მუშაობა ავტორს საშუალებას აძლევს მკითხველს სწორად დაანახოს ხერხები და მეთოდები, რასაც პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოები ატარებენ საშიში დანაშაულის გახსნისათვის.

მოთხრობის მოკლე ქარგა ასეთია: ერთ-ერთ მსხვილ საამშენებლო ორგანიზაციაში მოკალათებულია დამნაშავეთა ჯგუფი, რომლის წევრები თავისუფლად აფათურებენ ხელს სახელმწიფო ქონებაში და დიდძალ თანხას ითვისებენ. ამავე ორგანიზაციაში მუშაობს პატიოსანი საბჭოთა მუშაკი — ეკონომისტი დ. მკურნალი, რომელიც შეამჩნევს რა მათ მაქინაციებს, გადაწყვეტს ამხილოს ისინი.

ბოროტმოქმედთ არ ძინავთ. ისინი სიცოცხლეს გამოასალმებენ დ. მკურნალს და თან დიდძალ თანხას გაიტაცებენ, რომელიც დ. მკურნალს წინა დღით ბანკიდან ქონდა გამოტანილი. დამნაშავეთა ჯგუფთან დაკავშირებულია და ღ. მკურნალის მკვლელობის ხელის შემწყობია მისი მეუღლე ქეთევანი. აი, ამ საიდუმლო მკვლელობის ლაბირინტის გახსნა დაევალა გამომძიებელ დავითს, რომელიც ოსტატურად წარმართავს ძიებას და მოკლე ხანში გამოააშკარავებს დამნაშავეებს.

სარეცენზიო წიგნი დაზღვეული არ არის ცალკეული შეცდომებისა და ნაკლოვანებისაგან, განსაკუთრებით ეს შეეხება ნაწარმოების ენას.

სათავგადასავლო პროზა დიდი ლიტერატურის აუცილებელი ნაწილია. ამიტომ ამ ჟანრის ყოველი ახალი წიგნი სათანადო მსჯელობისა და განხილვის საგნად უნდა იქცეს.

ზ. მეხუენგისერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1955 წლის სახელმძღვანელოში სახელმწიფოებრივ და სამართლებრივ შეხედულებათა ისტორიის გადმოცემისას ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ისტორიზმის პრინციპიდან გადახვევას, მასში არა საკმაოდ იყო განხილული სამართლებრივი შეხედულებანი, მაშინ როდესაც სახელმძღვანელოს ცალკეული თავები გადატვირთული იყო ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის მასალით, ზოგჯერ სხვადასხვა ეპოქის პოლიტიკური მოძღვრებები განხილული იყო მათ შორის არსებული შინაგანი ლოგიკური და ისტორიული კავშირის გარეშე და ა. შ.

სარეცენზიო შრომის შესავალში საზოგადოების განვითარების ისტორიაში პოლიტიკური იდეებისა და თეორიების მნიშვნელობის შესახებ, მარქსისტულ-ლენინური სწავლების მოკლედ გადმოცემის შემდეგ, მოცემულია პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგნის განსაზღვრა. სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით „პოლიტიკური მოძღვრების ისტორიის მეცნიერების საგანს წარმოადგენს სხვადასხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან კავშირში სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი იდეებისა და თეორიების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერება".

იკვლევსა და სწავლობს რა ამ კანონზომიერებას, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, როგორც მეცნიერება იძლევა პოლიტიკური იდეებისა და თეორიების ახსნას, რომელთა როლი და მნიშვნელობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში განისაზღვრება საზოგადოებაში არსებულ მებრძოლ კლასთა ეკონომიური ურთიერთობითა და კლასობრივი ინტერესებით" (გვ. 20). უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგნის ზემოაღნიშნულ განსაზღვრას უპირატესობა აქვს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ამ დისციპლინის დღემდე არსებული განსაზღვრის მიმართ. ავტორები სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის საგნის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფოსა და სამართლის მარქსისტულ-ლე-

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**ვ. შანიძე, „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი", თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" 1959 წ., გვ. 282. ფასი 8 მან. 85 კაპ.**



საბჭოთა სასამართლო მედიცინა მოწოდებულია დაეხმაროს საბჭოთა მართლმსაჯულებას ობიექტური ექსპერტიზების დადგენაში. დაიცვას მშრომელთა ინტერესები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. შანიძის წიგნი „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი" ავტორის მრავალი წლის პრაქტიკული გამოცდილებისა და შრომის შედეგია. ნაშრომში თანმიმდევრულადაა განხილული, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის სახეები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ობიექტები, ექსპერტის პასუხისმგებლობა და უფლება-მოვალეობა, სხეულის დაზიანებათა ექსპერტიზა, სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა და სხვ.

ეხება რა სიკვდილის პირველად მიზეზებს ტრავმული დაზიანების დროს, ავტორი განიხილავს სიკვდილის პირველადი მიზეზების მრავალგვაროვნებას, მათ შორის სასიცოცხლო ორგანოების: თავის ტვინის, გულის, ფილტვების, ღვიძლის, თირკმელების დაზიანებას. სიკვდილის გამომწვევ მიზეზებს ვ. შანიძე განიხილავს სასამართლო-სამედიცინო თვალსაზრისით, რაც დაკავშირებულია ძალადობასთან და იყოფა ორ კატეგორიად: ნაძალადევი და არანაძალადევი სიკვდილი. სრულყოფილად არის მოცემული გვამის გამოკვლევის წესები, გვამის დათვალიერება შემთხვევის ადგილზე, გვამის გამოკვლევის დოკუმენტაცია და სხვ.

საინტერესოდ არის დამუშავებული წიგნის ის თავი, სადაც ლაპარაკია კერძო სასამართლო თანატოლოგიაზე, ასფიქსიაზე და სხვ.

ვ. შანიძის წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს პროკურატურისა და საგამომძიებლო დარგის პრაქტიკოს მუშაკებს.

**ა. პაიჭაძე**
**ქალაქ თბილისის პროკურორი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინური თეორიის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერება.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სახელმძღვანელოს ღირსებას უდავოდ უნდა მიეწეროს ის, რომ მასში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საზოგადოების ისტორიაში დღემდე არსებული ჩაგრული და ექსპლოატირებული კლასების პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეების ანალიზს. ყველა ეპოქაში, და განსაკუთრებით ბურჟუაზიის ბატონობის ეპოქაში საზოგადოებაში გაბატონებული ექსპლოატატორული უმცირესობის იდეოლოგები ყოველმხრივ ცდილობენ დაამცირონ მშრომელი მასების როლი საზოგადოების განვითარების ისტორიაში. ისინი მიუთითებენ, რომ „მშრომელ მასებსა და კოლონიური და ნახევრადკოლონიური ქვეყნების ხალხებს არ შესწევთ პოლიტიკური აზროვნებისა და პოლიტიკური საქმიანობის უნარი. ექსპლოატატორული კლასების იდეოლოგები ცდილობენ დაარწმუნონ ხალხები იმაში, რომ პოლიტიკა და სახელმწიფოებრივი საქმიანობა საზოგადოების ე. წ. „რჩეულთა“ თანდაყოლილ პრივილეგიას წარმოადგენს. რაც შეეხება მშრომელ და ექსპლოატირებულ ხალხებს, ისინი გაჩენილი არიან მორჩილებისათვის. საზოგადოების განვითარება კი, — როგორც ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მშრომელთა მუდმივი ბრძოლის ისტორია, ცხადყოფს, რომ ყვე-

## მოკლედ ახალ წიგნებზე

**გ. ნადარეიშვილი, „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს საქართველოში“, თბილისი 1959 წ. გვ. 129, ფასი 3 მ. 80 კაპ.**



X-XII საუკუნეების ქართული ლიტერატურული ძეგლები მკვლევართა მიერ საფუძვლიანად არის დამუშავებული. შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი ამ საუკუნეების ქართული სამართლებრივი კულტურის დონე. სამწუხაროდ, ქართული კულტურის მკვლევარები ამ საკითხებით არ იყვნენ დაინტერესებულნი. სწორედ ამიტომ იყო, რომ უცხო ავტორები: კარატი, კოლდაკი, დარესტი, თავიანთ შრომებში ავითარებდნენ არასწორ შეხედულებებს, თითქოს ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე XI-XII საუკუნეებში არ შეეფარდებოდა ლიტერატურული განვითარების დონეს.

გ. ნადარეიშვილმა თავის ნაშრომში მიზნად დაისახა დაასაბუთოს უცხოელ ავტორთა მოსაზრების უსაფუძვლობა. კონკრეტული მასალების საფუძველზე დაადგინოს ქართული სამართლებრივი კულტურის ნამდვილი სახე XI-XII საუკუნეებში.

შრომა 5 თავისაგან შედგება. პირველ თავში „დანაშაულის სუბიექტი და სუბიექტური მხარე“ ავტორი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ქართული სამართლისათვის უცხო იყო დასავლეთ ევროპაში XI-XII საუკუნეებში ფართოდ ცნობილი ცხოველთა და უსულო საგნების გასამართლება. ქართულ სამართალს შემუშავებული ქონდა სისხლის სამართლის ისეთი რთული და შინაარსით მდიდარი ცნებები, როგორიცაა განზრახვა და გაუფრთხილებლობა. ამ ცნებების დამუშავება კი მაღალი იურიდიული კულტურის მაჩვენებელია.

XII საუკუნის საოჯახო სამართლის ნორმების მონაცემების მიხედვით საქართველოში ქალს მშობლების ქონების მემკვიდრეობის უფლება ქონდა, რაც მიუთითებს ქართული სამართლებრივი კულტურის მაღალ დონეზე.

ავტორს საინტერესოდ აქვს დამუშავებული თავი — „დამამტკიცებელ საბუთთა სისტემის საკითხი“, რომელიც ეხება XI-XII საუკუნეების საქართველოში სასამართლო ხელოვნების საკითხს.

განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის მეხუთე თავი „სასჯელთა სისტემის ჰუმანიზაცია“, სადაც ავტორი სათანადო ისტორიულ-იურიდიული წყაროების მომარჯვებით ცხადყოფს, რომ თამარის ეპოქის საქართველოში მკვეთრად შეიზღუდა სიკვდილით დასჯა და მოისპო სხეულებრივი სასჯელები.

გ. ნადარეიშვილის მონოგრაფია იურიდიული მეცნიერების კარგი შენაძენია.

**ვ. სიმონიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ ჩაგრული და ექსპლოატატორული მასები, რომელთა პოლიტიკური შეხედულებები და იდეები უდიდეს მატერიალურ ძალას წარმოადგენდა.

სახელმძღვანელოში სათანადო სისრულით არის დახასიათებული ჩაგრული კლასების პოლიტიკური შეხედულებები და იდეები. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის შესახებ არსებული ლიტერატურისაგან განსხვავებით, სარეცენზიო შრომაში სპეციალური თავები და პარაგრაფები აქვს მიძღვნილი ექსპლოატირებული მასების პოლიტიკურ იდეებს დაწყებული მონათმფლობელური საზოგადოებიდან. სახელმძღვანელოში მოცემულია აგრეთვე შუა აზიის, ამიერკავკასიის, რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხებისა და აგრეთვე აღმოსავლეთი, ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ხალხთა პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველი მკითხველისათვის XXI თავის „XIX საუკუნის რუსეთის ხალხების მოწინავე პოლიტიკური აზრი"-ს VI პარაგრაფი „პოლიტიკური აზრი საქართველოში", რომელიც შესრულებულია დოც. გ. ინწკირველის მიერ. საგლეხო რეფორმის გატარებისა და კაპიტალიზმის განვითარების მოკლე ანალიზის შემდეგ სახელმძღვანელოში დახასიათებულია ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და კ. ნინოშვილის შეხედულებანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცალკეულ საკითხებზე.

პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სახელმძღვანელოს ავტორები მდიდარი ფაქტიური მასალის ანალიზის საფუძველზე დამაჯერებლად უარყოფენ „ევროპულ-ცენტრისტულ" ბურჟუაზიულ თეორიას, რომლის თანახმადაც, თითქოს მხოლოდ ევროპის ხალხებისა და საერთოდ თეორიასის წარმომადგენლები ქმნიდნენ პოლიტიკურ მოძღვრებებსა და თეორიებს. პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ პოლიტიკური აზრის განვითარების საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებმა, კერძოდ ინდოეთის, ჩინეთისა და სხვ. ქვეყნების ხალხებმა. სახელმძღვანელოს ავტორები უარყოფენ რა აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის, მეცნიერებისა და პოლიტიკური შეხედულებებისადმი ბურჟუაზიულ-ნიჰილისტურ დამოკიდებულებას, განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ როგორც აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხების, ისე ევროპის ხალხთა მოწინავე, რევოლუციურ-დემოკრატიული, პროგრესული იდეებისა და თეორიების დახასიათებას. სარეცენზიო შრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ქვეყნების დასავლეთის ქვეყნების ხალხთა პოლიტიკურ შეხედულებებს. ასე მაგალითად, 1 თავში „ძველი აღმოსავლეთის მონათმფლობელური სახელმწიფოების პოლიტიკური აზრი", განხილულია ძველი ქვეყნების — ეგვიპტის, ბაბილონის, ინდოეთისა და ჩინეთის პოლიტიკური შეხედულებანი (გვ. გვ. 32-46); IV თავში დახასიათებულია ფეოდალური ჩინეთისა და ფეოდალური ინდოეთის პოლიტიკური შეხედულებანი (გვ. გვ. 92-102); V თავში მოცემულია არაბული აღმოსავლეთის, შუა აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია ფეოდალიზმის წარმოშობისა და განვითარების პერიოდში (გვ. გვ. 106-116); XXI თავში გადმოცემულია მე-19 საუკუნის რუსეთის ხალხთა პოლიტიკური აზრის ისტორია (უკრაინა, ბელორუსია, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, მოლდავია, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი ყაზახეთი და შუა აზია, გვ. გვ. 427-460); XXIII თავი ეხება ჩინეთისა და ინდოეთის პოლიტიკურ შეხედულებებს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის პერიოდში (გვ. გვ. 496-508); სახელმძღვანელოს ავტორები სავსებით სამართლიანად მიუთითებენ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების მშრომელი ხალხის პოლიტიკური მოძღვრებები, რომელიც წარმოიშვა უძველეს მონათმფლობელურ სახელმწიფოებში რეაქციულ შეხედულებებთან ბრძოლაში, ცხადყოფენ უსაფუძვლობას იმპერიალისტური ბურჟუაზიის რასისტული თეორიისა, რომლის თანახმადაც აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხების პოლიტიკური შეხედულებები თითქოს ვითარდებოდა დასავლეთ ევროპის მოაზროვნეთა ზეგავლენით, რომ აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხებს არ გააჩნდათ დამოუკიდებელი პოლიტიკური აზრი. სახელმძღვანელოში მხილებულია „მოწინავე" დასავლეთის ქვეყნებთან „ჩამორჩენილი" აღმოსავლეთის ქვეყნების დაპირისპირების რასისტული თეორიის რეაქციული არსი.

სარეცენზიო შრომაში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი მე-19 საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პოლიტიკურ შეხედულებებს. უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნის რუსი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური შეხედულებებისადმი მიძღვნილი თავი დამუშავებულია ორიგინალურად, რაც იმაში გამოიხატება, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური აზრი სახელმძღვანელოში წარმოდგენილია არა პორტრეტული გალერეის სახით, არამედ როგორც სხვადასხვა მიმართულების განვითარება და ბრძოლა. შრომაში ცალკე პარაგრაფად არის გამოყოფილი რუსეთის 40-იანი წლების რევოლუციური დემოკრატიზმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა. ი. გერცენის და ბ. გ. ბელინსკის პოლიტიკური შეხედულებების სახით (გვ. გვ. 388-404), 50-60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატიზმი ა. გერცენის ნ. გ. ჩერნიშევსკის და ნ. ა. დობროლიუბოვის პოლიტიკური შეხედულებების სახით (გვ. გვ. 404-422) და 70-იანი წლების რევოლუციური ხალხოსნობა. გარდა ამისა, დახასიათებულია რა ის წვლილი, რაც რუსეთის მოაზროვნეებმა შეიტანეს პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების განვითარების საქმეში. სახელმძღვანელოს ავტორებმა წარმატებით შესძლეს იმ ურთიერთდაპირისპირების დაძლევა რასაც ხშირად ვხვდებით ლიტერატურაში დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის პოლიტიკური აზრის განვითარების გადმოცემისას. სახელმძღვანელოს ავტორები დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის პოლიტიკურ შეხედულებათა ღრმა ანალიზის საფუძველზე ასაბუთებენ მათ შორის ორგანულ კავშირს, მაგრამ ამავე დროს ეს მათ ხელს არ უშლის მიუთითონ რუსეთის პოლიტიკურ მოძღვრებათა სპეციალურ თავისებურებათა შესახებ.

მიუხედავად უმნიშვნელო ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რასაც ადგილი აქვს სახელმძღვანელოში (მაგალითად, 11 თავი „მონათმფლობელური საბერძნეთის პოლიტიკური აზრი" მკითხველში ტოვებს სქემატური ხასიათის შთაბეჭდილებას, არასაკმაო ყურადღებით არის დამუშავებული IV თავის მასალა ფეოდალური ჩინეთისა და ფეოდალური ინდოეთის პოლიტიკური შეხედულებების შესახებ და ა. შ.), ავტორთა კოლექტივმა შექმნა სრულფასოვანი მარქსისტული სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომელიც კარგ სამსახურს გაუწევს ამ დისციპლინით დაინტერესებულ პირებს და პირველ რიგში უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარული დარგის სტუდენტებს. ამ მიზნით სრულებით არ იქნებოდა ზედმეტი პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში აღნიშნული სახელმძღვანელოს თარგმნა ქართულ ენაზე, რის აუცილებლობაც უკვე დიდიხანია იგრძნობა.

ვ. აბაშიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ადვოკატის სიტყვაში არაპირდაპირ მტკიცებათა გამოყენების ნიმუში

(რუსეთის ადვოკატურის ისტორიიდან)

ახლახან მესამე გამოცემით გამოვიდა რუსეთის გამოჩენილი იურისტების სასამართლო სიტყვების კრებული, რომელიც არა მარტო იურისტების, არამედ ყველა კულტურული ადამიანის დიდ ინტერეს იწვევს. კრებულში დაბეჭდილი სიტყვები ნათელყოფენ, რომ მათი ავტორები—ადვოკატები, ღრმად იყვნენ დაუფლებული ფორიდიულ მეცნიერებას, და იურიდიული ანალიზის მეთოდს, ჰქონდათ კარგი ლიტერატურული ალღო და ფსიქოლოგიურ განცდათა ჰეშმარიტი ახსნის უნარი, შესანიშნავად იყენებდნენ თავიანთ გამოსვლებში ორატორულ ხერხებს. საერთოდ სიტყვები მოწმობენ მათი ავტორების ჰუმანურობასა და ახალგაზრდა კულტურას.

ამ სტატიაში ჩვენ შევეხებით დიდი მეცნიერისა და ადვოკატის ვ. სპასოვიჩის სიტყვას ოვსინიაკოვის საქმეზე, რომელიც მოთავსებულია კრებულში.

„მესამე ლექცია, რომელსაც დავესწარი, — იგონებდა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი ნიკო ნიკოლაძე, — სპასოვიჩის ლექცია იყო. ეს სულ სხვანაირად კითხულობდა. რუსულ ენაში ხშირად წაუბორძიკდებოდა ხოლმე ფეხი, და საჭირო სიტყვების მოძებნა, ან გახსენება ხშირად უჭირდებოდა. მაგრამ რა ეშხიანათ კითხულობდა მაინც, რა ცეცხლით, რა გულითადი აღტაცებით. ყველაფერს ივიწყებდა, რაკი ლაპარაკს დაიწყებდა. ენებით აივსებოდა მისი თვალები, ეშმაკი გაუჯდებოდა ტანში, და ლოთიანათ, შეუპოვრად იწყებდა ის მაშინ თავის აზრების მტკიცებას. გეგონებოდათ, მეომარსიფეცა. მაგრამ ვერ მხედავსო, მაჯერებს, მაგრამ ვერ მნიშნავსო, მის წინ ვდგავარ, ხელს მკიდებს, მანძრევს, მატრიალებს, ჯლინქვებს მერავს, მაგრამ აღარ ახსოვს, თუ მის წინ კაცი დგასო... და როცა ერთიანად ყველა თავის საბუთებს, ან დამტკიცებებს ამოგლაგებდათ, უკან დაიხევდა და შემოგაჩერდებოდა გაჩუმებული: ნუთუ ეხლაც არ დარწმუნდიო? იყო ერთ მოუსვენარ ხელების შლაში, თითების ტრიალში, ცმაცურში. ხან საზარელი ხმით შესძახებდა წარმოდგენილ აზრის მოწინააღმდეგეს, თითქო ტან-და-ტან შეტაკებია მტერს და მისი განგმირვა უნდაო. ხან ჩურჩულით, ნაზი, დაბალი ხმით ლაპარაკობდა, თითქო საყვარელს ეკედრებოდეს, — თუ გიყვარდე დამიჯერე, გამყევი, მასიამოვნეო... ისე გაგტაცებდა, ისე დაიპყრობდა შენ აზრს, ისე გამუშავებდა ტვინით, რომ დაქანცული, დაღალული, თავ-ბრუ დახვეული გამოდიოდი მის ლექციიდან. მაგიერათ არც ერთი მისი ნათქვამი აზრი აღარ დაგავიწყდებოდა სიკვდილამდინაც...“[1]

ასეთი იყო პროფესორი ვლადიმერ დანიელის ძე სპასოვიჩი როგორც ორატორი. იგი დაიბადა 1829 წელს. განათლებით იურისტი, წარმატებით მუშაობდა ლიტერატურაშიც. 1857-63 წლებში იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრის პროფესორი, 1866 წლიდან კი ადვოკატი. გამოჩენილი მეცნიერის კალამს სხვა მრავალრიცხოვან ნაწერებს შორის, ეკუთვნის შრომა — „სასამართლო—სისხლის სამართლებრივ მტკიცებათა თეორიის შესახებ“, „სისხლის სამართლის სახელმძღვანელო“, „პოლონური ლიტერატურის ისტორია“ და სხვა მრავალი. ეს უკანასკნელი ფაქტიც მოწმობს იმას, თუ რაოდენ დიდი დიაპაზონის მქონე იყო სახელოვანი მეცნიერი.

როგორც ადამიანი შემდეგნაირად წარმოგვიდგება, მეცნიერი სპასოვიჩი: „ერთხელ ერთიაფ კუხმისტერკში ვსადილობდით, — იგონებს ილია ჭავჭავაძე — ახალი ქართველი სტუდენტები, ვასილევის კუნძულზე, იქავ უნივერსიტეტის ახლოს, და რაღაც იურიდიულ საგანზე ჩამოგვივარდა ბაასი. როგორც მოგეხსენებათ ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწვავე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია ერთი ახალგაზრდა რუსიცა, რომელიც იმავე

[1]. ნიკო ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები. სტუდენტობის პირველი დრო. გვ. 87. ტფ. 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო სასადილო მაგიდას უჯდა და სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით, ცხარედ შეეკამათეთ და არა დაეუთმეთ-რა, თუმცა მან მეტად გარკვეითა და სადად განმარტა საკამათო საგანი. მეორე დღეს შევხვედოთ და ის კაცი კათედრაზედ კია გამოჭიმული უნივერსიტეტში და ლექციას კითხულობს. აუდიტორია გაჭედილია სტუდენტებითა, ვიკითხეთ მისი ვინაობა და პირ-კატა კი გვეცა, როცა გვითხრეს სპასოვიჩიაო, პროფესორი, დიდი მცოდნე იურისპრუდენციისაო[1]".

პროფესორ სპასოვიჩის ადვოკატურაში მოღვაწეობის დროს მისი მჭევრმეტყველების ნიმუშია, 1875 წელს წარმოთქმული სიტყვა საქმეზე: „კომერციის მრჩეველ ოვსიანიკოვის, ვაჭარ ლევთეევის და მეშჩანინ რუდომეტოვის მიერ ცეცხლის წაკიდებაში ბრალდების შესახებ", რომლის განხილვაც, როგორც ზევით ვთქვით, არის ჩვენი მიზანი.

1875 წელს პეტერბურგში დაიწვა მილიონ მანეთად ღირებული დიდი წისქვილი. წისქვილი ეკუთვნოდა ვინმე კოკორევს. ოვსიანიკოვი იყო მენარდე, რომელიც ამ საწარმოს განაგებდა. სანარდო ხელშეკრულება მენარდე ოვსიანიკოვისათვის აღარ იყო ხელსაყრელი, რადგან საწარმო აღარ იძლეოდა საკმაო მოგებას. ოვსიანიკოვს უჩნდება აზრი, რაიმე გზით მოიშოროს თავიდან წისქვილი, რომელიც დაზღვეულია „ვარშავისა" და „იაკორის" დამზღვევ საზოგადოებებში.

თუ წისქვილი შემთხვევითობის საფუძველზე მოისპობა, ოვსიანიკოვი დამზღვევი საზოგადოებებისაგან დიდ თანხას მიიღებდა. ამიტომ ის, რუდომეტოვისა და მეშჩანინ ლევთეევის მეშვეობით, სწვავს წისქვილს და ხანძარს უბედურ შემთხვევას აბრალებს. დამნაშავენი სასამართლოს წინაშე წარსდგენ.

ადვოკატი სპასოვიჩი, სასამართლოში გამოდის, როგორც დამზღვევ საზოგადოებების „ვარშავისა" და „იაკორის" წარმომადგენელი, როგორც სამოქალაქო მოსარჩელე. სპასოვიჩი სახელმწიფო ბრალმდებელთან ერთად, დაინტერესებულია დაამტკიცოს, რომ ცეცხლი კი არ წაეკიდა წისქვილს, არამედ წაუკიდეს და ამით, მოხსნას „ვარშავისა" და „იაკორის" დამზღვევ საზოგადოებებს დიდი ქონებრივი პასუხისმგებლობა.

რით დაამტკიცოს სპასოვიჩმა, რომ ცეცხლის წაკიდება ბოროტგანზრახვითი იყო, როდესაც არცერთმ მოწმე, არცერთი ნივთიერი დამამტკიცებელი ამ გარემოებას (ე. ი. ცეცხლის განზრახ წაკიდებას) არ ადასტურებს...

პროფესორი სპასოვიჩი მიმართავს **არაპირდაპირ** მტკიცებებს და თავისი მსჯელობით ჰკაფავს გზას ჭეშმარიტებისაკენ, სპობს ყოველივე სხვა შესაძლებელი ჰიპოთეზის არსებობას. სახელოვანი ორატორის სიტყვაში იგრძნობა თუ რაოდენ დიდია ლოგიკის ძალა.

არაპირდაპირ მტკიცებათა შესახებ მოსაზრება მრავალ იურისტს აქვს გამოთქმული, ეს აიხსნება იმით, რომ არაპირდაპირ მტკიცებათა პრობლემა სასამართლო მტკიცებათა თეორიაში მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც ამა თუ იმ მდგომარეობის დასამტკიცებლად პირდაპირი დამამტკიცებლები გამოიყენება.

**რა არის არაპირდაპირი დამამტკიცებელი?**

„**არაპირდაპირი დამამტკიცებელი**, — ამბობს აკადემიკოსი ვიშინსკი, — არის, მართლაც, გარემოებანი, რომლებიც არაპირდაპირ მიეკუთვნებიან მტკიცების საგანს, გარემოებანი, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ არ მოწმობენ ბრალდებულთა წინააღმდეგ ან სასარგებლოდ, როგორც ეს შეიძლება ითქვას მოწმეთა ჩვენების შესახებ, როგორც ეს შეიძლება ითქვას მთელ რიგ შემთხვევებში ექსპერტიზის დასკვნების შესახებ, მაგრამ რომლებსაც სხვა გარემოებებთან კავშირში, იმავე დასკვნამდე მიეყვანართ, რაც პირდაპირ დამამტკიცებლებს[2]".

ფაქტის მტკიცება არაპირდაპირი მტკიცებით უფრო რთულია ვიდრე პირდაპირით, რადგან არაპირდაპირი მტკიცებანი ხშირად წარმოგვიდგებიან როგორც ხაზები, ფაქტების ნაგლეჯები, მოქმედებათა და აზრთა ნაწყვეტები. ყველა ეს ნაწილი უნდა მოვიყვანოთ ერთ სისტემაში, ერთმანეთისადმი ჰარმონიაში. არაპირდაპირი მტკიცებანი ერთმანეთისაგან უნდა გამომდინარეობდნენ და ქმნიდნენ მტკიცებათა ისეთ ჯაჭვს, რომლის დასაწყისი დასამტკიცებელი ფაქტია, ხოლო დასასრული, ნათლად გარკვეული ჭეშმარიტება. ეს ჯაჭვი არ უნდა ირღვეოდეს რაიმე საწინააღმდეგო მხილებით.

ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გაბატონებულია პრინციპი: „რაც უფრო სუსტია მხილებანი, მით უფრო მეტი უნდა იყოს მათი რიცხვი, და პირიქით, რაც უფრო ძლიერია მხილება, მით უფრო ნაკლები შეიძლება იყოს მათი რაოდენობა".

ამ პრინციპის მცდარობა ნათელი გახდება

---

[1]. ილ. ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. I. 1914 წ. გვ. 24–25.

[2]. Академик А. Я. Вышинский Теория судебного доказательства в советском праве. Москва 1960 г. стр. 287.

[3]. В Жиряев. Теория Улик. 1855 г. стр. 159.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოვიყვანთ ისევ ბურჟუაზიული მეცნიერის გამოთქმას: „როგორ შეიძლება ათი ათასი თეთრი ცხენის ნაწილებიდან შევქმნათ ერთი შავი ცხენი“

სუსტი დამამტკიცებლები რა დიდიც უნდა იყოს მათი რიცხვი, ვერ დაამტკიცებს ფაქტს, მტკიცების საგანს. ე. ი. დამამტკიცებლების რიცხვი კი არ სწყვეტს საკითხს, არამედ მათი მდგომარეობა სხვა მტკიცებათა რიგში, მათი კავშირი და ურთიერთ გამომდინარეობა.

ასეთი მტკიცებანი ერთი მეცნიერის თქმით, შეიძლება შევადაროთ „თოკს, რომელიც დაწნულია უამრავი წვრილი ძაფისაგან, აქვს საკმარისი სიმაგრე რომ გარკვეული სიმძიმე დაიჭიროს, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი მასში შემავალი ძაფი ცალკე ამას ვერ შეძლებდა“.

არაპირდაპირ მტკიცებათა შესახებ მონოგრაფია აქვს დაწერილი ინგლისელ იურისტს უილიამ უილზს. ამ მონოგრაფიის სათაურია „ნარკვევი არაპირდაპირ მტკიცებათა თეორიის შესახებ“. შრომის ავტორის აზრით, არაპირდაპირ მტკიცებებს აქვთ გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ პირდაპირ დამამტკიცებლებს ვერ წვდებიან. ავტორი წერს:

„ჩვენ იმ დასკვამდე მივდივართ, რომ არაპირდაპირი მხილებანი არსებითად განსხვავდებიან პირდაპირ და დადებით დამოწმებისაგან და მიეკუთვნებიან მტკიცებათა უმდაბლეს ხარისხს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი დამამტკიცებელი ძალა, ყველა შემთხვევაში თუ არა ხშირად მაინც, მეტია საშუალო ძალის პირდაპირ დამამტკიცებლებზე“.[1]

ამასთანავე, მნიშვნელოვანი განაჩენების საფუძვლად, უილზის აზრით, არაპირდაპირი მტკიცებანი მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოვიყენოთ, თუ მათ დიდი სიფრთხილით მოვეპყრობით და თუ პირდაპირი მტკიცებანი არ არსებობს. უილზის ამ დებულების დედააზრი, სადაოა, რადგან არაპირდაპირი დამამტკიცებლები, მათი სინთეზისა და ანალიზის, მათი სისტემაში მოყვანის შემდეგ ისეთ დაუძლეველ ძალად, მტკიცებათა ისეთ ჯაჭვად იქცევიან, რომელიც შებოჭავს პროცესის სუბიექტებს და აიძულებს მათ იარონ ჭეშმარიტების გზით. ამის შესანიშნავს მაგალითს, სისხლის სამართალში წარმოადგენს აკადემიკოს ა. ი. ვიშინსკის მიერ გამორიცხვის მეთოდით გამოკვლეული, დოქტორ ვულფსონის მკვლელობის საქმე კუნძულ ვრანგელზე. სამოქალაქო სამართალში კი პროფესორ სპასოვიჩის სიტყვა ოესიანიკოვის საქმეზე. ა. ი. ვიშინსკი არაპირდაპირ დამამტკიცებელთა შემდეგ ხუთ ძირითად ნიშანს ადგენს.

1. არაპირდაპირ დამამტკიცებლებს მნიშვნელობა ენიჭებათ მხოლოდ სხვა მტკიცებებთან კავშირში.

2. არაპირდაპირ დამამტკიცებელთა კავშირი უნდა იყოს ისეთი, რომ თითოეული დამამტკიცებელი შეადგენდეს მხილებათა სისტემის ჯაჭვის რგოლს.

3. არაპირდაპირი მხილებანი უნდა იყვნენ ჰარმონიაში როგორც ურთიერთისადმი ისევე მთავარ დასამტკიცებელ ფაქტთან.

4. არაპირდაპირ დამამტკიცებელთა სისტემაში, ერთი მხილების ამოვარდნაც, უნდა იწვევდეს მთელი სისტემის დაშლას.

და 5. ის ვერსია, რომელსაც საფუძვლად უდევს არაპირდაპირ მტკიცებათა სისტემა უნდა გამორიცხავდეს ყველა სხვა შესაძლებელ ვერსიას[2].

გადავიდეთ სიტყვის ანალიზზე:

ვ. დ. სპასოვიჩი თავის სიტყვას იწყებს იმის გარკვევით, თუ ვისი ინტერესების დამცველად გამოდის სასამართლოში. რადგან მოსარჩელემ ნათლად და ზუსტად უნდა განსაზღვროს ის, რასაც ეძებს, და ისიც, რის საფუძველზედაც ეძებს. ე. დ. სპასოვიჩი ამბობს, რომ მისი სარჩელი მიმართულია არა ყველა ბრალდებულის მიმართ, არამედ მხოლოდ ოესიანიკოვის მიმართ, ვინაიდან წისქვილის დამაზღვეველი იყო ოესიანიკოვი და არა დანარჩენი ბრალდებულები.

პროფესორი ვ. დ. სპასოვიჩი განმარტავს, რომ დამზღვევი საზოგადოებანი თანახმად მათი წესდებებისა, მაშინ იხდიან დაზღვეული ქონების ღირებულებას, როდესაც ამ ქონების დაღუპვა ხდება შემთხვევითობის საფუძველზე. დაზღვევას არა აქვს ძალა როცა უბედური შემთხვევის აქვს ადგილი, ამ შემთხვევაში ხანძარს, რომელიც დამაზღვეველის განზრახვით ნოხდა. ეს წესი აღნიშნული იყო დამზღვევი საზოგადოებების წესდებებში.

ადვოკატი ვ. დ. სპასოვიჩი გადადის ცეცხლის წაკიდების ფაქტის მტკიცებაზე.

1. 1874 წლის 20 დეკემბერს, ოესიანიკოვმა ორივე დამზღვევ საზოგადოებაში შეიტანა განცხადება, სადაც აღნიშნა: რომ წისქვილს აქვს წყლით სავსე დიდი აუზი რვა ონკანით და ჰყავს დარაჯების განსაზღვრული რიცხვი. ამის საფუძველზე მოხდა წისქვილის დამატებითი დაზღვევა, რადგან რაც უფრო ნაკლებია უბე-

1. Уилям Уильз. Опыт теории косвенных улик? 1864 г. стр. 238.

2. Академик А. Я. Вышинский Теория судебного доказательства в Советском праве. Москва 1950 г. стр. 293.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური შემთხვევის საშიშროება, მით უფრო დიდია სადაზღვევო თანხა.

2. წისქვილის უზარმაზარი შენობის დასაწვავად დიდი დრო იყო საჭირო. ეს ხანძარი მეტად ხანმოკლე იყო. ამას ამტკიცებს სასამართლო გამოძიება, სახანძრო გუშაგების და რაზმელების მოწმობა, რომ წისქვილი ერთ საათში ცეცხლის ზღვად იქცა. რაც ნორმალური ხანძრის დროს არ მოხდებოდა.

3. ხანძრის დროს მოვიდა რამდენიმე სახანძრო რაზმი. პირველად მოსულმა რაზმმა გზა აუქცია იმ ადგილს, სადაც, შემდეგ, მეორე რაზმი აქრობდა ცეცხლს. მესამე რაზმმა კი სულ სხვა ადგილას აღმოაჩინა ცეცხლი, ე. ი. წისქვილში ცეცხლის სამი კერა იყო. ერთი სანიაველის მეორე სართულში ჭუჩის მხრიდან, მეორე სანიაველის მესამე სართულში ეზოს მხრიდან და მესამე სარდაფში.

4. პროფესორი სპასოვიჩი წისქვილის მოდელის და სხვა დეტალების შესწავლის საფუძველზე ასკვნის, რომ სამი ცეცხლის კერა ერთისაგან რომ ყოფილიყო წარმოშობილი ცეცხლი ერთი კერიდან, მეორეს უნდა გადასცემოდა რაიმე ნივთიერების წვით. ასეთ ნივთიერებას წარმოადგენდა თითქოს ფქვილის მტვერი. მაგრამ ექსპერტიზის მონაცემების მიხედვით ფქვილის მტვერი ცუდად იწვის. ფქვილის მტვერი შეიძლება იწვოდეს მაშინ, როცა ღრუბლებად დგას, რაც იმ დროს წისქვილში არ ყოფილა; წისქვილი არ მუშაობდა.

5. ამბობენ რომ ცეცხლი გაჩნდა მთავარ საკვამლე მილთან, საიდანაც ჰაერის ნახშირის ნაპერწკლები ამოჰქონდა. სპასოვიჩის აზრით ნახშირის ნაკვერცხლები უნდა ყოფილიყო ძალიან პატარა, რადგან დიდ ნახშირებს ჰაერის წნევა ზევით ვერ აიტანდა. ამასთანავე ექსპერტიზაციამ დადასტურა რომ ბზის (ნამჯის) ორი სახეობა რომელიც წისქვილში იყო, დიდი ანთებული ნახშირის შეტანითაც კი არ დაიწვა. კიდევაც რომ დაუშვათ, რომ ხანძრის დროს ის მაინც დაიწვა, ცეცხლი სამ ადგილს რომ გადასცემოდა ერთი კერიდან, საჭირო იყო ამ სამ ადგილს შორის არსებულიყო ბზის უწყვეტი ნაყარი, რაც სინამდვილეში არ ყოფილა.

6. ცეცხლი საკვამლე მილთან რომ გაჩენილიყო მას უნდა გაევლო საშრობზე და დაეწვა უამრავი ხე-ტყე, რომელიც საშრობში იყო. მაგრამ საშრობი ხე-ტყეთურთ დაუწვავია და შენარჩუნებული. ცეცხლს კი არ შეეძლო გაეკეთებინა რაიმე მითიური ნახტომი. ამას გარდა ცეცხლი რომ ბზისაგან გაჩენილიყო, ქალაქის შესაბამის ადგილას დადგებოდა სუნი. რადგან ერთი გირვანქა ბზის კვამლიც საკმარისია, რომ დიდი სადგომი გაავსოს სპეციფიკური სუნით. ამას თუ დაუმატებთ რომ წისქვილის სარდაფში ინახებოდა ისეთი ნივთეები, რომ ბიც იქ არ უნდა ყოფილიყვნენ ხანძრის საშიშროების გამო, რომ გაზ-საზომებში გაზის მდგომარეობა ნორმალური იყო და განზრახ წყლით გავსებული ქვაბები ფეთქდებოდა; რომ წყალი, ლევთეევის ბრძანებით, გამოშვებული იყო სახანძრე მილებიდან და აუზიდან, და წყალსაქაჩი მანქანების ნაწილები მოხსნილი იყო და შენახული, ნათელი გახდება, რომ ყოველივე ეს ემსგავსება შემდეგ მდგომარეობას:

„თუ ჩვენ სადმე, ქაღალდის ნაჭერზე ვნახავთ ხაზებს და შევამჩნევთ რომ ხაზებიდან შესდგება ასოები, ასოებიდან მთელი სიტყვა, ზოგიერთი დაუშვებს, რომ ეს სიტყვა დაწერილია ბავშვის მიერ, რომელმაც არ იცის არც წერა არც კითხვა, არა, ის დაწერილია წერაკითხვის მცოდნე პირის მიერ, ხოლო ის, რაც ქაღალდზეა დაწერილი — მე თამამად შემიძლია გითხრათ —ეს სიტყვა არის ცეცხლის განზრახ წაკიდება“. ამბობს ვ. დ. სპასოვიჩი.

როგორც ვხედავთ, სპასოვიჩის მიერ იშვიათი ოსტატობით არის დამტკიცებული ცეცხლის განზრახ წაკიდების ფაქტი, რითაც ამოშენებულია მტკიცების ერთერთი ბურჯი. ამით მთავრდება სიტყვის პირველი ნაწილი.

სიტყვის მეორე ნაწილი პასუხობს კითხვაზე თუ ვის შეეძლო დაეწვა წისქვილი. პროფესორი სპასოვიჩის აზრით გარეშე პირს არ შეეძლო დაეწვა წისქვილი, რადგან მას დარაჯები იცავდნენ. შინაურებში კი საწარმოს დაწვით დაინტერესებული იყო ოვსიანიკოვი, რადგან წისქვილი მოგებას აღარ იძლეოდა. (შემოსავალი 80 ათასი მანეთი, გასავალი კი — 120 ათასი). სანარდო ხელშეკრულება ოვსიანიკოვისათვის იმდენად საზარალო იყო, რომ მას გაკოტრებას უქადდა.

ამის შემდეგ სპასოვიჩი გადადის ოვსიანიკოვის არაკეთილსინდისიერ და არა სავსებით სუფთა საფინანსო ოპერაციების ანალიზზე. რასაც იკვლევს შესანიშნავი მათემატიკური სიზუსტით და დაასკვნის:

„აშკარა, უდაო და უტყუარია, რომ ოვსიანიკოვს უზარმაზარი მატერიალური ინტერესი ჰქონდა წისქვილის მოსპობისა“...

ამით სპასოვიჩმა ააგო მტკიცების მეორე მეტად საიმედო საყრდენი, რითაც მთავრდება სიტყვის მეორე ნაწილი.

სახელოვანი ორატორი იშვიათი სიფრთხილით უდგება თავის აზრს, მსჯელობას, სიტყვას. ორატორი ამბობს:

„მან (ოვსიანიკოვმა ჯ. ბ.) წაუკიდა ცეცხლი წისქვილს? არა, ბატონებო, ასეთი დასკვნის გამოტანა ჯერ კიდევ არ შეიძლება მხოლოდ იქიდან, რომ ადამიანისათვის ხელსაყრელია რასიმე კეთება, ჯერ კიდევ არ შეიძლება დანამდვილე-

ბით იმის მტკიცება, რომ მან ეს გააკეთა.

ჩემი სიტყვის პირველ ნაწილში მე შევეცადე ამეგო ერთი საყრდენი, ცეცხლის წაკიდების ფაქტი. სიტყვის მეორე ნაწილში ვცდილობდი მეორე ასეთივე მაგარი საყრდენის აგებას—ოვსიანიკოვის დაინტერესებას იმაში, რომ წისქვილი მოსპობილიყო. ორივე ბურჯი აგებულია. მაგრამ იმისათვის რომ მდინარე გადავლახოთ, საჭიროა ავაგოთ ხიდი, რისთვისაც თაღის საშუალებით ერთი ბურჯი მეორეს უნდა დაუკავშიროთ-ო".

ოვსიანიკოვი კაპიტალისტია. მისი ძალა მილიონებშია. ეს მილიონები წარმოშობილია წვრილმანებისაგან, კაპიკებისაგან. მისი წარსული ცხოვრება ადასტურებს, რომ „თავისი მილიონიანი ოპერაციების დროს იგი არ შესწყვეტს კაპიკიან საქმიანობას". რაც იმას მოწმობს რომ ასეთი ადამიანი არ დაერიდება არავითარ ხრიკს, ბოროტმოქმედებას, თუ კი რამდენიმე ასეულ მანეთს, მით უმეტეს ათასებს მიიღებს. ამასთანავე, სპასოვიჩის აზრით, დიდი ხანია სასამართლო წარმოება გაშორდა იმ წესს, რომლის დროსაც ადამიანის მხილებისათვის ცეცხლის წაკიდებაში საჭირო იყო მისი დაჭერა მუგუზალით ხელში. ცეცხლის წაკიდება, რომ ოვსიანიკოვის ბოროტმოქმედებაა. ამას ამტკიცებს შემდეგი ფაქტები:

1. ხანძრის გაჩენამდე ორი დღით ადრე შეწყვეტილი იყო წისქვილის მუშაობა უმიზეზოდ. იმისათვის რომ ბოროტმოქმედების დროს წისქვილში არავინ ყოფილიყო. წინა წლებში, როცა წისქვილის გაჩერება უნდოდათ მანქანების კბილანებს ამტვრევდნენ. ამ შემთხვევაში დამშვიდებული ოვსიანიკოვი არ ცვლის, არ ამტვრევს ნაწილებს და აწვდის საინტენდანტოს ყალბ ცნობას ქვაბების დაზიანების შესახებ. დარწმუნებული იმაში, რომ სანამ შესამოწმებლად ვინმე მოვა, წისქვილი არ იარსებებს.

2. ლევთეევის ბრძანებით წყალს უშვებენ სახანძრო მილებიდან და აუზიდან.

2. წყალსატუმბავ მექანიზმებს ხსნიან ნაწილებს და ინახავენ. რაც ამ მანქანებს გამოუსადეგარად ხდის.

4. ხანძრის დაწყებამდე ოვსიანიკოვის ბრძანებით გააქვთ საწყობიდან პური.

5. იგივე ოვსიანიკოვი საინტენდანტოს ქვაბის მარაგს ჰყიდის ქერძო პირებზე.

6. ხანძრის შემდეგ ოვსიანიკოვი ზარალის გამოანგარიშების მაგივრად ეძებს ახალ მომგებიან სანარდო ხელშეკრულებას. ამრიგად ოვსიანიკოვი ყოველგვარ ღონეს ხმარობს, რომ „მიიღოს წისქვილის ცეცხლით მოსპობის ოქროს ნაყოფი"

პროფესორ სპასოვიჩის მიერ ნათლად ჩამოყალიბებულ დებულებებს არ შეეძლო არ დასთანხმებოდა სასამართლო და დამნაშავეებს მიეს საჯათ გადასახლება, ხოლო სადამწყვეტ საზრ. გადოებებს, „ვარშავას" და „ღუზას" მოეხსნათ სადაზღვევო პრემიის გადახდის პასუხისმგებ. ლობა. მიზანი მიღწეული იყო.

პროფესორ სპასოვიჩის სიტყვა ოვსიანიკოვის საქმეზე, რომელიც 36 გვერდს შეიცავს, საინტერესოა ჩვენთვის ორატორული ნიმუშის თვალსაზრისითაც. რკინის ლოგიკით აგებულ სიტყვაში ორატორი მხატვრულ მხარესაც არ ივიწყებს, ცოცხალი მხატვრული სახეებით მსჯელობს.

ხანძარს ცეცხლის ზღვად წარმოგვიდგენს, ოვსიანიკოვის დანაშაულს იმ დიდი მნათობების ელვარებას ადარებს, რომლებშიაც სრულიად ქრებიან პატარა მნათობები. როდესაც ორატორი თავის მიერ არაპირდაპირი მხილებით აგებულ მტკიცებაზე ლაპარაკობს, იგი მათ უწოდებს იმ ბურჯებს, რომლებიც თაღის მეშვეობით უკავშირებენ ერთმანეთს ცეცხლის წაკიდებას და ოვსიანიკოვს. სპასოვიჩს ოვსიანიკოვისა და კაკორევის და ლევთეევის დამოკიდებულება მრისხანე ღრუბლად აქვს წარმოდგენილი, ოვსიანიკოვის ქცევა კი მაჰმადის ქცევად, რომელთანაც მთა არ მივიდა და ამიტომ თვითონ წავიდა მთასთან. ოვსიანიკოვის მიერ ხანძრის შედეგად მოსალოდნელ მისაღებ თანხას, სპასოვიჩი „ცეცხლით მოსპობილ ოქროს ნაყოფს" უწოდებს.

მეცნიერი ვ. დ. სპასოვიჩი თავის სიტყვაში არ მორიდებია ცარიზმის სახელმწფოებრივი სისტემის კრიტიკას:

„ქვევიდანვე, კანცელარიის უკანასკნელი მოხელიდან დაწყებული,—ამბობს სპასოვიჩი,—გაშვერილია ხელები, რომლებიც გრძნობენ სიცარიელეს და რომლებსაც გავსება უნდა. ბოროტება ძალიან ღრმაა და მისი ფესვები ისტორიაშია გადგმული". მეფის სასამართლოს უსამართლობის შესახებ სპასოვიჩი ამბობს— მეტისმეტად მცირეა პროცენტი იმ უსამართლო გადაწყვეტილებებისა, რომლებსაც სენატი აუქმებს. პროფესორის აზრით „წყლულები ღრღნიან ცარიზმის მთელ სისტემას".

ვ. დ. სპასოვიჩზე შეიძლება ითქვას მისივე სიტყვები:

„ის მოქმედებდა საზოგადოებრივი სისტემის სახელით, ტანჯული ჯარისკაცების სახელით. გაბედულად გამოამეღვანა მან ის წყლულები, რომლებიც ღრღნიან ადმინისტრაციას და ადმინისტრაციის უძლურება ბოროტებასთან ბრძოლის საქმეში". (გვ. 20):

ასეთია პროფესორ ვ. დ. სპასოვიჩის სიტყვა ოვსიანიკოვის საქმეზე. სიტყვა რომელიც ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ იბრძოდა ივი და უნდა იბრძოდეს მოწინავე ადამიანები იმ მაღალი იდეისათვის, რომელსაც სამართლიანობა ჰქვია.

ჯ. ბაძრაძე

# ინფორმაციული

## ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე

ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრამ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის, მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის სამართლის განყოფილების, რესპუბლიკის ადვოკატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით ღია სხდომაზე განიხილა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების პროექტები.

შესავალ სიტყვაში სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ დოც. ს. ჯორბენაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფუძვლების პროექტების შემუშავება წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა კანონმდებლობის განვითარების ისტორიაში. მათი გამოქვეყნება საყოველთაო-სახალხო განხილვის მიზნით წარმოადგენს იმ დიდი სამუშაოს კიდევ ერთ დადასტურებას, რაც ხორციელდება საბჭოთა სახელმწიფოში სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების მიზნით.

სიტყვა მიეცა კათედრის დოცენტს ი. მრევლიშვილს, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება შეაჩერა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე, მიუთითა მის მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებებზე. პროექტი, მისი აზრით, არ არის სოციალისტური საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურის იურიდიული გამოხატულება. იგი წარმოადგენს მოძველებული აქტების დოგმატურ შესწორებებს, მასში სრულად არ სჩანს საზოგადოებისადმი სახელმწიფო მმართველობის საკითხი. პროექტში მოცემულია მეტად შეკვეცილი დებულებები, რომელთა გამოყენებისას საჭიროა დამატებით მივმართოთ უამრავ ნორმატულ აქტს, რაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამით კი დარღვეულია პარტიის დირექტივა კანონმდებლობის სტაბილობის შესახებ. გარდა ამისა, პროექტი არ ასახავს მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მმართველობის გარდაქმნის შედეგებს.

თავისი სიტყვის ბოლოს დოც. მრევლიშვილმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პროექტს საფუძვლად უდევს რომის სამართლის სისტემა, რითაც სოციალისტური ურთიერთობები ხელოვნურად შეჩრილია უცხო ფორმაციის ზედნაშენში.

თავისი გამოსვლის პირველ ნაწილში დოცენტი ე. ნეიძე შეეხო იმ კრიტიკულ მოსაზრებებს, რომლებიც გამოთქმული იყო სპეციალურ ლიტერატურაში საფუძვლების გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ. კერძოდ, იგი არ დაეთანხმა დოც. ს. ნ. აბრამოვს, რომელიც მოითხოვს გამოთქმიდან „საქმის წინასწარ მომზადება“ სიტყვა წინასწარის — ამოგდებას იმ მოტივით, რომ საქმის სხვა მომზადება არ არსებობს. სასამართლო პროცესის ამ სტადიის კონკრეტული ანალიზის შედეგად ე. ნეიძე დამაჯერებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გამოთქმა „საქმის წინასწარი მომზადება“, უცვლელად უნდა დარჩეს საფუძვლებში.

პროექტში არ არის გათვალისწინებული კანონით დადგენილი ყველა პროცესუალური ვადა, მაშინ, როდესაც ამ საკითხის უნიფიკაცია საკავშირო აქტში ნაკარნახევია მოკავშირე რესპუბლიკათა მოქმედ კანონმდებლობაში არაფრით გამართლებული პროცესუალური ვადების სხვადასხვაობით. დოც. ე. ნეიძემ წამოაყენა კონკრეტული წინადადება სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების 7 დღიანი საკასაციო ვადისა, ხოლო შრომის საქმეებზე კი 5 დღიანი ვადის დაწესების შესახებ.

პროექტში სრულად არ არის ასახული სანქციების საკითხი სამოქალაქო პროცესის მონაწილეთა (მხარეები, ექსპერტები, მოწმეები) მიმართ, რომლებიც საპატიო მიზეზთა გარეშე არღვევენ პროცესუალურ მოვალეობებს. ეს საკითხიც მოითხოვს ერთგვაროვან რეგლამენტაციას საფუძვლების სპეციალურ თავში.

საფუძვლებში ვერ ვპოულობთ თავს სასამართლოების მიერ სამოქალაქო — შრომის საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეების განხილვის წესის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესიდან.

საფუძვლებში ასევე გამოტოვებულია სათანადო დებულებები ამხანაგური სასამართლოების, სახელმწიფო არბიტრაჟისა და ნოტარიატის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე თ. ცაგურია შეეხო საფუძვლების ორივე პროექტს. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მიმდინარე პროექტები პირვანდელ პროექტებთან შედარებით უფრო სრულყოფილია. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში მოქალაქის გარდაცვალებულად აღიარების პროცესი ორ სტადიათ არის წარმოდგენილი. მას წინ უსწრებს პირის უგზო-უკვლოდ აღიარება. წინა პროექტი კი ლაპარაკობს მხოლოდ პირის გარდაცვალებაზე. იგივე უნდა ითქვას პროექტის 81 მუხლზეც, რომლის ძალითაც საავტორო უფლების მემკვიდრეებად გამოდიან არა მარტო სამკვიდროს დამტოვებლის მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები, როგორც ეს წარმოდგენილი იყო პროექტის პირველ რედაქციაში, არამედ მისი სრულწლოვანი შვილებიც.

პროექტის 54 მუხლი კატეგორიულად უარყოფს ადმინისტრაციული წესით მოქალაქეთა გამოსახლებას, მაგრამ ამ წესის გავრცელება ყველა შემთხვევებზე როდია მიზანშეწონილი და შესაძლებელი, იგი დაკავშირებულია მთელ რიგ საკანონმდებლო ცვლილებებთან.

ამხ. თ. ცაგურია შეეხება 50 მუხლის იმ ნაწილს, რომელიც ბინის ქირის ოდენობის განსაზღვრას მიაკუთვნებს საკავშირო კანონმდებლობას.

თავისი სიტყვის ბოლო ნაწილში მან მხარი დაუჭირა ამხ. ე. ნეიძის აზრს საპროცესო ვადების უნიფიკაციის და ერთიანი საკავშირო ნორმატულ აქტში მისი გათვალისწინების შესახებ.

— პროექტის განსაკუთრებულ ღირსებად,— აღნიშნა თავის სიტყვაში ა. ხოჭოლავამ, — უდაოდ უნდა მივიჩნიოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობის სფეროში კომპეტენციის მკვეთრად გამიჯვნა, სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის სამოქალაქო ურთიერთობათა რეგულირების პრინციპების გათვალისწინება, სამოქალაქო უფლებათა დაცვის პრინციპის დაკანონება მისი მიზანშეწონილობისაგან დამოუკიდებლად და სხვა.

ამასთანავე, ამხ. ხოჭოლავას აზრით, პროექტის ზოგიერთი ნორმა მოითხოვს სრულყოფას.

ასე, მაგალითად მცდარია პროექტის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფო პასუხისგებას იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ვალდებულებებისათვის, რომლებიც იურიდიულ პირებს წარმოადგენენ და პირუკუ, ეს უკანასკნელნი არ აგებენ პასუხს სახელმწიფოს ვალდებულებებისათვის. ამ ნაწილის საწინააღმდეგო ერთ-ერთ მოსაზრებად მოყვანილი იყო ის, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი ასეთი იურიდიული პირებისათვის შეიძლება წამოყენებული იქნას მხოლოდ ვალაუვალობით იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში (მაგ, დროებითი საფინანსო გართულება) პასუხს აგებს თვით იურიდიული პირი ან მისი უფლების მონაცვლე. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ უფლებისშონაცვლე პასუხს აგებს ლიკვიდირებული საწარმოს დავალიანების მთელი ოდენობისათვის იმ შემთხვევაშიც, უკეთუ მის მიერ მიღებული აქტივი მთლიანად ვერ ფარავს კრედიტორულ მოთხოვნას. გარდა ამისა, ჩვენს სინამდვილეში ადგილი არა აქვს იურიდიული პირის ლიკვიდაციას ქონების ლიკვიდაციასთან ერთად. პროექტის 20 მუხლის თანახმად იმ სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითადი საშუალებები, რომლებიც უნდა იქნან ლიკვიდირებული, გადაეცეშათ მეორე სახელმწიფო ორგანიზაციას უსასყიდლოდ. ამ მიზეზითვე არ შეიძლება მოხდეს იურიდიული პირის ლიკვიდაცია ვალაუვალობით.

ამხ. ხოჭოლავამ ზედმეტად მიიჩნია საფუძვლების მე-14 მუხლის მითითება იმაზე, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც „აშკარა საზიანოა“ სახელმწიფოსათვის წარმოადგენს ბათილს, რამდენადაც გაუგებარია რას გულისხმობს კანონმდებელი ამ გარიგების ქვეშ მაშინ, როდესაც გარიგება არ ეწინააღმდეგება კანონს. აღნიშნული მუხლის დატოვება შეიძლება იმ შემთხვევაში თუ იგი გარიგების ბათილობის ჯირობად მიიჩნევს სახელმწიფოსადმი ზიანის მიყენებისას მხარეთა შეგნებულ მოქმედებას.

— მესამე თავს, — განაგრძობს ორატორი,— უნდა ეწოდოს „სანივთო სამართალი“ და არა „საკუთრების უფლება“, როგორც ეს პროექტშია მოცემული; „საკუთრების უფლება“ დატოვებული უნდა იქნას „სანივთო სამართალში“. სამოქალაქო სამართლის ძირითადი განყოფილებებია სანივთო და ვალდებულებითი სამართალი. ამასთანავე ვალდებულებით სამართალს უპირისპირდება არა საკუთრების უფლება, არამედ სანივთო სამართალი.

პროექტის 28 მუხლი ითვალისწინებს იმ პირისაგან ქონების ვინდიკაციის შეუზღუდველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებლობას, რომელმაც იგი უსასყიდლოდ მიიღო. ვინდიკაციის გამოყენება იძასთან დაკავშირებით სასყიდლიო თუ უსასყიდლოდ გადავიდა ხივთი მის მფლობელზე, სამოქალაქო ურთიერთობებში შეიტანს აოეკ-დარეკას. მოქმედი კანონმდებლობით ნიკთის მფლობელი დაცულია იმისდა მიხედვით, წარმოადგენს იგი კეთილსინდისიერსა თუ არაკეთილსინდისიერ შემძენს. როგორც გამონაკლისი, მესაკუთრეს აქვს ვინდიკაციის უფლება კეთილსინდისიერი შემძენიდანაც იმ შემთხვევაში, თუ ხივთი გავიდა შესაკუთრის ხელიდან მისი ნების გარეშე.

26 მუხლში მოცემული განსხვავება თანაზიარი და წილეული საკუთრების შესახებ, ერთადერთი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ არსებობს. აღნიშნულ მუხლში მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს აგრეთვე მფლობელი და არამფლობელი (იდეალური) თანამესაკუთრეთა ცნებები, როდესაც საკითხი ეხება საერთო საკუთრებას ნაგებობაზე.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩიკვაშვილი პროექტის დადებითი შეფასების შემდეგ შეჩერდა მის ნაკლოვან მხარეებზე.

საფუძვლები, — მისი აზრით, — სახელშეკრულებო ურთიერთობის ძირითად ფორმად ძიწოდების დარგში უნდა ადგენდეს პირდაპირ ხელშეკრულებას, რაც დადებულია უშუალოდ დამამზადებელ და მომხმარებელ ან სავაჭრო ორგანიზაციებს შორის.

არაფრით არ არის გამართლებული ის გარეშოება, რომ პროექტში გვერდი აქვს ავლილი საკითხს მოუვლელი ქონების შესახებ, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა ამ საკითხის ერთგვაროვან გადაწყვეტას.

დაზუსტებას მოითხოვს პროექტის 49 მუხლი, რომელიც აწესებს ბინის დამქირავებელსა და მასთან თანამცხოვრები ოჯახის წევრთა თანასწორ უფლებებსა და მოვალეობებს, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობა არ განსაზღვრავს თუ ვინ ჩაითვლება დამქირავებლის ოჯახის წევრად. ამ საკითხზე არც სასამართლო პრაქტიკა იძლევა გარკვეულ პასუხს. ასეთი გაუსაზღვრელობის თავიდან აცილების მიზნით, საფუძვლებში მოცემული უნდა იყოს ოჯახის წევრის ცნების ზოგადი ნიშნები, რომელიც შემდგომ ნაციონალური თავისებურებების გათვალისწინებით დეტალიზებული იქნებიან მოკავშირე რესპუბლიკათა სამოქალაქო კოდექსებში.

შემდეგ შ. ჩიკვაშვილი შეეხო საკითხს მემკვიდრეობის გახსნის დროის შესახებ, აღნიშნა, რომ პროექტში არაფერია ნათქვამი ამის შესახებ, რის გამოც საფუძვლების 97 მუხლის მეორე ნაწილში დადგენილი უნდა იქნას ზოგადი წესი, რომლის თანახმადაც მემკვიდრეობის გახსნის დროდ მიჩნეულ იქნება სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალება ან მისი გარდაცვალებულად აღიარება.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლ. ჯომარჯიძე არ დაეთანხმა ამხ. ხოჭოლავას მიერ მე-3 მუხლის შეფასებას და აღნიშნა, რომ პროექტში არადამაკმაყოფილებლად არის გადაწყვეტილი საკითხი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობაში. პროექტის მე-3 მუხლში მოცემულია ამ საკითხის ზოგადად გადაწყვეტის ცდა. ამასთანავე პროექტის ცალკეული მუხლები შეიცავენ დამატებით მითითებებს კონკრეტულ საკითხებზე, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობით დადგენას ექვემდებარებიან (მუხ. 8 , 10, 14, 23, 24, 94 და სხვა). პროექტის სხვა მუხლებში ასეთი მითითებები არ არის, თუმცა მათი შინაარსიდან ცხადია, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებმა უნდა განავითარონ და დააკონკრეტონ ესა თუ ის საკითხები (მუხ. 15; თავები 2, 4, 6 და სხ) თვით საკითხთა წრე,რომელიც ექვემდებარება რესპუბლიკური კანონმდებლობით გადაწყვეტას (იმ შემთხვევებში, როდესაც ამის შესახებ პირდაპირაა მითითებული მუხლებში) არ არის ამომწურავი.

ამ საფუძველზე მიზანშეწონილად წარმოგვიდგება საკითხი კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ გამოტანილ იქნას ფრჩხილებს გარეთ და გადაწყდეს ზოგადი სახით პროექტის მუხ. 3, უკანასკნელის რედაქციის სათანადოდ შეცვლის შედეგად.

პროექტის 21 მუხლი ჩამოთვლის კოოპერატიულ ორგანიზაციების ქონებათა სახეებს, რომლებზედაც არ შეიძლება მიქცეული იყოს გადახდევინება კრედიტორთა პრეტენზიებით. ამ წესის გავრცელება ბინათმშენებლობის კოოპერაციაზე როდია მიზანშეწონილი, თუ მხედველობაში მივიღებთ კოოპერაციის ამ სახის როლსა და მნიშვნელობას კოოპერაციის სხვა სახეებთან (კოლმეურნეობები, სამომხმარებლო კოოპერაცია) შედარებით.

პროექტის წინა ვარიანტთან შედარებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს პროექტში სამოქალაქო უფლებათა დაცვის შესახებ ცალკე მუხლის (5) გათვალისწინება, ამასთანავე პროექტში ცალკე უნდა იქნას წარმოდგენილი მუხლი უფლებათა ბოროტად გამოყენების შესახებ. იმ შემთხვევაში, როდესაც სამოქალაქო უფლებები ხორციელდება სოციალისტურ სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიგადოებაში მათი დანიშნულების საწინააღმ-დეგოდ, ისინი არ უნდა იყვნენ დაცული კა-ნონით.

საქართველოს სსრ პროკურატურის სამო-ქალაქო საქმეთა ზედამხედველობის განყო-ფილების პროკურორმა გ. ცირამუამ თა-ვისი გამოსვლა მიუძღვნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასა-მართლო წარმოების საფუძვლების პროექტს.

— პროექტის 41 მუხ. მეორე ნაწილით, — ამბობს გ. ცირამუა, — მეორე ინსტანციის სა-სამართლოსათვის მინიჭებული უფლება შრო-მის საქმეებზე უნდა გავრცელდეს ყველა სხვა კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე.

პროექტის 41 და 44 მუხლებს შორის წინა-აღმდეგობაა, ვინაიდან 44 მუხ. „ა“ პუნქტი ითვალისწინებს სარჩელის განუხილველად და-ტოვების შემთხვევას, რაც არ არის გათვალის-წინებული 41 მუხლით.

პროექტის 42 მუხლი არ ითვალისწინებს საქმის ახლადაღმოჩენილი გარემოების გამო გადასინჯვის ვადით შეზღუდვას, ამიტომ (და არამარტო ამიტომ) 43 მუხლიც არ უნდა ით-ვალისწინებდეს 3 წლიან ვადას.

პროექტში ორი ტერმინია — 1. „საქმის გარჩევა“ (მესამე თავის სათაური) და „საქმის განხილვა“ (მუხ. 40). უკეთესია მეორე ტერმი-ნი. ქართულად უნდა ვიხმაროთ გამოთქმა „საქ-მის განხილვა“ და არა „საქმის გარჩევა“.

ნ. ლორთქიფანიძემ ილაპარაკა სსრ კავშირი-სა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების პროექტის დადებით მხარეებზე, ხაზი გაუსვა მის დემოკ-რატიულ ბუნებას. ამასთანავე გამოთქვა რიგი შენიშვნები პროექტის ცალკეული მუხლების შესახებ. კერძოდ, მისი აზრით, — პროექტის 18 მუხლი, მხარეთა უფლება-მოვალეობების ჩამოთვლამდე უნდა ადგენდეს თვით მხარის ცნებას; მხარის უფლება-მოვალეობაზე მითი-ბა ვერ განსაზღვრავს მის პროცესუალურ ფი-ზიონომიას, რადგან ზუსტად იგივე პროცესუა-ლური უფლებები და მოვალეობები აქვთ მე-სამე პირებსაც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. პროექტის 22 მუხლში ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ წარმომადგენელი უნდა მოქმედებდეს რწუნების ფარგლებში, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა დისპოზიტიურობის საწყისის დარღვევას.

სარჩელის ინსტიტუტი პროექტში გადმოცე-მულია არასრულად, მკრთალად, იგი არ არის სისტემატიზირებული. მართალია 18 მუხლი მხარეს უფლებას აძლევს შესცვალოს სარჩე-ლის საფუძველი ან საგანი, უარი სთქვას სარჩელზე და ა. შ. მაგრამ პროექტი არ განსაზღვრავს ასეთი განკარგვის მომენტს თუ პროცესის რა სტადიაში შეიძლება ქონდეს მას ადგილი. მითუმეტეს, მოკავშირე რესპუბ-ლიკათა კანონმდებლობა ამ საკითხზე ერთიან გადაწყვეტას არ იძლევა.

პროექტის 27 მუხლში ლაპარაკია სარჩელის უზრუნველყოფაზე, რომელიც დაიშვება თუ სარჩელი საკმაოდ დასაბუთებულია. მაგრამ სა-კითხი იმის შესახებ, დასაბუთებულია თუ არა სარჩელი, წყდება თვით პროცესში საქმის გან-ხილვისას. პროექტში საკითხის ასეთი დაყენება უნდა ნიშნავდეს სარჩელის შესახებ კონკრეტუ-ლი უფლებრივი თეორის (პოპოვი, ვახი, ლანგე-ინეკენი) აღდგენის ცდას. მაშასადამე, პროექტში ლაპარაკი უნდა იყოს არა სარჩელის დასაბუთე-ბულობაზე, არამედ მხარის მიერ იმის დასაბუ-თებულობაზე, რომ სადაო ნივთი მისმა მფლო-ბელმა შეიძლება გაასხვისოს, გააფუჭოს, გა-დამალოს და ა. შ.

თავი დამამტკიცებელი საბუთების შესახებ მეტად უფერულია. 29 მუხლი მოითხოვს და-ზუსტებას, რადგან ბუნდოვანია რას გულისხ-მობს პროექტის ეს მუხლი — დამამტკიცებელ ფაქტებსა თუ დამამტკიცებელ საშუალებებს.

საფუძვლების პროექტების განხილვის შედე-გები შეაჯამა დოც. ს. ჯორბენაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ პროექტების განხილვა ატარებდა პრინციპულ ხასიათს, იყო ნაყოფიე-რი და საინტერესო და რომ იგი დადებით როლს შეასრულებს სსრ კავშირისა და მოკავ-შირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებ-ლობისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რეს-პუბლიკების სამოქალაქო სამართალწარმოების საფუძვლების შემდგომ სრულყოფაში და ასე-ვე თეორიისა და პრაქტიკის კავშირის განმტ-კიცების საქმეში.

ნ. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იურიდიული ცოდნა მასებს

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დიდ ყურადღებას უთმობს მოსახლეობაში იურიდიული ცოდნის პროპაგანდას. მიმდინარე წლის 9 თვეში საზოგადოებამ სამართლებრივ თემებზე მოაწყო ორი ათასამდე ლექცია, გამოსცა სამი ბროშურა.

საზოგადოების რესპუბლიკურ გამგეობასთან შექმნილია ეკონომიკისა და სამართლის ცოდნის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდური საბჭო (თავმჯდომარე პროფ. პ. გუგუშვილი, მოადგილე დოც. გ. ინწკირველი), რომლის შემადგენლობაში, გარდა ეკონომისტებისა, არიან სასამართლო-პროკურატურის ხელმძღვანელი მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლებისა და ინსტიტუტების მეცნიერ-მუშაკები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ზეპირ და ბეჭდვით პროპაგანდაში. საბჭო მეთოდურ დახმარებას უწევს საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ საკითხებზე ლექციური პროპაგანდის უკეთ მოწყობაში, ადგილებზე ლექციების წასაკითხავად გზავნის კვალიფიციურ ლექტორებს.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა დოც. ბ. ფურცხვანიძემ ამ დღეებში ქ. გორში წაიკითხა ლექცია, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური წესრიგის განმტკიცების საქმეში საზოგადოებრიობის როლს; დოც. ნ. ლომსაძემ ბორჯომის რაიონის კოლმეურნეობებში წაიკითხა ლექციები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, ხოლო გორის რაიონის კოლმეურნეობებში — სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ. დოც. გ. ერემოვი კასპის რაიონის მშრომელთა წინაშე გამოვიდა ლექციებით თემაზე „საბჭოთა საზოგადოებრიობის როლი სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში".

„ადგილობრივი საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე" — ასეთი იყო ლექციების თემა, რომელიც ვ. სიხარულიძემ წაიკითხა მახარაძის რაიონში. ქორწინებისა და ოჯახის საკითხებს მიეძღვნა ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ბანძელაძისა და ი. ფილფანის ლექციები, რომლებიც მათ წაიკითხეს ჭიათურაში, ზესტაფონში, მესტიაში, ბორჯომში.

საზოგადოების წევრმა, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორმა შ. ჭანტურიამ ყვარლის, თელავის, ხაშურის და ახმეტის რაიონებში მოაწყო კითხვა-პასუხის საღამოები საბჭოთა კანონმდებლობის საკითხებზე, აგრეთვე წაიკითხა ლექციები თემაზე „სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ". მანვე ლექციები წაიკითხა ბოლნისის რაიონში, ამასთან, პრაქტიკული დახმარება გაუწია საზოგადოების რაიონულ განყოფილებას, აქ ჩამოყალიბდა სახელმწიფოსა და სამართლის სექცია, რომელსაც რაიონის პროკურორი ხელმძღვანელობს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის მასალების ფართო პროპაგანდისათვის. ქ. თბილისში ჩატარდა სესიის მასალებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლი. ლექციები წაიკითხეს რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, გამოჩენილმა მეცნიერებმა.

მშრომელთა შორის ფართო პოპულარობით სარგებლობს პროპაგანდის ისეთი ფორმები, როგორიცაა თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები.

თბილისში, გორკის სახელობის კულტურის სახლში გაიმართა თემატური საღამო თემაზე: „საბჭოთა საზოგადოებრიობის როლი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში". საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების სახელმწიფოსა და სამართლის სექციის ბიუროს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. ფარეულაძემ. მოხსენებით გამოვიდნენ ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე ვ. ხმალაძე და მილიციის პოდპოლკოვნიკი ქ. გოლგაძე.

თემატურ საღამოზე ყურადღება გამახვილებულ იქნა ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სასამართლო, პროკურატურისა და მილიციის ორგანოებთან საზოგადოებრიობის კავშირის გაძლიერებაზე. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი ზემოქმედების დიდი ძალა ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული იმათ წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ფლანგავენ და იტაცებენ სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალისტურ საკუთრებას, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებას, არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

საინტერესოდ ჩატარდა თემატური საღამო აგრეთვე სარეწაო კოოპერაციის სახლში, რომელიც მიეძღვნა შრომის კანონმდებლობის საკითხებს. საღამოს 300-მდე კაცი დაესწრო.

შრომის კანონმდებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე კითხვა-პასუხის საღამო მოეწყო ქ. ქუთაისში. მშრომელთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს პასუხი გასცეს ქ. ქუთაისის პროკურორმა ა. ულენტმა, პროკურორის თანაშემწემ ბ. ჩეჩელაშვილმა, სახალხო მოსამართლეებმა ა. იობიძემ, ბ. სტურუამ, იურისტებმა გ. ირემაძემ, ა. წერეთელმა და სხვ. მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე ჩატარდა სამეცნიერო თეორიული კონფერენცია ქ. გორში თემაზე „პარტია, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში", კონფერენციაზე წაკითხულ იქნა ხუთი მოხსენება.

თანამედროვე ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა საზოგადოებრიობის როლის ამაღლებას დანაშაულობასთან ბრძოლაში. სწორედ ამ თემას მიეძღვნა საქართველოს სსრ პროკურორის მ. თოფურიძის ბროშურა „საზოგადოებრიობის როლი დანაშაულობასთან ბრძოლაში", რომელიც ახლახან გამოიცა.

იმისათვის, რომ ამაღლდეს ლექციური პროპაგანდის ხარისხი და იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს მშრომელთა პარტიკულ ცხოვრებას, ხორციელდება დიდი ღონისძიებანი ლექტორთა მეთოდური დახელოვნებისათვის. საზოგადოების წევრ-ლექტორთა რესპუბლიკური და ზონალური თათბირ-სემინარების მონაწილეთათვის მოეწყო ლექციები: „სკკპ XX ყრილობა და სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი განვითარება", „სკკპ XXI ყრილობა და საბჭოთა კანონიერების შემდგომი განმტკიცება" და სხვ.

ლექტორთა დასახმარებლად სისტემატურად წარმოებს ლექციების ტექსტების რეცენზირება, იცემა მეთოდური მასალები და ა. შ.

საზოგადოების გამგეობის ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე გ. ბიწაძე, დოც. გ. ინწკირველი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მ. ლომიძე, პროფესორი თ. წერეთელი, იურისტი ს.ბელიავსკაია, დოცენტები ს. ჯორბენაძე, გ. ნეიძე და სხვ.

მიუხედავად ამისა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქმიანობა მოსახლეობაში იურიდიული ცოდნის პროპაგანდის მხრივ ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ სახამართლოსა და პროკურატურის, აგრეთვე იურიდიული დარგის ყველა მეცნიერი მუშაკი აქტიურ მონაწილეობას არ იღებს საზოგადოების ლექციურ პროპაგანდაში. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში მცირე რაოდენობით იკითხება ლექციები, განსაკუთრებით სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, ბევრი ლექცია მოწყვეტილია ცხოვრებას და სხვ.

პარტიამ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუსახა საპატიო ამოცანა— შეიტანოს ცოდნა მასებში, მიაღწიოს ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში ,კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებზე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან თვეში 1-2 ლექციის წაკითხვას მაინც. ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდა მჭიდროდ დაუკავშიროს კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანას.

მასებში ცოდნის შეტანის ამ კეთილშობილურ საქმეში აუცილებელია თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული დარგის მუშაკებმა.

შ. ნოზაძე

---

საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომმა და კულტურის ცენტრალური სახლის გამგეობამ პროკურატურის მუშაკთა მონაწილეობით ამ დღეებში მოაწყეს თემატური საღამო ახალგაზრდობისათვის, რომელსაც დაესწრო 230 კაცი.

მოხსენებით თემაზე — „საზოგადოებრიობის ზემოქმედების ძალა დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლაში" — გამოვიდნენ ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე, იუსტიციის უფროსი მრჩეველი ვ. ხმალაძე და კიროვის სახ. რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი ი. ჩადუნელი.

შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი.

# ადგილობრივ კონსულტაციათა მოსახლეობას

## შრომის საკითხებზე

**1. რა წესით ხდება იმ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა, რომლის დათხოვნას მოითხოვს ამხანაგური სასამართლო?**

საბჭოთა შრომის კანონმდებლობის თანახმად სამუშაოდან მუშაკის დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლი). ამხანაგურ სასამართლოს უფლება აქვს ადმინისტრაციის წინაშე დასვას საკითხი მუშაკის დათხოვნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაცია ვალდებულია მუშაკის დათხოვნა შეუთანხმოს პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს და დათხოვნის ბრძანება გაფორმოს კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით, მიუთითოს კანონის სათანადო მუხლსა და პუნქტზე.

ამხანაგური სასამართლოს გადაწყვეტილებით დათხოვნილ მუშაკს უფლება აქვს საერთო საფუძველზე მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სამუშაოზე აღდგენა.

**2. რა დროის განმავლობაში და რა წესით შეიძლება მუშაკისათვის დისციპლინარული სასჯელის დადება?**

შრომის ტიპობრივი შინაგანაწესის 25-ე მუხლის შესაბამისად ადმინისტრაცია დისციპლინარულ სასჯელს დაადებს მუშაკს შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლინებისთანავე. ადმინისტრაციას უფლება არ აქვს დისციპლინარული სასჯელი დაადოს მუშაკს შრომის დისციპლინის დარღვევის გამოვლინების დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ან დარღვევის ჩადენის დღიდან ექვსი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

დისციპლინარული სასჯელის დადებამდე მუშაკს უნდა მოეთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება. სასჯელის დადება გამოცხადდება ბრძანებით ან განკარგულებით და ეცნობება მუშაკს ხელწერილის ქვეშ.

თუ სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მუშაკს არ დაედება ახალი დისციპლინარული სასჯელი, იგი ჩაითვლება ისეთ პირად, რომელსაც ასეთი სასჯელი არ ჰქონია დადებული. ამასთან, ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც მუშაკს არ დაუშვია შრომის დისციპლინის ახალი დარღვევა და აგრეთვე თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა, ადმინისტრაციას შეუძლია მოუხსნას დადებული დისციპლინარული სასჯელი ისე, რომ არ დაელოდოს ერთი წლის ვადის გასვლას.

**3. რა ხანგრძლიობით ეძლევათ დამატებითი შვებულება სტენოგრაფისტს და მანქანაზე მბეჭდავს (მემანქანეს)?**

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სტენოგრაფისტს, რომელიც სისტემატურად აწარმოებს ჩაწერას, წელიწადში დამატებითი შვებულება ეძლევა თორმეტი სამუშაო დღის ხანგრძლიობით; ხოლო მანქანაზე მბეჭდავს (მემანქანეს), რომელიც მუდმივად მუშაობს საწერ მანქანაზე — ექვსი სამუშაო დღის ხანგრძლიობით (სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 12 ივნისის დადგენილება).

**4. სარგებლობენ თუ არა საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და საღამოს და დაუსწრებელი საშუალო სპეციალური სასწავლებელთა მოსწავლეები დამატებითი შვებულების მიღების უფლებით?**

საღამოს და დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელი საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა (ფაკულტეტთა, განყოფილებათა) მოსწავლეებისათვის 1959-1960 სასწავლო წლიდან დაწესებულია დამატებითი შვებულება ხელფასის შენარჩუნებით:

ა) ლაბორატორულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის საღამოს უმაღლესი სასწავლებლების პირველი და მეორე კურსის მოსწავლეებს ყოველწლიურად დამატებით ეძლევათ შვებულება 20 კალენდარული დღე, საღამოს საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს—10 კალენდარული დღე და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 30 კალენდარული დღე.

ბ) ლაბორატორულ სამუშაოთა შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარების პერიოდისათვის საღამოს უმაღლესი სასწავლებლების მესამე და შემდგომი კურსის მოსწავლეებს ყოველწლიურად ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღე, საღამოს საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 20 კალენდარული დღე, დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 40 კალენდარული დღე.

გ) საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების პერიოდში ეძლევათ შვებულება 30 კალენდარული დღე.

დ) სადიპლომო პროექტის (ნაშრომის) მომზადებისა და დაცვის პერიოდში საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს ეძლევათ შვებულება 4 თვე და საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — 2 თვე.

შვებულების პერიოდში უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებს ხელფასი ენახებათ შვებულების წინ უკანასკნელი თორმეტი თვის საშუალო თვიური შრომის ხელფასის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1000 მანეთისა თვეში, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს — არა უმეტესი 800 მანეთისა თვეში.

საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებისათვის, აგრეთვე საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებისათვის ათი სასწავლო თვის განმავლობაში სადიპლომო პროექტის (ნაშრომის) შესრულების დაწყების წინ, ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების წინ დაწესებულია ყოველ კვირაში ერთი თავისუფალი დღე მეცადინეობისათვის და იგი ანაზღაურდება ხელფასის 50 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არა უმცირეს მინიმალურისა.

ამას გარდა, საწარმოსა და დაწესებულების ხელმძღვანელს ნება ეძლევა აღნიშნულ პერიოდში სტუდენტებსა და მოსწავლეებს, მათი თხოვნით, მისცეს კვირაში ერთი ან ორი თავისუფალი დღე ხელფასის შეუნარჩუნებლად.

დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეებს, სასწავლებლის ადგილზე წასვლა და უკან დაბრუნება ლაბორატორული სამუშაოების შესრულების, ჩათვლებისა და გამოცდების ჩაბარებისათვის წელიწადში ერთხელ, აგრეთვე სადიპლომო პროექტების (ნაშრომების) მომზადებისა და დაცვისათვის ან სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისათვის აუნაზღაურდებათ მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ოდენობით საწარმოთა და დაწესებულებათა ხარჯზე, მათი მუშაობის ადგილზე.

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, სათანადო სასწავლებლების შუამდგომლობის საფუძველზე, შეუძლიათ საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა უკანასკნელი კურსის მოსწავლეებს მისცენ დამატებით ერთი თვის შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად იმისათვის, რომ მოსწავლეები უშუალოდ წარმოებაში გაეცნონ მუშაობას არჩეულ სპეციალობაში და მოამზადონ სათანადო მასალები სადიპლომო პროექტისათვის. აღნიშნული შვებულების პერიოდში სტუდენტებსა და მოსწავლეებს მიეცემათ სტიპენდია საერთო საფუძველზე.

საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ნება ეძლევათ მისცენ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დაშვებული არიან საღამოს და დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე, დამატებითი შვებულება ხელფასის შეუნარჩუნებლად 15 კალენდარული დღის ხანგრძლიობით, ხოლო საღამოს და დაუსწრებელ საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შემსვლელებს 10 კალენდარული დღის ხანგრძლიობით, სასწავლებლის ადგილზე წასვლის და უკან დაბრუნების დროის ჩაუთვლელად (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 720 დადგენილება).

## საბინაო საკითხებზე

### 1. შეიძლება თუ არა თვითნებურად აგებული სახლის გასხვისება?

თვითნებურად და უპროექტოდ აგებული სახლის გასხვისება არ შეიძლება. ამასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის №395 დადგენილების მე-10 პუნქტის თანახმად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს უფლება აქვს ამ დადგენილების გამოცემამდე თვითნებურად აგებული კაპიტალური შენობა კანონით დადგენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით გაუფორმოს მენაშენეს, თუ შენობა აკმაყოფილებს ქალაქის მშენებლობის მოთხოვნებს. ასეთი წესით გაფორმებული შენობა შეიძლება გასხვისებული იქნეს საერთო საფუძველზე.

**2. შეუძლია თუ არა სასამართლოს განიხილოს საქმე თვითნებურად აგებულ საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ?**

სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს საქმე თვითნებურად აგებულ საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ. თვითნებურად აგებული საცხოვრებელი სახლის აღების, ან მენაშენესათვის მისი გაფორმების საკითხს წყვეტს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონის) საბჭოს აღმასკომი ადმინისტრაციული წესით.

**3. მოქალაქეს, რომელსაც აქვს პირად საკუთრებაში საცხოვრებელი სახლი, შეუძლია თუ არა იყიდოს ან ააგოს მეორე საცხოვრებელი სახლი?**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულების — „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვასა და მშენებლობაზე მოქალაქეთა უფლების შესახებ“ — თანახმად სსრ კავშირის თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს იყიდოს ან ააგოს თავისთვის პირადი საკუთრების უფლებით ერთი ან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ერთიდან ხუთ ოთახამდე, ჩათვლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარეთ.

თუ მოქალაქეს პირად საკუთრებაში აქვს საცხოვრებელი სახლი, მას არ შეუძლია იყიდოს ან ააგოს მეორე საცხოვრებელი სახლი. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება მემკვიდრეობის წესით მისაღები სახლების მიმართ. მოქალაქეს მემკვიდრეობის წესით შეუძლია მიიღოს საცხოვრებელი სახლი, დამოუკიდებლად იმისა აქვს თუ არა მას პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1957 წლის 10 აპრილის № 2 დადგენილება).

**4. შეუძლია თუ არა მოქალაქეს იყიდოს ან ააგოს სამ სართულიანი საცხოვრებელი სახლი?**

სსრ კავშირის თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს იყიდოს ან ააგოს თავისთვის პირადი საკუთრების უფლებით ერთი ან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ერთიდან ხუთ ოთახამდე ჩათვლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქს გარეთ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება). ამასთან, ახლად აგებულ სახლებში საცხოვრებელი ფართობის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს 60 კვადრატულ მეტრს. იმ პირებს, რომლებმაც საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დროს დაარღვიეს მშენებლობის კანონით დაწესებული ზღვრული ნორმები (ორი სართული, ხუთი ოთახი, საცხოვრებელი ბინის ფართობი — 60 კვ. მეტრი), სასამართლოს წესით ჩამოერთმევათ ზედმეტი ოთახები და საცხოვრებელი ბინის ფართობი და ასეთი ჩაირიცხება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული ან სადაბო საბჭოს აღმასკომების კომუნალურ ფონდში ამ ფართობში მცხოვრებ მობინადრეთა გამოსახლებით (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აპრილის № 269 დადგენილება).

**5. შეიძლება თუ არა დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა?**

დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის გაყიდვა შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში (ავადმყოფობა, სხვა ქალაქში მუდმივ სამუშაოდ გადასვლა და სხვ.) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული ან სადაბო საბჭოს აღმასკომის ნებართვით. დაუმთავრებელი საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულების დამოწმებისას აუცილებელია წარდგენილი იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ გამყიდველს გადაეცა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი, აღმასკომის ნებართვა დაუმთავრებელი სახლის გაყიდვის შესახებ და ცნობა ყადაღის შესახებ.

**6. რა წესით შეიძლება საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლის გაყოფა?**

თვითეულ მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი წილის საერთო ქონებიდან გამოყოფა, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონს ან ხელშეკრულებას. უთანხმოების შემთხვევაში საერთო ქონების გაყოფა წარმოებს სასამართლოს წესით ნატურით, თუ ასეთი გაყოფის შედეგად ქონება არ დაკარგავს თავის სამეურნეო დანიშნულებას. თუ ქონება გაყოფის შედეგად დაკარგავს თავის სამეურნეო დანიშნულებას, იმ შემთხვევაში მესაკუთრე მიიღებს ფულად კომპენსაციას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-65 მუხლი).

მესაკუთრეთა შეთანხმება საერთო საკუთრების საცხოვრებელი სახლის გაყოფის შესახებ დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. გაყოფის ხელშეკრულების დამოწმებისათვის მხარეებს გადახდებათ სახელმწიფო ბაჟი 25 მანეთის ოდენობით (სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1947 წლის 14 მარტის № 160 ინსტრუქცია).

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის ხარისხისათვის არა მარტო იმ ორგანიზაციის წინაშე, რომელთან დადებულია მიწოდების ხელშეკრულება, არამედ იმ ორგანიზაციის წინაშეც, რომელმაც მიიღო მისგან საქონელი მომმარაგებელი ან საბითუმო ორგანიზაციის განრიგით.**

ბარიშის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორამ მიაწოდა „თბილხილბოსტანვაჭრობას" კარტოფილი; საქონლის ადგილზე მიღების დროს ნაწილი უვარგისი აღმოჩნდა, რაც გაფორმდა სათანადოთ შედგენილი აქტებით.

დავის არბიტრაჟში გარჩევის დროს, ბარიშის რაისამომხმარებლო კავშირის დამზადების კანტორამ უარყო საქონლის მიმღების „თბილხილბოსტანვაჭრობის" ძიება იმ მოტივით, რომ კარტოფილი მან დაამზადა და გადმოტვირთა სხვა ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, და ამის გამო თვლიდა, რომ „თბილხილბოსტანვაჭრობას" არა აქვს უფლება ძიებაზე.

სახელმწიფო არბიტრაჟმა დააკმაყოფილა „თბილხილბოსტანვაჭრობის" ძიება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციის № 70-ს მუხ. ძალით. მიმწოდებელი მატერიალურად პასუხისმგებელია საქონლის ხარისხისათვის მომხმარებლების წინაშე, ხოლო მომხმარებლებად ითვლებიან, როგორც ის ორგანიზაციები რომლებმაც დადეს მიმწოდებელთან (დამამზადებელთან) მიწოდების ხელშეკრულება, ისე ორგანიზაციებიც, რომლებმაც მიიღეს პროდუქცია მომმარაგებელი ან საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციის განრიგით.

**2. სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მისაწოდებელი საქონლის გაშლილი ასორტიმენტი.**

თბილისის შამპანურმა ქარხანამ წარუდგინა ტრესტ „პროკოპიევსკუგოლ"-ის მუშათა მომარაგების განყოფილებას ხელშეკრულების პროექტი, შამპანური ღვინოების მიწოდებაზე, ხოლო ამ პროექტით გათვალისწინებული არ იყო მისაწოდებელი შამპანურის გაშლილი ასორტიმენტი, რამაც გამოიწვია მყიდველის მხრივ უთანხმოების ოქმის შედგენა, რომელიც საბოლოოდ გადაეცა განსახილველად სახელმწიფო არბიტრაჟს.

სახელმწიფო დავა არბიტრაჟმა განიხილა მიმწოდებლის საწარმოო გეგმის და მომხმარებლის მოთხოვნის აღრიცხვით, ამავე დროს მიუთითა თბილისის შამპანურ ქარხანას, რომ არბიტრაჟში დავის აღძვრა გამოწვეული იყო მის მხრივ არასრულყოფილი ხელშეკრულების პროექტის წარდგენით მყიდველისათვის.

**3. ხელშეკრულების პროექტი მიმწოდებელმა უნდა გადაუგზავნოს მყიდველს დადგენილ ვადაში, მიუხედავად იმისა, ეთანხმება იგი დაშვებულ განრიგს მიწოდების ოდენობის მხრივ თუ არა.**

ხარკოვის წინდების ფაბრიკამ აღძრა არბიტრაჟში ძიება გორის ბამბეულის კომბინატისაგან 2500 მან. ჯარიმის გადახდევინებაზე მიწოდების ხელშეკრულების პროექტის დაგვიანებით გაგზავნისათვის.

გორის ბამბეულის კომბინატი არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს და შემდეგ ზეწესით საჩივარში აცხადებდა, რომ ხელშეკრულების პროექტი გვიან გადაეგზავნა მყიდველს იმის გამო, რომ კომბინატი არ ეთანხმებოდა დაშვებულ განრიგს და მის შეცვლამდე ვერ დასდო ხელშეკრულება.

ხარკოვის წინდების ფაბრიკის ძიება დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო გორის ბამბეულის კომბინატს მიეთითა, რომ ხელშეკრულების პროექტში მას უნდა შეეტანა მისაწოდებელი საქონლის ის რაოდენობა, რომელიც მას მიაჩნდა სწორად, და დავის შემთხვევაში გადაეცა ასეთი სახელმწიფო არბიტრაჟისათვის განსახილველად, ხოლო არავითარ შემთხვევაში არ დაეშვა საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის მიწოდების შესახებ დებულების მუხ. 12-ით დადგენილი (ხელშეკრულების წარდგენის) 10 დღიანი ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**4. საქონლის მიღება უნდა წარმოებდეს გაზომვის იმავე ერთეულებში, რომლებიც მითითებულია დართულ საბუთებში.**

კოჩუბეის რაისამომხმარებლო კავშირის საბითუმო საწყობმა აღძრა ძიება რუსთავის ცემენტის ქარხნის მიმართ ცემენტის დანაკლისის შესახებ.

მასალების შემოწმებით დადგინდა, რომ სადაო ცემენტი მიწოდებული იყო სავაგონო სასწორზე განსაზღვრული წონით, რაც აღნიშნული იყო რკინიგზის ზედნადებში; ანგარიშში აგრეთვე ნაჩვენები იყო ცემენტის წონა და სათანადოთ შეფარდებული ფასი, ტვირთის ადგილზე მიღების დროს, მაძიებელმა მოახდინა მისი აზომვა და ხვედრითი წონის შეფარდების გზით გამოიყვანა 20 ტონა ცემენტის დანაკლისი, სახელმწიფო არბიტრაჟმა მაძიებელს ძიებაში უთხრა უარი სახალხო მოხმარების საქონლის რაოდენობრივი მიღების შესახებ ინსტრუქციის მე-11 მუხლის ძალით, რომლის თანახმად საქონლის მიღება უნდა წარმოებდეს გაზომვის იმავე ერთეულებში, რომლებიც მითითებულია დართულ საბუთებში, რაც ამ შემთხვევაში დაცული არ იყო, ვინაიდან ცემენტი გამოგზავნილი იყო წონით, ხოლო რაოდენობრივად მიღებულ იქნა აზომვის წესით.

**5. ნაწარმის ფასის დადგენა ან ანალოგიის შეფარდება არ შედის არბიტრაჟის კომპეტენციაში.**

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამართველომ აღძრა ძიება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიმართ 49.092 მან. გადახდევინებაზე, იმ მოტივით, რომ მოპასუხემ მიაწოდა მას სამუხრუჭე სითხე საცალო და არა საბითუმო ფასებით.

არბიტრმა ძიება დააკმაყოფილა. შეუფარდა რა სადაო პროდუქციას საბითუმო ფასი დადგენილი, საქართველოს საგეგმო კომისიის მიერ სხვა მწარმოებლის, არტელი „პირველი მაისის", პროდუქციაზე.

საქმის ზეწესით განხილვის დროს არბიტრის გატაწყვეტილება გაუქმდა, ხოლო საქმე წარმოებით მოისპო დავის განხილვის არაქვემდებარეობის გამო, ვინაიდან ფასის დადგენა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების კომპეტენციაში არ შედის, ხოლო ანალოგიით, სხვა მწარმოებლის პროდუქციისათვის დადგენილი ფასის შეფარდება არა სწორია.

**6. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმა და მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა აკრძალულია.**

„როსკულტორგის" კრასნოდარის საბითუმო ბაზამ აღძრა ძიება „საქკულტვაჭრობის" მიმართ 1959 წ. 11 დეკემბერს დადებული გარიგების შეუსრულებლობისათვის სანქციების გადახდევინებაზე. მიწოდება შესრულებული არ იყო. „საქკულტვაჭრობამ" ძიება არ იცნო და განაცხადა, რომ საქონელი, რომელიც მას უნდა მიეწოდებია მაძიებლისათვის, ამოღებულ იქნა მის ნომენკლატურიდან და გადაეცა სარეალიზაციოდ სხვა საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციას — „საქგალანტერიას".

ამის საფუძველზე „საქკულტვაჭრობამ" ითხოვა ძიებაზე უარის თქმა. სახელმწიფო არბიტრაჟმა ძიება დააკმაყოფილა და გადაახდევინა „საქკულტვაჭობას" კუთვნილი სანქციების თანხა, ვინაიდან სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მე-16 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივი უარის თქმა ან მისი პირობების ცალმხრივი შეცვლა აკრძალულია. „საქკულტვაჭრობა", თუ მის გარიგების დადების შემდეგ, შეეცვალა პირობები და არ შეეძლო მისი შესრულება, ვალდებული იყო ეცნობებია მყიდველისათვის ამის შესახებ და ეთხოვა ხელშეკრულების გაუქმება, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მიემართა სათანადო არბიტრაჟისათვის.

**7. დავის არბიტრაჟში აღძვრამდე მიღებული უნდა იქნას რეალური ზომები დავის ნებაყოფლობით მოგვარებისათვის.**

ცეკავშირის „საქკოოპსაშენვაჭრობის" გორის ბაზამ აღძრა ორი ძიება უტაისკის „ტყემრეწვმეურნეობის" და „ლესოსბიტის" ირკუტსკის სამმართველოს მიმართ არა სათანადო ხარისხის ხე-ტყის მიწოდებაზე. ძიება აღძრული იყო სახელმწიფო არბიტრაჟში 1959 წლის 28 ნოემბერს, ხოლო პრეტენზია გაეგზავნა მოპასუხეს 25 ნოემბერს ე. ი. ძიება აღიძრა იმ დროს, როდესაც პრეტენზია მოპასუხეს ჯერ მიღებულიც არ ექნებოდა. ამგვარად, არბიტრაჟი დარწმუნდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძიებელმა არ მიიღო რეალური ზომები დავის ნებაყოფლობით მოგვარებისათვის. ასეთ შემთხვევაში საქმე წარმოებით უნდა მოისპოს, მაგრამ, ვინაიდან მოპასუხე არ დაეთანხმა რა ძიებას, წარმოადგინა განმარტება საქმეზე არსებითად, ხოლო არასათანადო ხარისხის ხე-ტყის მიწოდების ფაქტი დადგინდა, არბიტრაჟმა უარი უთხრა მაძიებელს სახბაჟზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე, ძიების ნაადრევად აღძვრის გამო.

დავის მოგვარებისათვის რეალური ზომების მიუღებლობის გამო, მაძიებელმა ორგანიზაციამ განიცადა ზარალი სახბაჟზე გაწეული ხარჯის სახით.

**8. საქონლის გამომგზავნი, რომელმაც მიაწოდა საქონელი თავის მყიდველს საბითუმო ფასებით.პასუხს აგებს საბოლოო მიმღებთან აღმოჩენილი საქონლის დანაკლისისათვის მხოლოდ დაკლებული საქონლის საბითუმო ღირებულების ფარგლებში, თუნდაც საქონლის მიმღებს ასეთი შეძენილი ჰქონდეს თავის მიმწოდებლისაგან საცალო ფასებით.**

ცეკავშირის გამგეობამ აღძრა ძიება ამიერკავკასიის რკინიგზის და არტემოვის მარილის საწარმოს მიმართ, მარილის დანაკლისზე. სადაო მარილის მიმწოდებელი, ცეკავშირის სისტემის კოოპორგანიზაციებისათვის იყო რესპუბლიკური ბაზა „საქბაკალეია“, რომელმაც წარუდგინა მყიდველს ანგარიში პრეისკურანტით დადგენილ საცალო ფასებით, როგორც საცალო სავაჭრო ორგანიზაციას, ხოლო თავის მხრივ გადაუხადა საქონლის გამომგზავნს — არტემოვის მარილის საწარმოს ამავე მარილის ღირებულება საბითუმო ფასებით. როდესაც საქონლის მიღების ადგილზე აღმოჩნდა დანაკლისი, ცეკავშირმა წარუდგინა პრეტენზია, და შემდეგში აღძრა ძიება მხოლოდ გადამზიდველის რკინიგზის სამმართველოს და საქონლის გამომგზავნის არტემოვის მარილის საწარმოს მიმართ. საქმის გარჩევის პროცესში დადგინდა საქონლის გამომგზავნის პასუხისმგებლობა აღმოჩენილი დანაკლისისათვის, მაგრამ ვინაიდან საქონლის მიმწოდებელი „საქბაკალეია“ საქმეში არ მონაწილეობდა, ცეკავშირის ძიება დაკმაყოფილდა მხოლოდ დანაკლისის საბითუმო ღირებულების ნაწილში, რამაც შეადგინა ამ შემთხვევაში საგრძნობი სხვაობის თანხა.

ცეკავშირს ძიების აღძვრის დროს უნდა ჩაება საქმეში მესამე მოპასუხედ საქონლის მიმწოდებელი „საქბაკალეია“ და მაშინ მიიღებდა თავისი ძიების სრულ დაკმაყოფილებას.

**9. არბიტრის მიერ საქმის წარმოების მოსპობის შემთხვევაში მაძიებლის მიერ არბიტრაჟის დავალების შეუსრულებლობის გამო, მაძიებელი არ კარგავს უფლებას ხელმეორედ აღძრას იგივე ძიება, საერთო წესით.**

სამხედრო ვაჭრობის სარატოვის განყოფილებამ აღძრა ძიება „საქკონსერვტრესტის“ მიმართ როგორც აჭარის ყოფილი „ციტრუსდამზადების“ კანტორის უფლებრივ მონაცვლესთან, ამჟამად ლიკვიდირებულ დამზადების კანტორაზე რიცხული დავალიანების გადახდევინებაზე.

საქმის გარჩევის დროს, არბიტრმა საჭიროდ ცნო საქმეზე დამატებითი საბუთების წარმოდგენა, ვინაიდან საქმეში არსებული საბუთები არ იყო საკმარისი ლიკვიდირებული ორგანიზაციის დავალიანების დასამტკიცებლად. არბიტრმა საქმე მოსმენით გადასდო სხვა დროისათვის და სხდომის ოქმში მაძიებელს მისცა სათანადო დავალება. საქმის მეორედ განხილვის თარიღი აგრეთვე იყო აღნიშნული სხდომის ოქმში.

მაძიებელმა დანიშნული დროისათვის მოთხოვნილი საბუთები არ წარმოადგინა, რისთვისაც საქმე წარმოებით მოისპო.

სამხედრო ვაჭრობის სარატოვის განყოფილებამ ერთი თვის განვლის შემდეგ წარმოადგინა საბუთები და მოითხოვა საქმის განახლება. ეს განცხადება დაკმაყოფილებული არ იქნა, ვინაიდან სახარბიტრაჟის 1954 წ. 23 თებერვლის ინსტრუქციის ძალით, არბიტრს უფლება ჰქონდა მოესპო წარმოებით საქმე მისი დავალების შეუსრულებლობის გამო, რამდენად ცნო, რომ ამ საბუთების გარეშე დავის გადაწყვეტა შეუძლებელია. მაძიებელს მიეთითა, რომ მას უფლება აქვს აღძრას ხელმეორედ იგივე ძიება საერთო წესით. ასეთ შემთხვევაში ძიებითი ხანდაზმულობის ვადის გაანგარიშება წარმოებს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 45 მუხლის შესაბამისად იმ დროიდან, როდესაც წარმოიშობა სარჩელის აღძვრის უფლება, ძიების პირვანდელი აღძვრა ხანდაზმულობის ვადის ღენას არ სწყვეტს. განმეორებით ძიების აღძვრის წინ მაძიებელმა კვლავ უნდა წაუყენოს მოპასუხეს პრეტენზია და დაიცვას ყველა წესები დადგენილი სახელმწიფო არბიტრაჟში ძიების აღძვრისათვის.

# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

**1. ქორწინების მოსპობის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სარჩოს მიღების უფლება აქვს მხოლოდ შრომისუნარმოკლებულ გაჭირვებულ მეუღლეს თუ მეორე მეუღლეს შეუძლია მისთვის ქონებრივი დახმარების აღმოჩენა.**

ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ზ. ვ. მოლოტკოვას სარჩელი გ. ს. მოლოტკოვის მიმართ სარჩოს მიცემის შესახებ და დააკისრა მოპასუხეს 1959 წლის დეკემბრიდან ყოველთვიურად მოსარჩელეს სასარგებლოდ სამასი მანეთის გადახდა.

გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქაროველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 27 მაისის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით გააუქმა გადაწყვეტილება და დადგენილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისთვის იმ მითითებით, რომ სასამართლოს მიერ არ არის გამორკვეული მოდავეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობა, რითაც დარღვეულია სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 6 და 126 მუხლების მოთხოვნა

საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ მოსარჩელე იყოს შრომისუნარმოკლებული, ამის საწინააღმდეგოდ საქმეში წარმოდგენილია ცნობა, რომ ის ამჟამად მუშაობს თავის სპეციალობის მიხედვით. საქმიდან ჩანს აგრეთვე, რომ განქორწინების შემდეგ მოსარჩელეს დარჩა 18 000 მანეთი ფულად, რომელიც მხარეთა ერთად ცხოვრების პერიოდში შეტანილი იყო შემნახველ სალაროში და გაფორმებული იყო მოსარჩელის სახელზე. მასვე დარჩა 5000 მანეთის 3 პროცენტიანი ობლიგაცია, გარდა ამისა არ არის გამორკვეული მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა. საქმის ხელახლა განხილვის დროს სასამართლომ უნდა გამოარკვიოს აღნიშნული გარემოებები და გაითვალისწინოს, რომ საქ. სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კოდექსის 23 მუხლი ითვალისწინებს, რომ ქორწინების მოსპობის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სარჩოს მიღების უფლება აქვს მხოლოდ შრომისუნარმოკლებულ გაჭირვებულ მეუღლეს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მეუღლეს შეუძლია მისთვის ქონებრივი დახმარების აღმოჩენა.

**2. სახალხო სასამართლოში განქორწინების საქმის განხილვის დროს მოსარჩელეს დასწრება და მხარეთა შემარიგებელ წესების შესრულება სავალდებულოა.**

ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 20 აპრილს განიხილა საქმე ე. ე. კრავჩინსკის სარჩელისა გამო თ. ნ. კრავჩინსკისთან განქორწინების შესახებ და გამოიტანა დადგენილება საქმის სახალხო სასამართლოში დამთავრების შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ 1959 წლის 30 დეკემბრის დადგენილებით მოსარჩელეს გამოუცხადებლობის მოტივით საქმე წარმოებით მოისპო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა, როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პირველი ინსტანციის 1959 წლის 30 დეკემბრის დადგენილება, ისე ქ. თბილისის სტალინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 20 აპრილის დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს შემარიგებელ სტადიიდან საქმის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძვლების გამო:

საქმე კრავჩინსკების განქორწინების შესახებ სახალხო სასამართლოში განხილული იყო მოსარჩელეს დაუსწრებლად და შემარიგებელ წესების შეუსრულებლად, რითაც დარღვეული იყო სსრკ სახალხო კომისარიატა საბჭოს 1944 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული სსრკ იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციის მე-10 მუხლის მოთხოვნა, რომლის თანახმად მოსარჩელეს გამოცხადება სახალხო სასამართლოში და მხარეთა შემარიგებელ წესების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარება განქორწინების საქმეზე სავალდებულოა, ხოლო ამის გარეშე სახალხო სასამართლოს არ შეუძლია განქორწინების საქმე დამთავრებულად ჩათვალოს.

ასეთ პირობებში საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს უნდა გაეუქმებინა დადგენილება საქმის სახალხო სასამართლოში დამთავრების შესახებ და შესაბამისად სსრკ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1949 წლის 16 სექტემბრის დადგენილების მე-3 მუხლისა საქმე უნდა მოესპო თავის წარმოებაში და დაებრუნებინა სახალხო სასამართლოში ხელახლა განსახილველად და შემარიგებელ წარმოების წესების შესასრულებლად.

**3. მობინადრის ერთი ბინიდან მეორე ბინაში იძულებით გადასახლება მისი ავადმყოფობის მოტივით არ დაიშვება. სასამართლოს შეუძლია გამოასახლოს მხოლოდ ის მობინადრე, რომელიც თავის ყოფაქცევით შეუძლებელს ხდის მასთან ერთად სხვა ბინადართა ცხოვრებას.**

სამხედრო ნაწილმა და ვ. გ. ფროლკომ აღძრეს სარჩელი ს. თ. ზიუკინის მიმართ და მოითხოვეს მისი გამოსახლება მეუნარგიას ქ. № 22 სახლის ორ ოთახიან ბინიდან და სხვა ბინაში შესახლება იმ მოტივით, რომ მოპასუხის მეუღლე დაავადებულია რეაქტიული ფსიქოზით და ეს იწვევს მეზობლებთან უსიამოვნებას.

ქ. თბილისის ლენინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი დააკმაყოფილა და დადგინა: მოპასუხე ზიუკინი გამოსახლებულ იქნეს ყველა მასთან ერთად მცხოვრებ პირებთან მის მიერ დაკავებულ ბინიდან და შესახლებული იქნეს სხვა ბინაში იმავე საცხოვრებელი ფართობით.

გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 21 აპრილის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 22 აგვისტოს გააუქმა სასამართლო ინსტანციების გადაწყვეტილება და დადგენილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის შემდეგი მითითებებით:

მობინადრის ერთი ბინიდან მეორე ბინაში იძულებით გადასახლება იმ მოტივით, რომ ის დაავადებულია, კანონით გათვალისწინებული არ არის. ძირითადი დამქირავებლის ზიუკინის მეუღლე სტაციონარულ მკურნალობისათვის მოთავსებულია ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, თვით მოპასუხე ს. თ. ზიუკინის მხრივ სოციალისტური თანაცხოვრების წესების დარღვევას ადგილი არა აქვს. როგორც მოპასუხე აცხადებს, ის ბინა, რომელშიაც სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ოჯახი უნდა იქნას შესახლებული არ არის იმ ბინის ტოლფარდოვანი, რომელშიაც ისინი ამჟამად ცხოვრობენ.

სსრკ ცაკის და სკპ-ოს 1937 წლის 17 ოქტომბრის დადგენილების 30 მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია დადგინოს გამოსახლება მხოლოდ იმ მობინადრის, რომელიც თავისი ყოფაქცევით შეუძლებელს ხდის მასთან ერთ ბინაში ცხოვრებას, ხოლო მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრების მასთან ერთად გამოსახლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინიც არღვევენ თანაცხოვრების წესებს და შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად სხვა ბინადართა ცხოვრებას.

# სისხლის სამართლის საქმეებზე

**1. განაჩენი არ შეიძლება დატოვებული იქნეს ძალაში, უკეთუ ის დამყარებულია არასრულყოფილ წინასწარ და სამსჯავრო გამოძიების მასალებზე.**

თიანეთის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 21 ნოემბრის განაჩენით გ. ალექსაური ცნობილი იქნა დამნაშავედ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულების მე-2 ნაწილით „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ და მიესაჯა 10 წლით პატიმრობა სასჯელის კოლონიაში მოხდით.

ალექსაურს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მან 1960 წლის 25 სექტემბერს მუქარისა და ძალადობის გზით გააუპატიურა სოფელ თხანში მცხოვრები მოქ. გ—რი.

სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დააყრდნო დაზარალებულის ჩვენებას და სასამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლო სამედიცინო შემოწმების აქტს, რის მიხედვითაც დაზარალებული არის ნაცემი და დაკარგული აქვს ქალწულობა.

აღნიშნული განაჩენი მსჯავრდადებულისა და დაზარალებულის საკასაციო საჩივრების საფუძველზე გაუქმებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაეცა საქართველოს სსრ პროკურატურას შემდეგი საფუძვლებისა გამო:

საქმეზე ჩატარებული სასამართლო სამედიცინო შემოწმების აქტი არასრულყოფილი და უხარისხოა, მასში არ არის მითითებული დაზარალებულზე აღმოჩენილი დაზიანებანი მიეკუთვნება თუ არა შემთხვევის თარიღს.

აღნიშნული საკითხის გასარკვევად ექსპერტ ექიმი არც წინასწარ და არც სამსჯავრო გამოძიებაზე დაკითხული არ ყოფილა.

გამოძიების მიერ არ არის შესწავლილი დაზარალებულის პიროვნება, კერძოთ მის მიერ მიცემული ჩვენებები საფუძვლიან ეჭვს იწვევს მის ფსიქიურ სრულყოფილობაზე: გამოძიებას არ დაუდგენია მისი წლოვანება, თუ დაუჯერებთ მის განცხადებებს ის 17 წლისაა, აღნიშნული საკითხის გარკვევას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციის დადგენისათვის.

გამოძიების მიერ არ ყოფილა დაკითხული შემთხვევის უშუალო მოწმე ხორნაული, ეს მაშინ, როდესაც ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და ბრალდება დამყარებულია დაზარალებულის ჩვენებებზე.

* * *

თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 21 სექტემბერს განაჩენით ცნობილნი იქნენ დამნაშავედ მათიაშვილი და ქვლივიძე სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯათ თითო წლით თავისუფლების აღკვეთა.

მათიაშვილი და ქვლივიძე ცნობილნი იქნენ დამნაშავედ იმის გამო, რომ 1960 წლის 17 აგვისტოს იმყოფებოდნენ რა არაფხიზელ მდგომარეობაში, ატეხეს ჩხუბი, ჩაამტვრიეს ავტომანქანის შუშები და სცემეს ამავე ავტომანქანის მძღოლს, რის შემდეგ შეეიდნენ საკოლმეურნეო-ბათაშორისო კანტორის ბუღალტერიაში, სადაც შეამტვრიეს კარები და ატეხეს დებოში, რაც არ შეუწყვეტიათ მილიციის მუშაკების მისვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 21 ოქტომბერს განჩინებით აღნიშნული განაჩენი გაუქმებული იქნა შემდეგი საფუძვლების გამო:

გამოძიების მიერ არ არის დაკითხული საქმეზე დაზარალებულად გამავალი მაისურაძე, რომელიც ამავე დროს არის შემთხვევის მთავარი მოწმე და არ არის გარკვეული სინამდვილეში სცემეს თუ არა მას, თუ სცემეს, რომელმა ბრალდებულმა და რა დაზიანება მიიღო მან.

საქმეს არ ერთვის მანქანის დათვალიერების აქტი და არ არის გარკვეული მართლაც დამტვრეულია თუ არა მისი მინები; არ არის კანტორის დათვალიერების აქტი და არ არის გარკვეული მართლაც შემტვრეულია თუ არა მისი კარები; არ არის დაკითხული დასახელებული კანტორის არც ერთი მუშაკი და გარკვეული არ არის ჰქონდა თუ არა სინამდვილეში ადგილი ბრალდებულის მხრივ დებოშს.

გამოძიების დამთავრების ოქმები დაუმთავრებელია და მასში არ არის აღნიშნული გაეცვნენ თუ არა ბრალდებულები საქმეს და ჰქონდათ თუ არა მათ რაიმე შუამდგომლობა. ბრალდებულებს არ გადაუთარგმნეს რუსულიდან ქართულ ენაზე მოწმე სარდარიანის ჩვენება.

საბრალდებო დასკვნაში აღწერილი არ არის დანაშაულის სრული არსი და რით მტკიცდება ასეთი: აღნიშნული არ არის თუ როდის შედგა საბრალდებო დასკვნა.

გამოძიების მიერ არ არის გარკვეული ბრალდებულთა პიროვნებები, საქმეს არ ერთვის ბრალდებულთა დახასიათებები.

ასეთ გამოძიებულ საქმეზე სასამართლოს არ შეეძლო დაედგინა სწორი განაჩენი, რის გამო ის სავსებით სწორად იქნა გაუქმებული და საქმე დამატებითი გამოძიებისათვის გადაეცა საქართველოს სსრ პროკურატურას.

**2. დატაცება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს უკეთუ ქონება დამნაშავის მიერ ამოღებულია მესაკუთრის მფლობელობიდან.**

გურჯაანის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 22 აგვისტოს განაჩენით: ტივიშვილი, გეთიაშვილი, ჯანგულაშვილი და უტიაშვილი ცნობილნი იქნენ დამნაშავედ სსრ კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 იანვრის ბრძანებულების მე-4 მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და მიესაჯათ: ტივიშვილს 11 წლით, გეთიაშვილს 9 წლით, ჯანგულაშვილს 10 წლით, ხოლო უტიაშვილს 8 წლით პატიმრობა სასჯელის კოლონიაში მოხდით.

აღნიშნული განაჩენი საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 5 სექტემბრის განჩინებით დატოვებულ იქნა ძალაში იმ ცვლილებებით, რომ დასახლებულ მსჯავრდადებულთა დანაშაული გადაკვალიფიცირებულ იქნა სსკ 19 მუხლის მეშვეობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მე-4 მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და სსკ 48 მუხლის საფუძველზე შეფარდებული სასჯელი შეუმცირდათ: ტივიშვილს, გეთიაშვილს და უტიაშვილს ხუთ-ხუთი, ხოლო ჯანგულაშვილს 4 წლით.

სასამართლოს განაჩენით ტივიშვილს, გეთიაშვილს, ჯანგულაშვილს და უტიაშვილს მსჯავრი დაედოთ მასში, რომ იყვნენ რა ერთმანეთს შორის დანაშაულებრივ კავშირში, 1960 წლის 17 ივნის, ღამით, გურჯაანის რაიონის დამზადების კანტორის მატყლის საწყობიდან იპარავდნენ მატყლს, რა მომენტშიაც ისინი დაკავებული იქნენ მილიციის მუშაკების მიერ და ჩამოერთვათ 3757 მანეთად ღირებული მატყლი, ჩაყრილი ბარდანებში.

აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინების უსწორობაზე შემოტანილი იქნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი, რომელიც მოითხოვდა ხსენებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელმეორედ განხილვას იმავე კოლეგიის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობით შემდეგი საფუძვლებისა გამო:

კოლეგიამ კვალიფიკაციის შეცვლას საფუძვლად დაუდვა ის გარემოება, რომ მსჯავრდადებულები დაკავებული იქნენ იმ მომენტში, როდესაც მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დამთავრებული დანაშაული.

კოლეგიის ასეთი მოსაზრება უსწორობა და ის არ გამომდინარეობს სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-15 მუხლის მოთხოვნიდან.

როგორც წინასწარ ისე სამსჯავრო გამოძიების მასალებით დადგენილია, რომ ტივიშვილი, გეთიაშვილი, ჯანგულაშვილი და უტიაშვილი დაკავებული იქნენ იმ მომენტში, როდესაც მათ მიერ გატეხილი საწყობიდან გამოტანილ იქნა მატყლის გარკვეული რაოდენობა და დაწყობილ იქნა მანქანაზე.

ამდენად მათი განზრახვა საზოგადო ქონების ხელყოფაზე მოცემულია დასრულებული სახით, ვინაიდან მატერიალური ფასეულობა ფაქტიურად ამოღებული იქნა მესაკუთრის მფლობელობიდან.

საქ. სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა პროტესტის მოთხოვნა და გააუქმა რა დასახელებული განჩინება, საქმე საკასაციო წესით განხილვის სტადიიდან გადასცა იმავე კოლეგიის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

**3. სასჯელის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავის პიროვნება.**

ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 12 მაისის განაჩენით ახნაზაროვი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 75 მუხლის მეორე ნაწილით და სსკ 72 მუხლის მეორე ნაწილით და ერთობლიობის პრინციპით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 27 მაისის განჩინებით დატოვებული იქნა ძალაში იმ ცვლილებებით, რომ განაჩენიდან ამოირიცხა სსკ 72 მუხლი და ამ ნაწილში საქმე წარმოებით მოიხსნა, ხოლო სსკ 75 მუხლის ნაწილით შეფარდებული 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შესაბამისად სსკ 48 მუხლისა გაუნახევრდა.

ახნაზაროვს სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ 1960 წლის 23 აპრილს იმყოფებოდა რა არაფხიზელ მდგომარეობაში საქ. ფილარმონიის ბაღის გასასვლელთან ასტეხა დებოში, იგინებოდა უცენზურო სიტყვებით და როდესაც რაზმეულის წევრებმა მას მოუწოდეს წესრიგისაკენ არ მიიღო მათი შენიშვნა, მათაც უშვერი სიტყვებით მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართა და ერთ-ერთ მათგანს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ის არ დაემორჩილა მილიციელ-შუშაკებსაც და გაუწია წინააღმდეგობა.

კოლეგიის მოხსენებული განჩინების უსწორობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეტანილი იქნა პროტესტი საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რომელიც მოითხოვდა განჩინების გაუქმებას და საკასაციო საჩივრის განხილვის სტადიიდან საქმის იმავე კოლეგიის სხვა შემადგენლობაზე გადაცემას შემდეგი საფუძვლების გამო:

კოლეგიამ ჩათვალა რა ახნაზაროვზე წარდგენილი ბრალდება ხულიგნობის ნაწილში დადასტურებულად, არ გაითვალისწინა, რომ ის წარსულში ორჯერაა ნასამართლევი ქურდობისათვის. ერთხელ ხულიგნობისათვის, ხოლო ერთხელ საპატიმრო ადგილიდან გაქცევისათვის. რომ ის პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ არ ეწეოდა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და დაუსაბუთებლად შეუმცირა მას სასჯელის ღონისძიება.

პრეზიდიუმმა საფუძვლიანად ჩათვალა რა პროტესტის მოთხოვნა, გააუქმა კოლეგიის დასახელებული განჩინება და საქმე საკასაციო საჩივრის განხილვის სტადიიდან გადასცა იმავე კოლეგიის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

**მ. ლომიძე** (რედაქტორი), **ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე, გ. ინწკირველი, ო. კაციტაძე** (რედაქტორის მოადგილე), **თ. წერეთელი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 2/XII—1960; ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XII 60 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

შეკ. № 2120 ტირაჟი 5.000 უე 05686

საქ. ცკ-ის კპ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი,“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.